რამაზ სურმანიძე

# ყაჯირ შერვაშიძე

თბილისი
2001

# აღტორისაგან

შერვაშიძეთა გვარი ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელიც აქარის თავზე დატეხილი ყველა ისტორიული მოვლენა თავის მხრებზე გადაიტანა და ღირსეული ქვალი დატოვა საქართველოს განთავისუფლებისა და აღდგენა-აღორძინების მატიანეში.

შერვაშიძეთა გვარმა მრავალი ღირსეული შვილი მისცა საქართველოს. ჩვენ შეძლებისდაგვარად მხოლოდ აქარელ შერვაშიძეთა წარმომადგენლებს შეეხებით, განსაკუთრებით კი მეოთხეულის ყურადღებას შევაჩერებთ ყადირ-ბეგ შერვაშიძეზე, რომლის ხანმოკლე, მრავალი ფათერაკებითა და რომანტიზმით აღსავსე ბიოგრაფია ამას ნამდვილად იმსახურებს.

ფაქტების სიზუსტისა და მათი აღქმის გააზვიადების მიზნით წიგნს დავურთეთ ჩვენს ხელთ არსებული ზოგი ფოტოსურათი, რომლებიც მოხსენიებულია ტექსტში, აგრეთვე ზოგი საარქივო დოკუმენტი, რომლებიც შეტნაკლებად ასახავს შერვაშიძეთა დიდი ოჯახისა და პირადად ყადირ-ბეგ შერვაშიძის ცხოვრების ეპიზოდებს.

ამიერკავკასიის სეიმის წევრის, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მონაწილის, ქართული ცხენოსანი დივიზიის მეთაურის, პოლკოვნიკ ყადირ-ბეგ შერვაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლა და გამომზეურება საბჭოთა ცენზურის მხრიდან გარკვეულად შეზღუდული იყო.

პირველი წერილი სამოციანი წლების დასაწყისშივე დაიწერა. მაგრამ მისი გამოქვეყნება მხოლოდ 1967 წელს, დაბადებიდან 80 წლისთავზე მოხერხდა. ამის შემდეგ 30 წლის განმავლობაში გრძელდებოდა გამოკვლევები და დაკვირვებები, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს წიგნი. მიუხედავად ამისა ის სრულყოფილად არ მიკვანია, ამიტომ ყველა შენიშვნასა და განსხვავებულ მოსაზრებას, თუ ის დასაბუთებული იქნება, სიამოვნებით გავიზიარებთ.

*16 მარტი 1998 წ.*
*ქუთაისი*

რედაქტორი: აპოლ სერგეშიძე

# გვარის ისტორია

ენათმეცნიერთა აზრით შერვაშიძე ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარია და თითქოს შარვანშაჰებიდან მოდის. იგი დაფიქსირებულია თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში (აფხაზეთის ერისთავი დალათი და ცხუმის ერისთავი ოთალო შარვაშიძე). რუმის სულტანის ყიასდინის მხარეზე ჯარების მთავარსარდალი "შარვაშისძე აფხაზი დარდინი" იბრძოდა, რომელიც თათრებთან შეტაკების დროს დაიღუპა.

ამგვარად ეს გვარი მე-13 საუკუნიდან გვხვდება და ძალზე პოპულარულია საქართველოში. ზოგი ავტორი ერთმანეთთან აიგივებს შარვაშიძესა და შარაშიძეს, ასევე თვლის, რომ შერვაშიძე და ნაჩბა, ანფა, ანსაბაძე იდენტურია. ჩვენი აზრით, შერვაშიძე მხოლოდ შარვაშიძის იდენტურია. 1996 წლის მონაცემებით საქართველოში 816 შარვაშიძე ცხოვრობდა, ხოლო შერვაშიძეთა რიცხვი ამ დროისათვის 1092-ს აღწევდა.

შერვაშიძეთა გვარის ბუდეადგილად, დღემდე აფზახეთია მიჩნეული, რადგან ამ გვარის წარმომადგენლებს სამთავროს გაუქმებამდე ეპყრათ აფხაზეთი და მისი მთავრები იყვნენ. საყურადღებოა, რომ ერთხანს შერვაშიძეები მთლიანად ფლობდნენ საქართველოს ხღვისპირა ზოლს, ხოლო საპორტო ქალაქებში, ბათუმსა და ფოთში ბეგლარ ბეგებად სწორედ ამ ოჯახის შვილები ისხდნენ.

შერვაშიძეებს ტრადიციული ნათესაობა ჰქონდათ გურიის მთავრებთან და აჭარელ თავადებთან. მამია მესამის (გარდ. 1717 წ.) შვილს გიორგი IV გურიელს (1717-1726) ცოლად ჰყავდა შერვაშიძის ქალი მარიამი, ხოლო ლევან გურიელის შვილს გიორგის მიხეილ შერვაშიძის ასული ანა.

აფხაზეთის მთავრების, შერვაშიძეების და აჭარის წარჩინებული გვარის თავდგირიძეების თუ სხვა გვარების ნათესაურ ურთიერთობაზე მეტყველებს საქართველოს კ.კეკელიძის სახ.ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი დოკუმენტი, რომელშიც ეკითხულობთ:

"ამა ქორანიკონსა (1744 წ.რ.ს) მოიყვანა თავდგირიძემ გიორგი შარვაშიძის ქალი. აღდგომა და ხარებაი სწორა იყო. კინტრიშს სასახლეში ქორწილი იყო. ფაშათ ერთი ძმა იყო შარვაშიძე რიონისა და ჭანეთის რიზინს (რიზეს, რ.ს.) ამოღმა. მეორე ძმას

ბათომის ბეგობაი ქონდა და მესამეს სოხუმის ბეგობაი ქონდა“ ( - კოლექცია, საბ. №1700).

ამგვარად ამ საბუთით დასტურდება, რომ 1744 წელს ქობულეთის ერთ-ერთ ბეგს თავდგირიძეს ცოლად შეურთავს აფხაზეთის მთავარის გიორგი შარვაშიძის ქალი. ეს ქორწინება შემთხვევითი არ იყო, რადგანაც დასავლეთი საქართველო რიზემდე შარვაშიძეთა მორჩილებაში ყოფილა. კერძოდ რიონს (ე.ი.ფოთს) და რიზეს შორის ტერიტორიას შერვაშიძეთა ერთი ძმა ფლობდა (ფაშად იყო), მეორე ძმა ბათომის ბეგი, ხოლო მესამე სოხუმის ბეგი იყო. გამორიცხული არ არის, რომ გვარის სწორედ ასეთი აღზევების დროს გადმოსახლებულიყვნენ აფხაზი დიდებულები აჭარაში, კერძოდ ქედისა და ხელვანაურის რაიონებში. ამჟამად აქ ყველა შერვაშიძის გვარით იხსენიება. მათი რიცხვი ბათუმში 184 სულია, ხელვანაურში - 190, ქედაში 152. გამონაკლისია, შუახევის რაიონის სოფელი წაბლანა, სადაც რამდენიმე ოჯახი შარვაშიძედ იწოდება. საყურადღებოა, რომ 1805-1809 წლებში ბათუმის ბეგი და გარნიზონის უფროსი ქუნუკ-ბეგ შერვაშიძე იყო.

კავკასიის რუსულ ხელისუფლებას მაშინ მოლაპარაკება ჰქონდა ქუნუკ-ბეგ შერვაშიძესთან, რათა ნაებარებინა ბათუმის ციხე, რომელსაც დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამის საფასურად მას დიდ ტიტულებს და ქრთამს სთავაზობდნენ, მაგრამ ბეგს უარი განუცხადებია. როცა რუსეთის სარდლობას იმედი გადაეწურა, ტერორზე გადავიდა. 1809 წელს ქუნუკ-ბეგი მის ძმასთან ერთად მოუკლავთ, ხოლო 1810 წლიდან მის ადგილას ლაზი ომარ-აღა ჟორდანია დაუნიშნავთ (ქ.ხიტარაიშვილი. ბურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ, 1985, გვ. 28,36).

ნანს, შერვაშიძეთა გავლენა ბათუმზე არც ამის შემდეგ შეწყვეტილა. 1811 წლის 3 ნოემბერს გენერალი სიმონოვიჩი მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩს წერს: “თავადი, პოლკოვნიკი მანუჩარ შერვაშიძე (იგი სამურზაყანოს მმართველი იყო) ცდილობს ბათუმი ჩვენს ხელისუფლებას გადასცეს მისი ნათესავის თავად სოსლან-ბეგის მეშვეობით, რომ ბათუმის მცხოვრებლები მინდობილნი არიან ჰყავდეთ მმართველი შერვაშიძეთა გვარიდან“ (Акты, том V, 1873, გვ.181). სოსლან ბეგ შერვაშიძე ბათუმის კომენდანტად სხანს 1811-12 წლებში. სხვადასხვა დროს ამ თანამდებობაზე იყვნენ ქუნუკ-ბეგი, ქელეშ-ბეგი, მეჰმედ-ბეგ შერვაშიძეები.

ამგვარად, აჭარელ შერვაშიძეთა აფხაზეთიდან გადმოსახლების რამდენიმე სარწმუნო საბუთი არსებობს და ეს ფაქტი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ბუნებრივია, ამ გვარის ყველა წარმომადგენელი, საიდაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, თავის წარმომავლობას აფხაზეთს უკავშირებს მაშინაც კი, როცა ამის დამადასტურებელი რაიმე ისტორიული საბუთი არ არსებობს. ეს აზრი იმდენად დამკვიდრებული და ტრადიციადაა ქცეული, რომ მკვლევარებს აღარც კი უცდიათ შეესწავლათ სხვა მეცნიერული ვარიანტები, მიუხედავად იმისა, რომ არის ამ გვარის სხვა ქართულ პროვინციებში ძველთაგანვე არსებობის დამამტკიცებელი არგუმენტები.

ამ მხრივ, გამონაკლისია ბატონ იაკობ ახუაშვილის დამაჯერებელი ნარკვევი, რომელიც მან გაზეთ დედა-ში გამოაქვეყნა (№5, მაისი, 1997, გვ. 8).

ავტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ "შარვაშიძეები ქართლელები არიან" და ეს ფრაზა სათაურადაც გამოაქვს. ნარკვევის შესავალში უარყოფილია ამ გვარის რაიმე კავშირი შარვანშაჰებთან, ასევე ნაჩბა-ანჩაბაძესთან და ნათქვამია, რომ შერვაშიძე (შარვაშიძე) "სადაურობის მიხედვით ნაწარმოები გვარია". ამის დასადასტურებლად ი.ახუაშვილი იმოწმებს მის მიერვე მოკვლეულ "შარვაშიძეთა საგვარეულო სიგელს" და სხვა წყაროებს. ამ მასალებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ შარვაშიძეები ცხოვრობდნენ თეგამის (თეძამის) ხეობაში. აქ ისინი მოსულან არა აფხაზეთიდან, არამედ "სხვა მხარიდან" "დროსა გიორგი მეფისასა ქრისტეს აქეთ წელსა 1325-სა, რომელმაც მიიღო კარგად და უბოძა ადგილნი თეგამის (თეძამის) ხეობასა ზედა არიან მუნიდგან. ხოლო დროსა მეფისა ირაკლისასა უმეტეს წარჩინებულ იქმნა ელიზბარ შარვაშიძე, რომელიც დროსა ნადირშაჰისასა თანა წარყვა მეფე ირაკლის ინდოეთსა და ახლდა მუნ და ოდეს მუნიდგან მოვიდა მეფე ირაკლი და შეაეროა ქართლი და კახეთი, მაშინ იყო იგი არაგვის ერისთავის მოადგილედ და აგრეთვე უბოძა მოლარეთუხუცესის ხარისხი და აწ არიან მისი შთამომავლობანი ორ სახლად: 1. მალაქიასშვილი და 2. ივანესშვილი". (იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებ თავად-აზნაურთა ოჯახებისა, რომლებიც შეტანილ არიან გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატსა შინა. ციტირებულია ი.ახუაშვილის წერილიდან).

რაც შეეხება გვარის ეტიმოლოგიას, ი.ახუაშვილი თვლის, რომ იგი გეოგრაფიული სახელიდან, შერვაშეთი-დან ნაწარმოები გვარია. ასეთი ტოპონიმი- შარვაშეთის მთა (ვახუშტი) მართლაც არის შიდა ქართლში. ჯავახეთის საზღვარზე. აქვეა წმიდა გიორგის ეკლესია შერვაშეთისა. სხვათაშორის, თამარ მეფის კარზე სხვა საგვარეულოებთან ერთად მოიხსენიება შარვაშეთის სახლიც და ა.შ.

ამგვარად ბ-ნ იაკობ ახუაშვილის დასკვნით შერვაშიძეები ქართლში მოსულან არა აფხაზეთიდან, არამედ "სხვა მხრიდან" და შემდეგ გადასახლებულან აფხაზეთში, აქედან გურიაშიც: "შარვაშიძე გურიაში მოვიდა აფხაზეთიდან" (ვახუშტი). გურიაში და ქართლში მცხოვრებ შერვაშიძეებს იოანე ბატონიშვილი ერთ შტოდ თვლის, რაც განამტკიცებს ი.ახუაშვილის მოსაზრებას დასავლეთ საქართველოში შერვაშიძეთა ქართლიდან მიგრაციის თაობაზე: "ხოლო ამათნი... გვარნი რომელნიმე სახლობენ გურიასა თავადად და სხვანი ქართლსა შინა".

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვლადიმერ შარვაშიძე თავს ქაროლელ შარვაშიძეთა შთამომავლად თვლის. მისი მეუღლე ნელი კოპალიანი იგონებს ბონდო შარვაშიძეს, რომელიც სწავლობდა გვარის ისტორიას და თავს შიდა ქართლელად თვლიდაო-ამბობს ი.ახუაშვილი.

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ცნობები საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათში არაფერია ნათქვამი აჭარელ შარვაშიძეებზე. ასევე გასარკვევია ქართლში რომელი "სხვა მხრიდან" მოვიდნენ ამ წარჩინებული გვარის წარმომადგენლები.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევენ შუახევის რაიონის სოფელ წაბლანაში მცხოვრები შარვაშიძეები, რომლებიც მაინცდამაინც აფხაზეთიდან გადმოსახლებულად არ თვლიან თავს. ისინი წარმომავლობის დასახელებისას უფრო ტაო-კლარჯეთისაკენ იხრებიან.

ჩვენც ხელთა გვაქვს ორი საყურადღებო საბუთი, რომლებიც შერვაშიძეთა ბუდე-ადგილად ადასტურებენ ტაო-კლარჯეთს და აქედან ამ გვარის მიგრაციას მოსაზღვრე პროვინციებში: აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ქართლში.

ეელქისედეკ ყანჩაელის 1658 წლის ერთერთ საბუთში წაიკითხავთ: "ბერძოეთს გლარჯაძეები მაისის ცხრასა ერთს ბატკანს

დაკლავდნენ თვისსა ალაგსა და მისს პურსა და ღვინოს დახარჯავდნენ, ერთ მღუდელს ჟამს გვაწირვინებდნენ და შენდობით მოგვიხსენებდენ" (თ.ხაჟომია, მელქისედეკ ყანჩაელის 1658 წლის საბუთი. კრებული ქართული წყაროთმცოდნეობა, 1, თბილისი, 1965, გვ. 96-103). რატომ აკეთებდნენ აქაური გლარჯაძეები (კლარჯაძეები) ამას? ამის გასარკვევად მკვლევარი თ.ხაჟომია ესაუბრა ბერშუეთელ დამსახურებულ პედაგოგს ალექსანდრა ნებიერიძეს. მის ნაამბობზე დაყრდნობით მეცნიერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ფორმა გვარისა გლარჯაძეები იქნებ კლარჯეთს უკავშირდებოდესო. ამასთან ერთად მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ XVI-XVII საუკუნის საბუთებიდან ყანჩაელის საბუთი გამონაკლისია, სადაც ეს გვარი გლარჯაძედ (კლარჯაძედ) მოიხსენიება.

თ.ხაჟომიას ამ ფრთხილ ვარაუდს, ჩვენი აზრით, უტყუარს ხდის მისივე ინფორმატორის ა.ნებიერიძის მონათხრობი: "კლარჯეთში (სამხრეთ საქართველო) ოთხ ძმას შერვაშიძეებს მამულის გაყოფის ნიადაგზე შექმნილი დავის დროს შემოკვდომიათ ერთ-ერთი, უფროსი ძმა. ამის შემდეგ, რაკი მათ თავის სამფლობელოში არ ედგომებოდათ, გადაცმულნი , ფარულად გადმოხვეწილან კლარჯეთიდან, ხანგრძლივი სავალი გზით გატანჯულნი, მდაბიოს სამოსში გახვეულნი, მისულან შიომღვიმის მონასტერში და მღვდლისათვის გაუნდვიათ თავიანთი საიდუმლო. მონასტრის წინამძღოლს ისინი შეუვრდომებია და ჩადენილ ცოდვის მოსანანიებლად, სამი წლის განმავლობაში, ყოველ დილა-საღამოს ლიტანია, მონასტრისათვის ნოქვით შემოვლა დაუვალებია.

ამბობენ: დილით მზის ამოსვლისას და საღამოს, მზის ჩასვლის ჟამს მონასტრის ყრუ კედლებთან ხშირად შეინიშნებოდა დაჩოქილი სამი სილუეტი."

სამი წლის შემდეგ მღვდელმთავარს მათთვის ცოდვა მოუხსნია, მონასტრის თავისუფალ მამულზე დაუსახლებია და იმ ადგილისათვის "ბერშოეთი" უწოდებია (ახლანდელი გორის რაიონის, ზეღდულეთის საკრებულო). ხოლო ცოდვაგანტევებულ კლარჯელი ძმებისათვის ძველი გვარი შერვაშიძე შეუცვლია "კლარჯაძედ". ზემოთნახსენებ მალაქიასშვილისა და ივანესშვილის მსგავსად შემდგომში ამ გვარმაც განიცადა სახეცვლილება და გლ[illegible]ურჯიძედ გადაკეთდა.

გლურჯიძეები დღესაც აქ ცხოვრობენ, გადმოგვცემს ოქმულება და კავშირს არ წყვეტენ შიო მღვიმის მონასტერთან. "ყველიერის ხუთშაბათი მონასტრის საეკლესიო დღესასწაულია. გლურჯიძეები ახლაც ლოცვას და შესაწირავს იხდიან და უამინდობის შემთხვევაში უსათუოდ წარმომადგენელს მაინც გზავნიან შიო მღვიმის მონასტერში"-ო.

მომდევნო საუკუნეებშიც (XV ს.) ტაო-კლარჯეთიდან ქართლში მოსახლეობის იძულებითმა მიგრაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ტაო-კლარჯეთიდან, კერძოდ ფანასკერტიდან ბრძენთმოავრის, მკურნალისა და დიდი მეცნიერის ზაზა ციცის ძე ფანასკერტელის გადმოსახლება ქართლში, ძამას ხეობაში.

***

საეურადღებოა, რომ ზაზა ფანასკერტელის ნათესაური ძაფები და მისი უკვდავი შემოქმედებითი ნააზრევის წერილობითი კვალი (ჩვენი მეორე ვერსია) აჭარისაკენ, კერძოდ, ქედისაკენ მოდის და სწორედ აქაურ შერვაშიძეთა ოჯახს უკავშირდება, რომლის ახსნა ჩვენ ვცადეთ მონოგრაფიაში ("მცირე კარაბადინი", II, ბათუმი, 1990, გვ. 30-32). ეს წიგნი მთლიანად ძველი სამკურნალო ხელნაწერის ტექსტით და კომენტარებითაა წარმოდგენილი.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ამ ხელნაწერის აღმოჩენის ისტორია და მისი მფლობელის ვინაობა.

გასული საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული ქართული გაზეთებიდან ვიცოდით, რომ ქედის რაიონში არსებობდა რამდენიმე ძველი სამკურნალო ხელნაწერი, ერთი მათგანი აბდულ მიქელაძემ აღმოაჩინა სოფელ აგარაში და ზაქარია ჭიჭინაძეს გადასცა, (იხ. ჩვენი მცირე კარაბადინი, ბათუმი, 1974 წ). მეორე ხელნაწერის ძებნა ჩვენ გვხვდა წილად.

პირველი ინფორმაცია ჯერ კიდევ "მცირე კარაბადინის" გამოქვეყნებამდე 1969 წელს მივიღეთ ჩემი ნათესავის ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარის მცხოვრებ 93 წლის ოსმან შერვაშიძისაგან. მისი თქმით, ქედის მაზრის უფროსის თუფან შერვა-

შიძის ბიძის, სეფერის ქალიშვილს ფემბას ჰქონდა ხელნაწერი, რომლითაც სამხვედროს (ბუასილს) მკურნალობდაო. მოხუცი დაბეჯითებით შეგვპირდა, - ამ ხელნაწერს მე მივაგნებ და გადმოგცემთო. ჩვენც ნაადრევად ვირწმუნეთ ხელნაწერის მიღება და ჩვენს "მცირე კარაბადინში" მას ს.თხილნარში აღმოჩენილი ხელნაწერი ვუწოდეთ (გვ.74). სამწუხაროდ , ჩვენმა გულკეთილმა ინფორმატორმა ვერ მოასწრო პირობის შესრულება. იგი 1970 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, მისმა ნაამბობმა დიდი სამსახური გაგვიწია, რადგანაც კიდევ უფრო გააძლიერა ხელნაწერის ძებნის სურვილი და, მართალია, გვიან, მაგრამ ეს ძიება წარმატებით დამთავრდა. ჩვენ ხელნაწერი სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ და დავადგინეთ მისი მფლობელიც. ეს იყო ფემბა სეფერის ასული შერვაშიძე (1826-1897) ახლანდელი ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში ყოფილა გათხოვილი გულა ხუსეინის ძე სურმანიძეზე (1811-1898). 1844 წელს გულას ოჯახი ახლანდელი შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, წინაპართა კუთვნილ მამულში გადასახლებულა და დაფუძნებულა. შერვაშიძეთა ოჯახიდან ფემბას მზითვად მოყოლილი კარაბადინიც თან წაუღია.

1897-1898 წლებში ზემო აჭარაში სახადი (მუცლის ტიფი) გაჩენილა, რასაც ემსხვერპლა ფემბას ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი, 8 სული მათ შორის: გულა, ფემბა, მათი შვილები და რძლები. ცოცხლად გადარჩენილა ცამეტი მცირეწლოვანი ბავშვი. ნათესავებს-ვექილებს ბავშვები აღსაზრდელად საკუთარ ოჯახებში წაუყვანიათ, მათი ქონებაც გაუყვიათ და წაუღიათ. ერთ დროს სიცოცხლეთ საკუთ სახლი გავერანებულა. ამგვარად მცირე ნაწილი ქონებისა, მათ შორის ფემბასეული სამკურნალო წიგნიც ერთერთი ნათესავის ოჯახში მოხვედრილა.

ძველ ხელნაწერებს ბევრი უგუნური ჩვენს დროშიც ემტერებოდა, რის გამოც მის გამონენას ვერ ბედავდნენ. (ალბათ იმიტომაც, რომ შესაძლოა მის კანონიერ პატრონს წაღებული ქონებაც მოეთხოვა). ასე დარჩა ხელნაწერი ამ ოჯახში ბოლო დრომდე. სანამ სახლის უფროსმა, გულფერ სურმანიძე-ჭაღალიძემ სკვდილის წინ არ მოითხოვა კანონიერი პატრონისათვის მისი დაბრუნება.

ოსმან შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ ფემბას მომსწრეებთან შეხვედრის იმედი გადაგვეწურა. საბედნიეროდ ეს

აზრი ჩანერგილი აღმოჩნდა. 1987 წელს ქედის რაიონის სოფელ დანდალოში ვნახეთ 93 წლის ქალი ფადიმე ალის ასული ავალიანი (1894-1993), რომელსაც მკურნალი "დიდნენეი ფემბეხანუმი ლანდათ ახსოვდა".

დავუბრუნდეთ ისევ შერვაშიძეთა კუთვნილ წიგნს. ფემბასეული ხელნაწერის მცენარეული სამკურნალო საშუალებები შედარებულია ქართულ კლასიკურ სამედიცინო წიგნებთან და აგარელის ხელნაწერთან სპეციალურ თავში, "მსგავსება სხვა ქართულ კარაბადინებთან - პარალელები". ყველა მათგანთან, როგორც მოსალოდნელი იყო ვნახულობთ უამრავ მსგავსებას, რაც ქართული ხალხური სამკურნალო მეთოდების ერთიანობაზე მიუთითებს. ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთი ადგილი ფემბასეული კარაბადინიდან, რომელიც უნდა განვიხილოთ არა როგორც ჩვეულებრივი პარალელი, არამედ თითქმის უცვლელი განმეორება ზაზა ფანასკერტელის "სამკურნალო წიგნიდან". ამიტომ ეს ადგილი საგანგებო შედარებას იმსახურებს:

| ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი | ფემბა შერვაშიძე-სურმანიძე |
|---|---|
| "თუ კაცმან მეჯრი ღუინო სვას, აწყინოს, პირი გაუყვითლდეს და გაუსივდეს, მისი ჭამალი: აიღე ინა და ჭყლით ადუღე, მერმე დადეგ, რომ დაწმდეს და გაუტრიე ცაპარზი შაქარი და ნუშის ზეთი და ერთსა ღამესა ცასა ქვემ დადგი და დილასა შეასუი და უმეჭელის" (გვ. 642). | "თუ კაცმან მეჯრი ღვინო დალიოს და აწყინოს, პირი გაუყვი(თლდეს) და გაუ(სივდეს) მისი ჭამალი ინა ჭყლით ადუღე და დადგი, დაწდეს ინაში შაქარი და ნუშის ზეთი გაუტრიე ერთ ღამეს კარში დადგი და დილას ასვი და უშეველის" (გვ.3). |

როგორც ვხედავთ, მსგავსება მართლაც რომ საოცარია. შეუძლებელია ფემბასეული კარაბადინის გადამწერს, ან ავტორს ეს ადგილი ნაეწერა ზაზას სამკურნალო წიგნის, ან მისი მოგვიანო ვარიანტების გარეშე. საიდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო აჭარაში, შერვაშიძეთა ოჯახში ზაზა ფანასკერტელის ხელნაწერი? ის ხომ 1479-1505 წლებს შორის დაიწერა , ხოლო

1709 წელს განაახლა და აკინძა ვახტანგ VI. შემდეგ ხელნაწერი ქართლის მეფეთან ერთად რუსეთში მოხვდა. 1737 წელს, ე.ი. ვახტანგ VI გარდაცვალების შემდეგ იგი ჯერ უფლისწულ ბაქარის ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ მისი შვილიშვილის გიორგი ალექსანდრეს ძის ხელში გადასულა. 1852 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მეცნიერები (მ.შენგელია) ვარაუდობენ, ხელნაწერი შესანახად გადასცეს ქ. ნიჟნი-ნოვგოროდის არქივს, სადაც მთელი საუკუნე ხელუხლებლად იდო. 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის წევრმა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თორნიკე ჭყონიამ ამ არქივში აღმოაჩინა ზაზას ხელნაწერი და იგი საქართველოში ჩამოიტანა. ამჟამად ინახება ს.ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ეს ხელნაწერი ნაწილ-ნაწილ (ერთადაც) გამოსცეს პროფესორებმა ი.აბულაძემ და კ.გრიგოლიამ (რედაქტორი პროფ. მ.სააკაშვილი) და პროფ. მ.შენგელიამ.

თუ გავიხსენეთ ზაზა ფანასკერტელის თავდაპირველ სამშობლოს, სამხერთ საქართველოს (ტაოს, კლარჯეთს, ფანასკერტს, შავშეთს), რომელშიც ერთ დროს აჭარაც იყო გაერთიანებული, როგორც უშუალოდ მომიჯნავე პროვინცია, აგრეთვე ზაზას აჭარელ თანამოგვარეების (შესაძლოა უშუალო ნათესავთა) გადმოცემას მათი ტაო-კლარჯეთიდან გადმოსახლების შესახებ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარაბადინის ნაწილი, ან მისი ერთი ვარიანტი ფანასკერტიდან აჭარაში ჩამოიტანეს გადმოსახლებულმა ფანასკერტელებმა ან მათი სასახლის კარის უახლოესმა დიდებულებმა შერვაშიძეებმა, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ ქედის რაიონში. როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? ალბათ მას შემდეგ, რაც ზაზა ფანასკერტელის მთელი სახლეულობა ფანასკერტიდან დაიძრა და ქართლში გადასახლდა, ხოლო ამ დიდი ოჯახის ერთი შტო ციციშვილები კუთვნილ მამულში ქედაში გადმოსახლდნენ (ახლა ციციანიძეებად იწოდებიან). ეს პროცესი დაიწყო XVI საუკუნიდან, როცა ოსმალეთმა ტაო საბოლოოდ დაიპყრო.

ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის "სამკურნალო წიგნისა" და ფემბასეული ხელნაწერის მსგავსება მარტო ამ ერთი ფრაზით იმდენად სარწმუნოა, რომ არავითარ ეჭვს არ იწვევს, მაგრამ უფრო საყურადღებო მეორე მომენტია. კერძოდ, რატომ მაინცდამაინც შერვაშიძეთა ოჯახში აღმოჩნდა ზაზას კარაბადინიდან გა-

ფემბა შერვაშიძისეული კარაბადინის 76-ე გვერდი

დაწერილი ერთ-ერთი ვარიანტი? იმიტომ ხომ არა, რომ შერვაშიძეები ცხოვრობდნენ ტაო-კლარჯეთში და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ფანასკერტელებთან? შესაძლოა. მათი რომელიღაც წინაპარი აგრძელებდა ზაზას საომკურნალო საქმიანობას. რაც მომდევნო თაობამ გადმოიტანა აჭარაში, კერძოდ, ქედაში გადმოსახლების შემდეგ.

ამგვარად აჭარაში, კერძოდ ქედისა და შუახევის რაიონებში მცხოვრები შერვაშიძეები (შარვაშიძეები) მიეკუთვნებიან ძველ ქართულ თავადურ გვარს და XV-XVI საუკუნეებში შესაძლოა უშუალოდ ტაო-კლარჯეთიდან ან ქართლიდან არიან გადმოსახლებულნი. ქართლში მათ ჰყავთ ასევე კლარჯეთიდან გადმოსული შორეული ნათესავები, რომლებმაც რაღაც მოტივით გვარი შეიცვალეს და ადრე კლარჯაძეებად იწოდებოდნენ, ხოლო ამჟამად გლურჯიძეთა გვარს ატარებენ.

***

აჭარელ შერვაშიძეთა ხსოვნა გვარის ბუდეადგილად ქედას, სოფელ ალიქოღლებს (ოქტომბერი) ეიმენეს. შერვაშიძეთა ახლანდელი მოდგმისათვის ცნობილია 8-9 თაობა, რომელთა წინაპარი, მათი თქმით, აფხაზეთიდან უნდა იყოს მოსული. როცა ჩემი ახალი ვერსია გავაცანი, ზოგი მათგანი მომემხრო და მხარი დამიჭირა. ჩვენ ამ ვერსიას კატეგორიულად არ ვამტკიცებთ, გვჯერა საკუთარი გვარის წარმომავლობის ისტორიას, ვფიქრობ, მომავალში თავად შერვაშიძეები უკეთ გაარკვევენ.

წარმომავლობის გარდა გასარკვევი ბევრი რამ არის. ჯერ ერთი უნდა დადგინდეს შარვაშიძე და შერვაშიძე ერთია თუ სხვადასხვა წარმოშობის გვარია. საყურადღებოა, რომ როგორც აღვნიშნე, საქართველოში 816 შარვაშიძე ცხოვრობს. აქედან 300-მდე ქუთაისში, 100-ზე მეტი თელავში და 100-მდე თბილისში. რაც შეეხება შერვაშიძე-ს, საქართველოში ამ გვარს 1100 მოქალაქე ატარებს: აქედან 200-ზე მეტი თბილისში, 200-მდე ხელვაჩაურში, 180 ბათუმში და 150-ზე მეტი ქედაში. ამგვარად შარვაშიძე-შერვაშიძეთა საერთო რიცხვი 2000-მდე აღწევს.

ამ გვარმა მრავალი სასახელო შვილი მისცა საქართველოს. საამწუხაროდ თავადურ გვარს სასტიკად გაუსწორდა ბოლშევიკუ-

რი რეჟიმი. მათი დიდი ნაწილი 1921-24 წწ. განადგურდა, ხოლო დარჩენილთაგან მრავალი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. ამ საშინელი ტერორისა და განუკითხაობის დროს მარტო ქედის რაიონიდან ბათუმში 7 შერვაშიძე დახვრიტეს, რომელთაც დაცა-შაული არც კი წაუყენეს. ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირ-ებულია.

შერვაშიძე სეიდ ხემიდის ძე, 66 წლის, ქედა.
შერვაშიძე თემურ-ბეგ მამუდის ძე, 60 წლის, ქედა-ალიქოლლები
შერვაშიძე ახმედ მიდადის ძე, 76 წლის, ქედა
შერვაშიძე ნური ასლანის ძე, 58 წლის, ქედა-ალიქოლლები
შერვაშიძე მემედ ასლანის ძე, 70 წლის, ქედა-ალიქოლლები
შერვაშიძე ხუსეინ დურსუნის ძე, 60 წლის, ქედა-ალიქოლლები
შერვაშიძე სეიდ პაფიზის ძე, 68 წლის, ქედა-ვაიო.

ამ გვარს არც მეორე მოსვლიო ომმა დააკლო ხელი. პარტო აჭარიდან 1941-45 წლებში დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა შერვაშიძეთა გვარის 12 წარმომადგენელი.

1. შერვაშიძე ნიაზ ოსმანის ძე. ბათუმი. 1941
2. შერვაშიძე ნაილ ოსმანის ძე. 1916 წ. დაბ. ქედა-ზენდიდი. 1941.
3. შერვაშიძე იბრაიმ ნურის ძე 1917 წ. დაბ. ქედა-ოქტომბერი. 1941
4. შერვაშიძე ხასან ნურის ძე 1920 წ. დაბ. "-" 1941
5. შერვაშიძე სოლაღა ხულუსის ძე 1921 დაბ. ქედა-ოქტომბერი 1942წ.
6. შერვაშიძე უსუფ ეზიზის ძე 1920 დაბ. "-" 1943წ.
7. შერვაშიძე ქამილ ოსმანის ძე "-" 1941წ.
8. შერვაშიძე ხალით მურადის ძე 1919 წ. დაბ. "-" 1943წ.
9. შერვაშიძე ვასილ სოკრატეს ძე 1902წ. დაბ. ქობულეთი 1943წ.
10. შერვაშიძე იბრაიმ ნურის ძე 1912წ. დაბ. "-" 1941წ.
11. შერვაშიძე იუსუფ ესედის ძე ხელვაჩ. კახაბერი 1941
12. შერვაშიძე დეერიმ ჟურდოს ძე ხელვაჩაური 1942წ.

მომდევნო წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მრავალმა შერვაშიძემ ისახელა თავი. მათ შეხვდებით პოლიტიკურ ასპარეზზე. აგრეთვე მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ბიზნესისა და ქველმოქმედების სფეროებში.

გადმოცემით პირველი შერვაშიძე იყო ალექსანდრე , ქრისტიანული აღმსარებლობისა, რომელიც ქედაში მოვიდა და დამკვიდრდა. მისი შვილები არიან მემედი და ახმედი. ჩვენი წიგნი მემედის შთამომავალთა ცხოვრება-მოღვაწეობას შეეხება. მათ შორის საპატიო ადგილი ეკავა მემედ-ბეგის შვილიშვილს თუფან-ბეგ შერვაშიძეს, რომლის ცხოვრება- მოღვაწეობა მეტ-ნაკლებად შემოგვინახა ისტორიამ.

# თუფან-ბეგი

## (1846 - 1913)

თუფან-ბეგი ჰაჯი-ასლან-ბეგის შვილი იყო. მისი ყმაწვილკაცობიდან თითქმის არაფერი ვიცით. დავაჟკაცებული, საკმაოდ ასაკში შესული და ცხოვრებაგამოვლილი მოესწრო იმ სანუკვარ დროს, როცა საუკუნეების წინ მიტაცებული მხარე-საამხრეთი საქართველო გათავისუფლდა და მართალია რუსთა მმართველობის ქვეშ, მაგრამ მაინც დედა-საამშობლოს ფარგლებში მოექცა. 1877-78 რუსეთ-თურქეთის ომისა და დაზავების შემდეგ ახლადდაპყრობილ ქართულ პროვინციებში რუსეთის ხელისუფლებას სანდო და ხალხის მიერ აღიარებული პირები სჭირდებოდა (დროებით მაინც). ქედის მაზრაში არნევანი თუფან-ბეგზე შეარჩევს. მას მაიორის წოდება მიანიჭეს და ქედის მაზრის უფროსობაც ჩააბარეს. თედო სახოკიას თქმით "მასზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს, დარბაისელს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვნიდნენ". ანალოგიურია ზაქარია ჭიჭინაძის უფრო ადრინდელი დახასიათებაც. მისი თქმით, თუფან-ბეგი იყო, "დიდი ერთგული თავისი ქვეყნის, მომხრე ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრების და თითქმის მისთვის მებრძოლიც, რომ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში სულ არ წასულიყვნენ". ე.ი. თუფან-ბეგი მუჰაჯირობის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი იყოო. ზაქარია ჭიჭინაძე სხვა დროსაც შეხვედრია მას და მოუსმენია: "ჩაბარების წინა თვეებში (ე.ი. 1878 წლამდე, რ.ს.) აჭარაში კინალამ ამიკლეს და სულ მიწაზე გამასწორეს მხოლოდ იმიტომ, რომ მე გუქადაგებდი ხალხს ნუ იყრებით, იყავით თქვენთვის, ჩავბარდეთ რუსებს, მათ ხელში ცუდი არ მოგველის რაო".

თუფან-ბეგის საქმიანობას მუჰაჯირობის წინააღმდეგ მოგვიანებით, მისი სიკვდილის შემდეგაც ეხება ქართული პრესა. 1915 წელს გაზეთი "საქართველო" წერდა: "თუფან ბეგი ძლიერ წინააღმდეგობას უწევდა ალი ფაშა თავდგირიძის აგიტაციას გადასახლების სასარგებლოდ და დიდი თანაზიარი იყო აჭარის მუფთის ახმედ ხალიფაშვილი, რომელიც ილაშქრებდა აგრეთვე მუჰაჯირობის წინააღმდეგ".

თუფან ბეგმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა და მისი შესწავლა დაუწყია პეტრე უმიკაშვილის მიერ ქედაში გამოგზავნილი დედა-ენით. ამის შესახებ აბდულ მიქელაძე პეტრეს წერს: "რამდენიმე პირები: თუფან შერვაშიძე, ალი-ბეგ შერვაშიძე, ალიაღა აბულაძე სხვებიც ეჩვევიან წერას. თქვენ რომ აზბუკები მიბოძეთ, იმათგან დოურიგე ამათ თქვენი შემწეობით, მეც ყურადღებას ვაძლევ". (ა.მიქელაძე, წერილები აჭარიდან, თბ., 1991, გვ. 43).

შემდგომში თუფან-ბეგს ისე კარგად შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, რომ "ვეფხისტყაოსანსაც" კი კითხულობდა, რომელიც მას ძალზე უყვარდა.

ზაქარია ჭიჭინაძე აგრძელებს თუფან-ბეგის დახასიათებას. "1891-92 წლებში ამასთან ცხოვრების დროს ბეგმა მიამბო, რომ აყრის და გადასახლების დროს მე 2000-3000 კაცის შენახვა მიხდებოდა. მუდამდღე აჭარაში ფქვილს ვურიგებდი მუქთად და ასე კაწყნარებდიო. ბეგი მოყვარელია "ვეფხისტყაოსნის" კითხვის" (ზ.ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, თბ., 1914, გვ. 187,188). იგივე აბდულ მიქელაძე 1898 წლის 8 ნოემბერს წერს: "აჭარის უფროსად აგერ ოცი წელიწადია თუფან ბეგ შერვაშიძე იმყოფება. იგი მუდამ ღარიბი ხალხის მოსარნილე და სწორს გზაზედ დამყენებელი იყო. აქ ყველა მისი მადლობელია, რადგან თუ რაიმე სიკეთე გვჭირს დღეს, ეს სულ თუფან ბეგ შერვაშიძის წყალობით. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იგი რათ ჰღირს, რომ მისის რნეკითა და მამაშვილურის დარიგებით, ბევრი აღარ გადასახლდა ოსმალეთში. ეხლა ამ დალოცვილმა თავისის ნებით სამსახურს თავი დაანება ჩვენში, რის გამოც ჩვენებური ხალხი ძლიერ სწუხს". (იქვე, გვ. 63).

თუფან შერვაშიძე ყოველთვის გამოდიოდა ადგილობრივი მოსახლეობის, უსამართლობით შეეიწროებული ხალხის დამცველად და ამისათვის ხშირად თავის კეთილდღეობას მსხვერპლად წირავდა.

სტეფანე ქემხაძის მოგონებით ყანაღებს მოუკლავთ ხოჯა ყულიჯ ოღლი. თურქოფილები შეეცადნენ ეს მომენტი გამოეყენებინათ არეულობის შესატანად და ხალხის მისამხრობად. მკვლელობას ქართველ ქრისტიანებს აბრალებდნენ, რითაც ცდილობდნენ შფოთის ჩამოგდებას. მათ თუფან-ბეგს შემოუთვალეს: მოვდივართ, შენც დაგვახვედრე შეიარაღებული ხალხი, ჩავიდეთ ბათუმში და შური ვიძიოთო. თუფან-ბეგმა შეუთვალა: ხალხს არ შევაგროვებ და არავითარ შურისძიებას არ ვაპირებო. ხოჯის მკვლელობა შემთხვევით მოხდა, თუ ეს არ დადასტურდება, საამსახურიდან გადავდგებიო. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი გაბრიყვდა, შეიარაღდა და ბათუმისაკენ გაემართა, მაგრამ აჭარისწყალზე მათ მემედ-ბეგ აბაშიძე დახვდათ. მან დაარწმუნა, რომ მოატყუეს. ხალხმა ბეგს მადლობა გადაუხადა და უკან გაბრუნდა.

ხოჯა ყულიჯ -ოღლის მკვლელობაზეც ჩვენი აზრი გვაქვს. ვფიქრობთ, რომ ეს აქტი ცარიზმის ხელისუფლებამ დაგეგმა ადგილობრივ მცხოვრებთა, განსაკუთრებით ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის შფოთისა და მტრობის ჩამოსაგდებად. რადგანაც აქედან არავერი გამოვიდა, ბათუმის ადმინისტრაცია შეეცადა ახალი პროვოკაცია მოეწყო. "ბათუმის პოლიცმეისტერმა ჩიქოვანმა 200 მანეთი შეაძლია ერთ ახალგაზრდა კაცს თუფან-ბეგ შერვაშიძის და სხვა გავლენიან მაჰმადიან ქართველთა მოსაკლავად. ამით ბათუმის პოლიცია ორ კურდღელს დაიჭერდა: თავიდან მოიშორებდა მისთვის არასასურველ თუფან-ბეგს, ხოლო მის მკვლელობას ქრისტიანებს დააბრალებდა და მათ შორის მტრობას გააღვივებდა. ჩიქოვანის მოქმედება დროზე შეიტყო თ.შერვაშიძემ და პოლიციის ოინები ჩაიშალა" (ვლ.სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათ., 1958, გვ. 237). აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული საბუთით მტკიცდება, რომ "იმ ახალგაზრდამ, რომელსაც შერვაშიძის მოკვლა დააკალა პოლიცმეისტერმა, ყველაფერი უამბო მემედ აბაშიძეს, როგორც დიდ გავლენიან პირს. ამ უკანასკნელმა კი დაუყოვნებლივ მიიღო ზომები პოლიციის მიერ მომზადებული ხოცვა-ულეტის თავიდან ასაცილებლად" (ფ. 13, ს.144, ფურც. 117).

ამ გეგმის ჩაშლის მიუხედავად, როგორც სჩანს, ბათუმის პოლიცია მაინც არ დაცხრა. ამიტომ ვფიქრობთ, ხუსეინ-ბეგ შერვაშიძის მკვლელობა შემთხვევითი არ იყო, რაზეც მკითხველს ქვემოთ მოგახსენებთ.

თუფან-ბეგს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა ყანაღებზე. მიანნდა, რომ ისინი იყვნენ არა იმდენად ავაზაკები და მძარცველები, რამდენადაც უსამართლობას განრიდებული აბრაგები, ხალხის დამცველნი და ნამდვილ მძარცველთა ამლაგმავები. ასეთთა რიგს მიეკუთვნებოდა თუფან-ბეგის ნაილული, გულებელი მეგლუდ დიასამიძე. მისი შეპყრობა თუფან ბეგს დაეკალა, მაგრამ ბრძენმა კაცმა ამ'ზე კატეგორიული უარი განაცხადა და სწორედ ამიტომ "თავისის ნებით სამსახურს თავი დაანება". დიაღ, თუფან-ბეგმა საკუთარი ხელით აიყარა ჩინ-ეპოლეტები. სამაგიეროდ მის ადგილას მისულმა პორუსიკმა ვლადიმერ ივანეს ძე ვოსკრესენსკიმ, სულ რაღაც ორ თვეში ღალატით დაახოცვინა ხუსნი ქობ'ულაძე და ახმედ დიასამიძე. ხოლო მათი მეთაური მეგლუდი მძიმედ დაჭრეს, შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

თუფან ბეგთან პ.უმიკაშვილის, ზ.ჭიჭინაძის, თ.სახოკიას გარდა სტუმრად ყოფილან ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგი გრაფინია პრასკოვია უვაროვა და სხვ. რომლებმაც ბევრი საქებარი სიტყვა უძღვნეს გულკეთილ და ხელგაშლილ მასპინძელს, სამწუხაროდ, ჩვენმა თაობამ ვერ შეეძელით თუფან-ბეგის ისტორიული სახლის შენახვა, რომელიც მომავალი თაობებისათვის ჭეშმარიტი მუზეუმი, მაღალზნეობრიობის სკოლა იქნებოდა.

თუფან-ბეგ შერვაშიძე 1913 წელს ბათუმში გარდაიცვალა, თავისივე სახლში, რომელიც 15 წლის წინ ააშენა. საყურადღებოა ამ სახლის აშენების ისტორიაც. თუფან-ბეგს ქედიდან წაბლის ნედლი ჯოხი წამოუღია და ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე ახლადშეძენილი მიწის ნაკვეთზე დაუსვია. რამდენიმე დღის შემდეგ ჯოხი გაცოცხლებულა, ფოთლები ამოუყრია და ნამდვილი წაბლის ნერგად გადაქცეულა.

სახლის საძირკვლის ნაყრის დროს თუფან-ბეგი ქედაში იყო. იქედან გამოგზავნა ოსტატები და თან დააბარა სახლის წინა საძირკველი გაეჭრათ წაბლის ჯოხიდან ერთნახევარი მეტრის დაშორებით. ასეც მოქცეულან. საბედნიეროდ ეს სახლი დღესაც შენახულია, ასევე ცოცხალია ეს წელს გადაცილებული უზარმაზარი წაბლის ხე, რომელიც გადაშლილი ტოტებით იქაურობას მთლიანად ფარავს. აქ ბეგს ჰყავდა ზეინკალი, დურგალი, მინის ჩამსმელი, მრეცხავი და მსახურები, რომლებიც ამავე სახლში ცხოვრობდნენ.

თუფან-ბეგის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ბევრი რამ ჯერჯერობით უცნობია. ამას ხელი შეუწყო 70 წლის განმავლობაში გამეფებულმა ავტორიტარიზმმა, რომელმაც ყოველივე ძველს, მეფურს, თავადურს და ფეოდალურს ჯვაროსნული ომი გამოუცხადა. სამწუხაროდ ეს მკრეხელობა გადაედო მწერლობასაც, ამის გამო მრავალი ისტორიული პირის, მათ შორის თუფან-ბეგ შერვაშიძის ბიოგრაფიაც ზოგიერთ ნაწარმოებში დამახინჯებულადაა წარმოდგენილი.

***

შერვაშიძეთა გვარის ცნობილ წარმომადგენელთაგან რამდენიმე მათგანზე გაგვანია კენტი ცნობა. მკითხველს ვთავაზობთ ამ ცნობებს იმ მიზნით, რომ იქნებ ვინმეს აღმოანდეს სხვა მასალები და შეავსოს ამ პიროვნებათა ბიოგრაფია.

ბენხეთ-ეფენდი შერვაშიძე 1899 წლის ერთ-ერთი საბუთით ბათუმისა და ართვინის ოლქების სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეა (ყადი). საბუთი გაცემულია ჰაფიზ სურმანიძეზე, რომელიც დამტკიცებულია ბათუმის მენეთის იმამის თანამდებობაზე. ვფიქრობთ უინტერესო არ იქნება ამ საბუთის მთლიანად გაცნობა: " მოწმობა. ბათუმისა და ართვინის ოლქების სახალხო სასამართლო ამ მოწმობას აძლევს ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის ოლქის, ქვემო აჭარის უბნის, სოფელ ძენწმანის მცხოვრებ ჰაფიზ-ეფენდი სურმანიძეს, მისივე თხოვნით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის წინადადებით და 1885 წლის 18 ნოემბრის №4891 განკარგულებით მაზედ, რომ დღეიდან ამ სასამართლოს ყადის, ბენხეთ-ეფენდი შერვაშიძეს, სასამართლოს თავმჯდომარის, სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის გენერალ-მაიორ სამოილოვის და წევრების ოსიპ ზაქარიანის და ისაკ-ეფენდი ხალვაშის თანდასწრებით, მან ჩაბარა გამოცდები მუსულმანურ დოგმატებზე, რომლებიც აუცილებელია მაჰმადიანური მენეთის იმამის თანამდებობის დასაკავებლად. ამასთან ერთად გამოსაცდელმა ჰაფიზ-ეფენდი სურმანიძემ გამოავლინა ზემოთდასახელებული თანამდებობის დასაკავებლად სრული ცოდნა, რაც დასტურდება ხელმოწერებითა და სახელმწიფო ბეჭდით. 1899 წლის 18 მარტი. ქ.ბათუმი.

სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი სამოილოვი (ხელმოწერა რუსულად).

ყადი, ბეხნეთ-ეფენდი შერვაშიძე (ხელმოწერა არაბულად).
წევრები: ო.ზაქარიანი (ხელმოწერა რუსულად)
ი.ხალვაში (ხელმოწერა რუსულად)
საქმეთა მწარმოებელი (ხელმოწერა გაურკვეველია)"
საბუთს ადევს ლუქი და ბეჭედი.

შერვაშიძეთა გვარიდან შედარებით ნაკლებად ცნობილია ხუსეინი. იგი ჰაჯი-ასლან-ბეგის შვილი, თუვან-ბეგის ძმა და ყადირის ბიძაა. შ.მეგრელიძის ცნობით, ხუსეინ-ბეგი 18 წელი მაზრის უფროსად იყო ბათუმსა და ტრაპიზონში, ჰქონდა პოდპოლკოვნიკის წოდება და რუსული კურსით 100 მან. ხელფასი თვეში (იხ. მისი აჭარის წარსულიდან, თბ., 1964, გვ. 37). მის შესახებ ისიც ვიცით, რომ 1906 წლის 7 იანვარს ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან ა.ი.ივანოვთან ქუჩაში სეირნობისას ტერორისტებმა სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს ივანოვს. ხუსეინ-ბეგმა დიდ შეურაცხყოფად მიიღო მის გვერდით მყოფი გენერლის მკვლელობა, იძრო რევოლვერი და მკვლელებს დაედევნა. ტერორისტს გრიგოლ კინწურაშვილს სულაც არ ჰქონდა სურვილი მასთან შეტაკებისა, მაგრამ ხუსეინ-ბეგი მოსაკლავად მისდევდა და იძულებული გახდა ესროლა. აჭარის სახელმწიფო არქივის ერთ-ერთ საბუთში ეს ფაქტი ასეა აღწერილი: "დაახლოებით დღის 2 საათზე ბათუმის ცენტრალურ ქუჩაზე მოკლეს ბათუმის ოლქის უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი, ტიტულარული მრჩეველი ივანე ალექსანდრეს ძე ივანოვი. მასთან ერთად ქუჩაში მიდიოდა ქვემო აჭარის სოფელ ალიქოლლის მცხოვრები მემამულე, ხუსეინ-ბეგ შერვაშიძე, რომელიც რევოლვერით დაედევნა მკვლელებს, ის-ის იყო დაეწია კიდეც მათ, მაგრამ მასაც მოხვდა ტყვია და იქვე დაეცა" (ფ.13, ს.2, ფურ. 142,152).

ისტორიკოს ხარიტონ ახვლედიანის თქმით "შერვაშიძემ ძალით შეაკლა მათ თავი, სრულებით არ ფიქრობდნენ მის მოკვლას, ტერორის ობიექტი იყო ივანოვი. მან რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო სამსახური პოლიციაში იმ მიზნით, რომ შური ეძია რევოლუციონერების წინააღმდეგ. სწორედ ამის გამო მას გაუსწორეს ანგარიში. ხუსეინ-ბეგმა შეურაცხყოფად მიიღო, "როგორ თუ გაბედეს ჩემს გვერდში მყოფი ადამიანის მოკვლაო". იგი დაედევნა მკვლელებს, თორემ ივანოვის მკვლელი გრიგოლ კინწურაშვილი სრულებით არ ფიქრობდა შერვაშიძის მოკვლას" (სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ. 1956, გვ. 197).

არ შეიძლება არ დაეთანხმო ღვაწლმოსილი მეცნიერის ამ ლოგიკურ განსჯას. ისიც საფიქრებელია, რომ სწორედ იმ ხანებში რეაქციონერები აპირებდნენ ხუსეინ-ბეგის ძმის თუფან-ბეგ შერვაშიძის მოკვლას (ამაზე იხილეთ ზემოთ), მაგრამ ეს ვერ შეძლეს. ხუსეინ-ბეგის მკვლელობა ხომ არ იყო მისი ძმის თუფან-ბეგის განუხორციელებელი მკვლელობის ცდის გაგრძელება? ვფიქრობთ ლოგიკის ელემენტები აქაც არის.

ასევე ცალი სიტყვა შეიძლება ვთქვათ ვინმე მოლა-ალიზე, რომელიც 1873 წელს ქედაში შეხვედრია დიმიტრი ბაქრაძეს და მისთვის მეგზურობა გუწევია. დ.ბაქრაძის თქმით, იგი გვარად გიგიშვილია, "თუმცა თვითონ აჭარაში ცნობილი ბეგების გვარს შერვაშიძეს ჩამულობდა. იგი ძალიან მხიარული და დიდი ოხუნჯი კაცი გამოდგა და ისე შემეთვისა, რომ დიდხანს არ მომშორებია. მოლა-ალიმ გზაში მისიცვე შეთხზული ბევრი სიმღერა მიკარნახა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს სიმღერები იმდენად უწმაწურია, რომ მათი გამოქვეყნება არ შეიძლება" (დ.ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ., 1987, გვ. 34), გიგიშვილის გვარი ერთი იშვიათია საქართველოში (გვხვდება თბილისში, კახეთში). არც ახლა, არც სხვა ავტორებთან არ შემხვედრია, თუმცა იგი შესაძლოა აჭარაში ერთი გამქრალი გვარი იყოს. თუ თავად მოლა-ალის დავუჯერებთ, რომ ის შერვაშიძეა, საფიქრებელია, თუფან-ბეგის ძმა იყოს. მოლა-ალი დ.ბაქრაძეს სხალთაშიც ახლდა, თუმცა ეკლესიის დათვალიერებაზე, სარწმუნოებრივი მოსაზრებებით მას უარი უთქვამს (გვ. 55).

დიმიტრი ბაქრაძე თუფან-ბეგის მეორე ძმას ხასან-ბეგსაც შეხვედრია. იმ დროისათვის ბეგი 60 წლისა ყოფილა. მას ცოლად ჰყავდა თუთიე-ხანუმ სურმანიძე. ხასანს აჭარული მილიციის ათასეულით 8 წელი ბოსნიაში დაუყვია. სადაც ადგილობრივი ენაც შეუსწავლია. 1873 წელს ხასან-ბეგი მთავრობას დაუნიშნავს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც აზუსტებდა აჭარისა და ქობულეთის ქონებას და შეჰქონდა საინვენტარო წიგნებში.

ყურადღებას იქცევს დიმიტრი ბაქრაძის ხულოელი მასპინძელი და ინფორმატორი, 80 წლის მემედ-აღა შარაშიძე, რომელიც, დროებით მურთაზ-ბეგის მოვალეობას, მუდირობას ასრულებდა ხულოში. დ.ბაქრაძის თქმით, ისიც შერვაშიძეთა გვარს მიეკუთვნება (გვ.64). ჩვენ ამის დამადასტურებელი სხვა საბუთი არ გაგვაჩნია, ამიტომ მემედ-აღას შესახებ ამით დავკმაყოფილდეთ.

# ყადირ-ბეგ შერვაშიძე

## (ბავშვობა)

თუფან-ბეგს ცოლად ჰყავდა დანდალოელი ბეგის ავალიანის ქალი ფატმა-ხანუმი. მისგან შეეძინა ოთხი ვაჟი და ხუთი ქალი; ვაჟები: ზეკერია, ქამილი, რეშიტი და ყადირი; ქალები: ულუვეთი, ზერე, სალიე, უნქარი და ესმა. ქამილი და უნქარი 14 წლის ასაკში სახადით გარდაიცვალნენ.

ყადირი 1887 წლის 29 ივნისს დაიბადა. პირველი განათლება ოჯახში მიიღო. მისი აღმზრდელი ყოფილა თალიბ-აღა. შემდეგ 10 წლის ასაკში ყადირი მამამ ბათუმში გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაში შეიყვანა. სწორედ ამ დროს იყო თუფან ბეგთან სტუმრად თედო სახოკია. 24 აგვისტოს სტუმართან ერთად თუფან ბეგის შვილები ქამილი და ყადირი, აგრეთვე მათი ორი ნათესავი (ჩვენი აზრით ერთ-ერთი მათგანი იყო ავალიანი, ხოლო მეორე- სულეიმან შერვაშიძე) ბათუმში გამგზავრებულან. აი როგორ აღწერს ამ მომენტს ღვაწლმოსილი ეთნოგრაფი: "24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას სოფ. ქედასაც თავი დავუკარით. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი: ორი თუფან ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლადგახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ. ორ მათგანს ბათუმის საქალაქო სასწავლებელში უსწავლიათ და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ. თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა-რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალნი შვილნი აჭარის ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამოწყობილნი: თავზე სირმიანი ყაბალახები ჰქონდათ შემოხვეული. ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჯირათ თავი, თითქო ზედ დაბადებულანო.

ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა, აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა..." (მოგზაურობანი. თბ. 1950. გვ. 244).

## ბათუმის გიმნაზიაში.

1897-99 წლებში ყადირი სწავლობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსამზადებელ განყოფილებაზე. 1899 წელს ჩაირიცხა გიმნაზიის პირველ კლასში. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღმოჩენილი საბუთი (ფ.441, საქ.1785, ფურ.84) წარმოდგენას გვიქმნის ყადირის სწავლის, აკადემიური მაჩვენებლების, ყოფაქცევისა და საზოგადოებრივ მოძრაობაში მონაწილეობის შესახებ.

იმავე საბუთით ნათელი ხდება ყადირის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. როგორც ცნობილია შავი ზღვის სანაპირო ზოლი და მიმდებარე სოფლები იმ დროისათვის მალარიის ბუდეს წარმოადგენდა. ამიტომ მოსახლეობა იქ დამკვიდრებას ერიდებოდა, მხოლოდ დროებით, ზამთრობით ჩამოდიოდა. მუდმივ ცხოვრებას უფრო მთიან სოფლებში არჩევდა. ყადირიც ბათუმში აბსოლუტურად ჯანსაღი ჩამოვიდა, მაგრამ პირველ წელსვე დაავადდა ე.წ. ჭაობის ცხელებით, მალარიით. მის პირად უწყისში აღნიშნულია, რომ 1898 წლის მესამე მეოთხედში დაავადების გამო გააცდინა 4 გაკვეთილი, მეოთხე მეოთხედში 29 გაკვეთილი, 1899 წლის მეორე მეოთხედში ხუთი გაკვეთილი. მესამე მეოთხედში 5 გაკვეთილი 1900 წლის მესამე მეოთხედში 12 გაკვეთილი. მეოთხე მეოთხედში 8 გაკვეთილი. მომდევნო წელს როგორც ჩანს, ვერ წარმოადგინა ავადმყოფობის ცნობა, რის გამო პირად საქმეში ჩაუწერეს, თვითნებურად გააცდინა და ორი საათით პატიმრობა მიესაჯაო.

საყურადღებოა, 1897-1905 წლებში ბათუმის გიმნაზიაში ყადირთან ერთად სწავლობდნენ: მელენტი ზაქარიაძე, ხასან ლორთქიფანიძე, ქამილ შერვაშიძე, ხასან თავდგირიძე, ს.ხალვაში, ბექირ შაშიკაშვილი, ვალერიან მაქაცარია, გიორგი ხეჩინაშვილი, ჯემალ და სულეიმან დიასამიძეები, სულეიმან შერვაშიძე, მუხამედ და ჰაიდარ კონცელიძეები, ისრაფილ-ბეგ ხიმშიაშვილი და სერგო კლდიაშვილი.

გიმნაზიაში ყოფნის პირველ წლებში ყადირი ხასიათდება: როგორც მონდომებული, შრომისმოყვარე და ყურადღებიანი ახალგაზრდა, რაც კულტურულ ოჯახში მისი აღზრდის ნაყოფი იყო. გიმნაზიის მეორე კლასიდან პირადი საქმის ჩანაწერების

მიხედვით იგი "ზოგჯერ აკლესს თავაშვებულობას, ნაკლებად მონდომებულია, ოვითნებურად ტოვებს გაკვეთილებს" და ა.შ.

ამ ნანაწერს მოსდევს 1903 წლის 16 მაისის №56 ოქმი, რომლთაც ვგებულობთ, რომ მე-3 პარალელური კლასის მოსწავლეები ხასან ლორთქიფანიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები как успевающие по всем предметам, переведены в четвертый класс ამით დასტურდება ყადირის წინა დახასიათების ტენდენციურობა.

"მონდომებული შრომისმოყვარე და ყურადღებიანი" მოსწავლის გამოგონილი "თავაშვებულობა და თვითნებობა" იწყება 1902 წლიდან, როცა ბათუმის გიმნაზიაში გამეფებული რეჟიმის წინააღმდეგ დაირაზმა მოსწავლე ახალგაზრდობა და დაიწყო ფარული წრეების შექმნა. ამ საქმეში მათ ხელს უწყობდნენ პროგრესული პედაგოგები: ა.მგელაძე, მ.შარაშიძე, ცნობილი აკადემიკოსი - სლავისტი, ნ.დერჟავინი, ა.ბერიძე (შემდგომში ცნობილი მხატვარი), ე.ვოიცეხოვსკი და სხვ. ისინი არარუს მოსწავლეებში აღვივებდნენ სიძულვილს თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ მოსწავლეები ხშირად არ ემორჩილებოდნენ რეაქციონერი მასწავლებლების მოთხოვნებს და დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ასეთი მოსწავლეები მასწავლებლებსაც ათვალწუნებული ჰყავდათ, ისინი ასმენდნენ ოხრანკაში, აგენტებთან, რის გამო განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. თითოეულ მათგანს მიუჩინეს მასწავლებლები, რომლებიც მიზეზით თუ უმიზეზოდ ტოვებდნენ იმავე კლასში ან აიძულებდნენ მოსწავლეებს მიეტოვებინათ გიმნაზია. ასე დატოვეს მე-4 კლასში ყადირ შერვაშიძეც.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, ყადირ შერვაშიძე თვალში ამოიღეს მათემატიკისა და გერმანულის მასწავლებლებმა, ა.ჟელტუხინმა და ო.გაბულოვმა. გაკვეთილების დროს ზოგჯერ მათი საუბარი არასასურველ მოსწავლესთან, იმდენად გამომწვევი და პროვოკაციული იყო, რომ ყადირი იძულებული იყო მიეტოვებინა გაკვეთილი, ან საერთოდ არ გამოცხადებულიყო. ყოველივე ეს იწერებოდა მოსწავლის პირად საქმეში. მოახსენებდნენ გიმნაზიის ხელმძღვანელობას, რაც კიდევ უფრო აროულებდა მიზანში ამოღებული მოსწავლის მდგომარეობას. იმავე მათემატიკასა და ფრანგულში 1905 წლის მაისში ყადირს ნიშნები არ დაუწერეს და გამოცდები შემოდგომისათვის გადაუტანეს. 27 აგვისტოს ნანაწერებით კი დასტურდება, რომ მან გამოცდები მაინც ჩააბარა და მე-5 კლასში გადაიყვანეს.

ბუნებრივია, პედაგოგების მიკერძოებული ქმედება მოსწავლეშიც იწვევდა ზიზღსა და სიძულვილს. ძალაუნებურად უნდა ეძებნა გზები მასწავლებლების წინააღმდეგ. ან უნდა გასცლოდა გიმნაზიას.

მოსწავლეთა შეფასების წესზე თავის დროზე ყურადღება მიუქცევია აჭარის განათლების ისტორიის ცნობილ მკვლევარს გ.ჭანტურიას. (В.Г.Чантурия. Очерки по истории просвещения в Аджарии. Бат., 1941. стр.82).

1901 წელს რსდმპ ბათუმის კომიტეტმა მსხვილ საწარმოებში შექმნა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები, რომელთა გავლენით ვაჟთა გიმნაზიაში თვითგანვითარების წრეები ჩამოყალიბდა. დასაწყისში ამ წრეში ათიოდე მაღალი კლასის მოსწავლე იყო გაერთიანებული. 1905 წლიდან წევრთა რიცხვმა რამდენიმე ასეულს გადააჭარბა. მას ჰყავდა წინამძღოლები და, ცხადია აგიტატორებიც, რომლებიც ფარულად ახერხებდნენ მოსწავლეთა იდეურ აღზრდას. წრის ერთ-ერთი წევრი ივანე რამიშვილი 1902 წლის 5 აპრილს დააპატიმრეს იოსებ ჯუღაშვილთან ერთად, რაც მრავლისმეტყველია. როგორც სჩანს ყადირიც ამ დროიდან ხდება აღნიშნული წრის აქტიური წევრი.

ფარულ წრეებში ყადირმა გაიარა ძალზე აქტიური იდეური წრთობა. ეს ნათლად გამოვლინდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს, რომელშიც გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეები და პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობდნენ. 1905 წელს ყადირის თანაკლასელებმა მოითხოვეს დირექტორის გადაყენება, ხოლო შემდეგ ტყვიები დაუშინეს მეფის სურათს, რის გამო ზოგიერთი შემჩნეული მასწავლებელი და IV კლასზე უფროს მოსწავლეთა ნაწილი დააპატიმრეს, ნაწილი კი, მათ შორის ყადირ შერვაშიძეც, "მგლის ბილეთით" გიმნაზიიდან გარიცხეს.

1905 წლის 24 სექტემბრის ჟურნალში ჩაწერილია, რომ მთავარმართებლის კანცელარიის შუამდგომლობით მიზანშეწონილად მიაჩნიათ გიმნაზიის V კლასში მიღებულ იქნას IV კლასის ყოფილი მოსწავლე გიორგი ხვინგია, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ამაზე უარი უთხრეს. ახლა ამის პირობები შეიქმნა და შესაძლოა მისი ჩარიცხვა გიმნაზიიდან გასული თავადი შერვაშიძის ადგილზეო (აჭარის ცსა, ფ 10, არქ. №(17.7) - წერია საარქივო დოკუმენტში.

# თბილისის გიმნაზიაში

რამდენიმე დღის შემდეგ პედაგოგი ნიკოლოზ დერჟავინი (შემდგომში ცნობილი სლავისტი-აკადემიკოსი) გააცილეს და ბათუმიდან გაასახლეს. იგი თბილისში გადავიდა და პირველ კლასიკურ გიმნაზიაში შეუდგა მუშაობას. სწორედ მისი და ნათესავების დახმარებით "მგლის ბილეთის" მქონე, ყადირმა მაინც შეძლო ამავე გიმნაზიის მეხუთე კლასში შესვლა. აქ რუსულ ენას ნიკოლოზ დერჟავინი ასწავლიდა.

თბილისში ცხოვრება ყადირისათვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. თუვან ბეგი ამ როს უკვე აღარ მუშაობდა. მევლულ დიასამიძის და ილიას ხილაძის საჯაროდ სიკვდილით დასჯის შემდეგ, როგორც ზემოთაც ვთქვით, პროტესტის ნიშნად მან მიატოვა სახელმწიფო სამსახური და პენსიაზე გავიდა. ასეთ ვითარებაში გაძნელდა შვილების მატერიალური უზრუნველყოფა. როგორც საარქივო მასალებით მტკიცდება ყადირი გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სიაში შეუტანიათ და რამდენიმეჯერ მისთვის საქველმოქმედო ფულადი დახმარება გაუწევიათ.

"თბილისში ყადირ შერვაშიძე სულ სხვა გარემოში აღმოჩნდა. მართალია აქაც იგრძნობოდა რეაქციის სუსხი რევოლუციის უკანდახევისა და შემდეგ დამარცხების გამო, მაგრამ ამის მიუხედავად დედაქალაქი მაინც რჩებოდა ეროვნული ცხოვრებისა და ცნობიერების ცენტრად და, ეჭვსგარეშეა ამ მხრივ მან მნიშვნელოვნად გააფართოვა ყმაწვილის გონება და, რაც მთავარია, ეროვნულ-პოლიტიკური თვალსაწიერი". (აბ.სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე - თამარის ორდენის რაინდი, ქუთაისი, 1997, გვ. 19)

გიმნაზიის დამთავრებისთანავე უნივერსიტეტში გასაგზავნი საბუთებისათვის საიმპერატორო ფოტოგრაფთან ე.კლართან გადაუღია სურათი, რომლის მეორე გვერდზე არის გიმნაზიის დირექციის წარწერა რუსულ ენაზე, "ბეგი შერვაშიძე, რომელმაც 1909 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზია". მინაწერი დასტურდება ხელწერითა და სახელმწიფოს ბეჭდით 1909 წლის 17 ივლისს.

ყადირთან ერთად გიმნაზია დაამთავრეს ნიკოლოზ გიჟიმყრელმა, პეტრე ქარუმიძემ, მიხეილ ნიქოვანმა, ალი-ბეგ გაიბოვმა და სხვ. (საქ.ცსა, ფ441, საქ.1834, ფურ.92).

# უნივერსიტეტში

1909 წელს ყადირ შერვაშიძემ დაამთავრა თბილისის გიმნაზია, მის წინაშე ახალი დილემა დადგა. "მგლის ბილეთით" თბილისში კი შეძლო სწავლის გაგრძელება, მაგრამ ამ საბუთებით რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მისთვის ყველა კარი დაკეტილი იყო. ერთადერთი, სადაც შეიძლებოდა შესვლა იყო ტარტუს უნივერსიტეტი. ნიკოლოზ დერჟავინის რჩევით ყადირმაც ტარტუსაკენ აიღო გეზი. მატარებლით მოგზაურობისას ყადირმა გაიცნო ქუთაისელი ინტელიგენტის, ტიტულარული მრჩევლის, ვარლამ მარკოზის ძე ბახტაძის (ცხოვრობდა ქუთაისში, ბაღის ქუჩაზე) ქალიშვილი ნადეჟდა (ცუცა). როგორც სჩანს ამ მოგზაურობამ ახალგაზრდების ბედიც გადაწყვიტა. ყადირმა გულით შეიყვარა მშვენიერი ცუცა. საყურადღებოა რომ ტარტუში ნასვლისას, ბინაც ერთ სახლში დაიდეს. ცუცა ნინო ჭოღოშვილთან ერთად მეორე სართულზე ცხოვრობდა, ხოლო ყადირი და გიორგი (გოგლიკა) შერვაშიძე პირველ სართულზე იყვნენ.



*ყადირ შერვაშიძე 1909 წ.*

ცუცა უნივერსიტეტის კბილის საექიმო ფაკულტეტზე ნაირიცხა, ხოლო ყადირი

სამედიცინო ფაკულტეტზე. საყურადღებოა, რომ დასაწყისში ჭაბუკს სულ სხვა სპეციალობა სურდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ცუცასთან ურთიერთობამ ამ განზრახვაზე ხელი ააღებინა და თავადაც მკურნალის პროფესია აირჩია.

ნადეჟდა ბახტაძე 1915 წ.

ხელთა გვაქვს ტარტუს უნივერსიტეტში ჩვენს მიერ მოძნული და ჩამოტანილი ყადირის პირადი საქმის ფოტოპირი. აქ ძირითადად განცხადებები, მიწერ-მოწერები, თხოვნები და სხვა საბუთებია წარმოდგენილი.

ვხვდებით აკადემიურ მაჩვენებლებსაც. გვყავს აგრეთვე უნივერსიტეტთან არსებული ბავშვთა პოლიკლინიკის პრივატ-დოცენტის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც მტკიცდება, რომ მასთან ნადეჟდა ბახტაძემ მოისმინა ყვავილის აცრის სპეციალური კურსი, მეცადინეობდა მისი ხელმძღვანელობით ადამიანებზე ყვავილის აცრაში და ჩატარებული გამოცდის დროს ცოდნა ფრიადზე გამოავლინა. რუსეთის იმპერიის საექიმო წესდების მიხედვით ძირითადი პროფესიის, კბილის ექიმის დიპლომის მიღებამდე ენიჭება ყვავილის ამცრელის წოდება და უფლება აქვს ჩაატაროს დაავადებისაგან დამცავი აცრები. ცნობა გაცემულია 1911 წლის 14 თებერვალს, როცა ნადეჟდა ბახტაძე უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო.

ტარტუში ყადირი თავისი რნეულის ნამდვილი მზრუნველი და დამცველი იყო. როგორც იტყვიან ფეხდაფეხ დასდევდა და ვინ იქნებოდა ისეთი თავზე ხელაღებული, რომ ქალისათვის რაიმე გაებედა, უბრალო კომპლიმენტიც კი. ერთხელ ქუჩაში მიმავალ ცუცას მეორე სართულის ფანჯრიდან რომელიღაც თაყვანისმცემელმა ყვავილი გადმოუგდო. იგი ქალიშვილის წინ დაეცა. თურმე ცუცას უკან ყადირი მიდიოდა. ამაყმა თავადიშვილმა იუკადრისა "პატივისცემა" და ახალგაზრდა დუელში გამოიწვია. მაშინ დუელის წესები შეზღუდული იყო. შეიძლებოდა მხოლოდ წელს ქვემოთ სროლა და ყადირმაც მეტოქე ფეხებში დაჭრა, თავად კი უვნებლად გადარჩა.

ყადირი ჭეშმარიტ რაინდად ყალიბდებოდა. ქალისადმი პატივისცემა კანონად იქცა. მიუხედავად ამისა ზოგჯერ უნებლიედ იძულებული იყო წესი დაერღვია: ერთხელ იგი ერთ მოშუღართან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. მეტოქეები ხანჯლებს ატრიალებდნენ. მათ შორის ერთ-ერთის მეუღლე ჩადგა: ქალი ისე მოულოდნელად გამოჩნდა, რომ ყადირმა მოქნეული ხანჯალი ვეღარ დაიმორჩილა და მას მკლავი გაუკაწრა. ამან ახალგაზრდა ყადირი დიდად შეაწუხა. იმ ქალს კი ეს ნაწიბური დაანდა და არათუ საყედურობდა ყადირს, პირიქით ამაყობდა კიდეც, რომ სამკვდროსასიცოცხლოდ წაკიდებული ბიჭები შეანერა. ყადირს თურმე მთელი სიცოცხლე აწვალებდა სინანული მომხდარის გამო.

ახალგაზრდა ყადირის ცხოვრებაში მრავალი კურიოზებიც მომხდარა. ერთ-ერთი ნადიმის დროს მეგობრები ქუჩაში გამოვიდნენ და ეტლში ჯდებოდნენ. ერთ-ერთის მეუღლეს ისე ვიწრო კაბა ეცვა, რომ ეტლში ფეხი ვერ შედგა, დიდხანს იწვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მეუღლე ისე მთვრალი იყო, რომ ცოლს ვერ დაეხმარა. ყადირმა კი ვერ პკადრა ხელით აყვანა. ბოლოს მოთმინება დაკარგულმა თავადიშვილმა ხანჯალი იშიშვლა და ქალს კაბა მუხლებამდე ჩაუჭრა: - აბრძანდით ქალბატონო ეტლში. - უთხრა, ქმარიც გვერდზე მიუსვა, თავად კი სხვა ეტლი დაიქირავა.

ტარტუს უნივერსიტეტი ლიბერალური წესების გარდა სხვა მხრივაც იყო განთქმული რუსეთის იმპერიაში. სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან შედარებით აქ სწავლის ხარისხი გაცილებით მაღალი იყო. ამისათვის ისიც საკმარისია თუ ვიტყვით, რომ აქ მოღვაწეობდნენ და ლექციებს კითხულობდნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი-მედიკოსები: ნ.ნ.ბურდენკო, ნ.ი.ლუნინი,

ვ.ვ.ვერესაევი და სხვ. გასაკვირი არაა, რომ ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტდამთავრებული მრავალი ჩვენი თანამემამულე ქართული მედიცინის სხვადასხვა დარგის და სამედიცინო პროფილის ფუძემდებელი გახდა: კონსტანტინე ერისთავი-ქირურგი, ერმალო თოდაძე-ფოროლოგი, ვლადიმერ თოხაძე-პედიატრი, მიხეილ ჟორჟოლიანი-ჯანდაცვის ორგანიზატორი (სხვათაშორის ის რამდენიმე წელს აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე იყო), ალექსანდრე შატილოვი-ოკულისტი, სიმონ კანდელაკი-პარაზიტოლოგი და სხვ. რომ დასცლოდა, ალბათ ყადირიც გააგრძელებდა სამედიცინო საქმიანობას, მაგრამ მას ბედმა ბავშვობიდანვე ფათერაკები, მოუსვენარი, ხმალშემართული ბრძოლა არგუნა. ეს მძიმე ცხოვრება ტარტუშიც გაგრძელდა. რამაც ასახვა ჰპოვა მის ბიოგრაფიაში.

უნივერსიტეტში შესვლის პირველი დღეებიდანვე ყადირ შერვაშიძე პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მის ბინას ხშირად საიდუმლოდ ათვალიერებდნენ, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს ნახულობდნენ. პოლიციამ კარგად იცოდა ნადექედას და ყადირის სიახლოვე. ამიტომ ახლა თვალთვალი დაუწყეს ცუცას ბინას. ტარტუს უნივერსიტეტის არქივში ჩვენ ვნახეთ საბუთი, რომლითაც ირკვევა, 1910 წლის 1 ნოემბერს უნივერსიტეტის კბილის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტის ნადექედა ვარლამის ასული ბახტაძის ბინაში პოლიციამ უმკაცრესი ჩხრეკა ნაატარა, მომდევნო წლის თებერვალში აგენტურამ ჟანდარმერიას აცნობა, რომ მზადდებოდა სტუდენტთა კრება. პოლიცია მოულოდნელად შეიჭრა ამ შენობაში და 22 სტუდენტი, მათ შორის ყადირ შერვაშიძეც დააპატიმრა. საქმეში ჩაერია უნივერსიტეტის პროფესორი, იმპერატორის ლეიბქირურგი ციოგე ფონ მანტეიფელი და რექტორი, მათ ადმინისტრაციას აცნობეს, რომ ეს დაპატიმრებები სტუდენტთა მასობრივ მოძრაობას და დიდ უწესრიგობებს გამოიწვევდა. ადმინისტრაციამ 6 დღის პატიმრობის შემდეგ ყველა სტუდენტი, მათ შორის ყადირიც გაათავისუფლა, თუმცა მათ მიმართ ჟანდარმერიამ კიდევ უფრო გააძლიერა მეთვალყურეობა. ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობეს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს, რომელმაც ყადირ შერვაშიძეს მოუხსნა სტიპენდია. ამგვარად იგი გარიცხვას კი გადაურჩა, მაგრამ სრულიად უსახსროდ დარჩა. ამას დაერთო მამის თუფან-ბეგ

შერვაშიძის გარდაცვალებაც (1913 წ.), რამაც კიდევ უფრო გაართულა სტუდენტის მდგომარეობა.

ყადირის პირად არქივში ინახება მრავალი თხოვნა სტიპენდიის აღდგენაზე, მაგრამ ყველა მათგანში გაცემულია ბიუროკრატიული პასუხი: "სტიპენდია დაენიშნა სხვა პირს, ამიტომ თქვენ ვერ დაგაკმაყოფილებთო".

ასეთ დროს სტუდენტის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა ქართველ სტუდენტთა გაერთიანება.

## სტუდენტთა სათვისტომო

რუსეთის იმპერიაში იურიევის (ტარტუს, დერპტის) უნივერსიტეტს, როგორც გამონაკლისი, მინიჭებული ჰქონდა ავტონომიური უფლებები. ამ სასწავლებელში სხვა უნივერსიტეტებიდან "მგლის ბილეთით" გარიცხულებსაც ღებულობდნენ, ამიტომაც აქ თავი მოიყარეს მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე ახალგაზრდებმა, რომელთათვის სხვა უმაღლესი სასწავლებლების კარები დახშული იყო.

გასული საუკუნის მიწურულს იურიევის უნივერსიტეტში მრავალი ქართველი ახალგაზრდა ჩაირიცხა. მათ იქ შექმნეს ქართველ სტუდენტთა სათვისტომო. ამ ეროვნული ორგანიზაციის შესახებ ცნობებს ვხვდებით ი.ტატიშვილის და ო.დეკანოსიძის წიგნში "მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა" (1969წ.), ტარტუს ქართულ სათვისტომოზე გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში" ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ვიოლეტა გაგუამ (ოქტომბერი, 1978 წ.), მაგრამ როგორც თვით ავტორი აღნიშნავს იგი ძირითადად სათვისტომოს ბიბლიოთეკაზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას, თუმცა წერილში სხვა მრავალი საინტერესო საკითხიც არის გაშუქებული.

ტარტუს ქართველთა სათვისტომოს უფრო ვრცლად შეეხო ესტონელი მეცნიერი სერგეი ისაკოვი თავის წიგნში "წლებსა და მანძილს შორის" (1971 წ. რუსულ ენაზე). სათვისტომოს საქმიანობის შესასწავლად 1970, 1977 და 1980 წლებში სპეციალურად ვიმოგზაურე ესტონეთის ქალაქებში. ჩემს მიერ მიკვლეული

მასალები წარვადგინე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სამეცნიერო კონფერენციებზე და წავიკითხე სამი მოხსენება, რომლებიც ცალკე შრომების სახით კიდეც დაიბეჭდა.

რუსეთის პირველ რევოლუციამდე ტარტუს ქართველთა სათვისტომო არალეგალურად არსებობდა, ამიტომ ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ შემონახული არაა. ამავე მიზეზით ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია სათვისტომოს დაარსების ზუსტი თარიღი. როგორც ცნობილია 1892 წელს ტარტუს უნივერსიტეტში სწავლობდა ეროვნული ქართველი სტუდენტი ზ.გ.აბდუშელიშვილი. 1897 წელს სტუდენტთა რიცხვი 10-მდე გაიზარდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ 30-ს მიაღწია.

ჩვენი აზრით, ტარტუში ქართველ სტუდენტთა სათვისტომო დაარსდა 1898 წლის 14 თებერვალს, ე.ი. სწორედ მაშინ, როცა ქალაქის ბიურგერმუსეს დარბაზში გაიმართა პირველი ქართული საღამო, მისი საერთო ხელმძღვანელობა ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ გასწია. საღამოს ჩატარებაზე პასუხისმგებლობა იკისრა ესტონელმა პროფესორმა ლეონჰარდ მაზინგმა, რომელიც, სხვათაშორის, ქართულ ენასაც ფლობდა.

ქართველთა სათვისტომოს გარდა ტარტუს უნივერსიტეტში არსებობდა იურისტ სტუდენტთა წრე, მედიკოს სტუდენტთა საზოგადოება, რუს სტუდენტთა საზოგადოება, კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოება, სომეხთა სათვისტომო, ებრაელთა სამზარეულო და სხვ. მათ შორის განსაკუთრებული აქტიურობით, მდიდარი სამოქმედო პროგრამით გამოირჩეოდა ქართველ სტუდენტთა სათვისტომო.

ჩვენს თანამემამულე ახალგაზრდებს ჰქონდათ საკუთარი წესდება, რომლითაც სათვისტომოს წევრობა შეეძლოთ მხოლოდ ქართველ სტუდენტებს თუ სხვა ერის წარმომადგენლები გამოთქვამდნენ მათთან გაერთიანების სურვილს, საკითხს გადაწყვეტდა საერთო კრება.

სათვისტომოს მუშაობის მრავალფეროვნებაზე მეტყველებს მისი მიზნები და ამოცანები: ღარიბ სტუდენტებზე მატერიალური დახმარება; საღამო-კონცერტების გამართვა; სტუდენტების დაახლოება და მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება; სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით და სხვა წიგნებით უზრუნველყოფა: სტუდენტებზე დახმარება მათი

ავადმყოფობის ან მშობლებისა და ახლობლების გარდაცვალების შემთხვევაში; არაქართველი საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ეთნოგრაფიის გაცნობა; სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადება და მათთვის რევოლუციური იდეალების შთაგონება.

ს.ისაკოვი თვლის, რომ ტარტუს ქართველთა სათვისტომოში თავისი არსებობის მანძილზე ჩარიცხული იყო 110 სტუდენტი. თავად ავტორი ამ ციფრს არასრულს უწოდებს. მართლაც, ამ სიაში შეტანილი არაა მრავალი ქართველი. მარტო სამეიცინო ფაკულტეტიდან გამოტოვებულია 20 ახალგაზრდა. ამგვარად ჩვენ მიერ შეგროვილი არასრული ცნობებით სათვისტომოში ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი 160-მდე გაიზარდა.

სათვისტომოს ჰყავდა 14 საპატიო წევრი. მათ შორის პოეტები: აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, დავით კლდიაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, იოანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი, პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძე და სხვ.

ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობებით მტკიცდება, რომ ტარტუს ქართველთა სათვისტომო მატერიალურ დახმარებას უწევდა არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტებს, არამედ სტიქიური უბედურებით დაზარალებულ საქართველოს მოსახლეობასაც.

1899 წელს ქართველმა სტუდენტებმა ტარტუში გახსნეს ბიბლიოთეკა, რომელიც შემდგომში წიგნებით შეავსეს ქართული გაზეთების "ივერიის", "კვალის", "აკაკის კრებულის", "ცნობის ფურცლის", "მოამბის", "ჯეჯილის" და სხვათა რედაქციებმა, აგრეთვე მწერლებმა და მეცნიერებმა.

ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ძირითადი ფორმა იყო ქართველი ხალხის კულტურისა და ისტორიის შესწავლა. ამ მიზნით 1900 წელს დაარსდა სამეცნიერო წრე, რომლის სხდომებზე (თვეში ერთხელ) ისმენდნენ რეფერატებს, მოხსენებებს, აწყობდნენ დისკუსიებს. 1913 წელს წრეს ეწოდა იმავე წელს გარდაცვლილი ცნობილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის სახელი.

ქართველ სტუდენტთა ტრადიციულ საღამოებს ესწრებოდნენ არამარტო ესტონელები, არამედ გერმანელები, რუსები, ებრაელები, ლატვიელები, ლიტველები, სომხები და სხვა ერის წარმომადგენლები. "ამ საღამოების გავლენით ისინი ბევრს ფიქრობდნენ ქართველი ხალხის ბედზე და ამ ხალხის ცხოვრებას თავისას ადარებდნენ", წერს ს.ისაკოვი.

*ტარტუს ქართველ სტუდენტთა სათვისტომო 1913 წ.*
*პირველ რიგში მარჯვნიდან მეორე ყალირ შერვაშიძე*
*მეორე რიგში მარჯვნიდან მეოთხე ნალეკლა ბახტაძე*
*ბოლო რიგში მარჯვნიდან პირველი მისეილ ყორჟოლიანი.*

ქართული საღამოების მოწყობაში დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ატარებდა ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი, შემდგომში ცნობილი ქართველი კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი. იგი გასაძრჯელოს გარეშე ხელმძღვანელობდა გუნდსა და ორკესტრს.

ქართველთა სათვისტომოს მიერ 1911 წელს მოწყობილ მე-8 საღამოში მონაწილეობდა გამოჩენილი ქართველი მიმღერალი ვანო სარაჯიშვილი. საღამოს დაწყებამდე მონაწილეთა დიდი ნაწილი დააპატიმრეს, მაგრამ ბიურგერმუსეს დარბაზი მაინც ხალხით გაივსო.

დიდი წარმატებით ჩატარდა მე-9 საღამო 1912 წელს. ამის შესახებ მემარჯვენე გაზეთი "იურიევსკი ლისტოკიც" წერდა: "ქართული საღამო დიდი პოპულარობით სარგებლობს და ეს იურიევის სეზონის მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე,

ხალხმრავალი და მდიდარი საღამო იყო, როგორც შინაარსით, ისე მონაწილეთა შემადგენლობით“.

1914 წლის 13 თებერვალს მოწყობილ საღამოზე თბილისის “ზაკვკაზსკაია რეჩ“ წერდა: “ტრადიციული ქართული საღამოები ტარტუში განსაკუთრებული წარმატებით ტარდება იმიტომ, რომ ისინი გამოირჩევიან თავისი მშვენიერებით, ზეიმურობით, აგრეთვე ქართული ეროვნული კოლორიტით, რომლებიც ნრდილოეთის ხალხებისათვის, რა თქმა უნდა, ახალი და ორიგინალურია. 13 თებერვალს გამართული საღამო სწორედ ასეთი იყო. აღმოსავლურად მოწყობილ ოთახებში ცოცხალ ნახატებზე წარმოდგენილი იყო მე-5 საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი თვალწარმტაცი და სევდიანი ეპიზოდი (წამებულის სიკვდილი), ტრადიციული საზანდარი, ცეცხლოვანი ცეკვები, ლეკური, შესანიშნავი გუნდი, რომელიც გამოსცემდა ხან სევდიან ხალხურ მელოდიებს, ხან კი ლირიკული პოეზიის მომხიბლავ და ნაზ ჰანგებს... იქმნებოდა გრანდიოზული პანორამა, რომელსაც მაყურებელი მიჰყავდა შორს, სადღაც კავკასიის მთების მწვერვალზე... მადლობა ქართველთა სათვისტომოს ჭეშმარიტი კმაყოფილების იშვიათი წუთებისათვის“.

ქართველთა სათვისტომო რეგულარულად მართავდა ლიტერატურულ საღამოებს ამ შეხვედრების დროს მაყურებელთა წინაშე გამოდიოდნენ კიკნა ფშაველა (სიმონ ბადურაშვილი), აკაკი პაპავა (მოგვიანებით ემიგრანტი, მეუღლესთან თამართან ერთად შესანიშნავი წიგნების ავტორი), დიმიტრი გულისაშვილი, დავით ჟღენტი, ვლადიმერ ნირაძე და სხვ. საღამოებს აწყობდნენ საქართველოს გამოჩენილი მწერლების ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას ხსოვნის აღსანიშნავად. 1916 წლის 30 ოქტომბრის საღამო მიეძღვნა სათვისტომოს წევრების, ტრაგიკულად დაღუპული კიკნა-ფშაველას და გრიგოლ ხერხეულიძის ხსოვნას. ამ საღამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პარმენ კვირკველია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვლადიმერ თოხაძე, გიორგი მარგველაშვილი, პოეტის ძმა მიხეილ ხერხეულიძე.

ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტთა სათვისტომო უშვებდა ხელნაწერ იუმორისტულ გაზეთს “კოღო“. მისი ერთადერთი ცალი შემორჩა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ქართველი სტუდენტები აწყობდნენ გაფიცვებს, რითაც ეხმაურებოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებულ მუშებს,

ინტელიგენციას და სტუდენტებს. 1899 წლის გაფიცვის მიზეზი იყო პეტერბურგში პოლიციის მიერ მოწყობილი სტუდენტთა დარბევა. იმავე წელს ტარტუში ჩამოყალიბდა "სათვისტომოთა გაერთიანება", რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველებიც. ეს გაერთიანება არალეგალურად ხელმძღვანელობდა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობას. აქტიურობით გამოირჩეოდნენ ვ.ალშიბაია, ნ.მრევლიშვილი, ნ.მელიქიშვილი, დ.სულუხია, მ.ჩხენკელი, გ.ნათიშვილი, გ.მახარაძე, დ.ახმეტელი, მ.ელიაშვილი, ა.კვიტაიშვილი, ვ.ხელაშვილი, ზ.ედილაშვილი, (ზურაბ ედილის ფსევდონიმით წიგნის "საინგილო" ავტორი) და სხვ.

საყურადღებოა, რომ ამ გაერთიანებამ 1901 წელს კავშირი დაამყარა რსდმპ ობილისის კომიტეტთან და გააცნო კომიტეტის მიერ ჰექტოგრაფზე გამრავლებული მოწოდება "ამხანაგო ჯარისკაცებო!" მასობრივი გამოსვლების შემდეგ სტუდენტთა ნაწილი დააპატიმრეს. რუსეთის პირველ რევოლუციაში მონაწილეობა დაეკისრა სტუდენტთა ახალ ორგანიზაციას ე.წ. დელეგატთა კრებას, რომლის წევრი იყო გ.ხირსელი. რეაქციის წლებში ჟანდარმერიამ გააძლიერა რეპრესიები. 1910-11 წლებში დააპატიმრეს ყ.შერვაშიძე. ი.მებურიშვილი, გ.ხირსელი, რ.არსენიძე, ლ.კილურაძე და სხვ. ნირეკა ნაატარეს ვ.დალაქიშვილის, ა.პაპავას, მ.ნხეიძის, ი.გეგელაშვილის და ნადეჟდა ბახტაძის ბინებში.

როგორც აღვნიშნეთ, დაპატიმრებულთ გამოესარჩლა იმპერატორის ლეიბქირურგი პროფესორი ციოგე ფონ მანტეიფელი და უნივერსიტეტის რექტორი, რის შემდეგ სტუდენტები გაათავისუფლეს.

ქართველთა სათვისტომოში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სოციალ-ფედრალისტები, ხოლო კავკასიელ სტუდენტთა საზოგადოებაში სოციალ-დემოკრატები. მათ განსხვავებული სამოქმედო პლატფორმა ჰქონდათ, რის გამოც ამ ორგანიზაციას შორის ხშირი იყო უთანხმოება, რაც ზოგჯერ მტრობაში გადადიოდა ხოლმე. მიუხედავად ამისა, საღ აზრს ყოველთვის უპირატესი ადგილი ეჭირა და სათვისტომოც დიდ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ მოძრაობაში, სხვადასხვა ერის შვილებთან ქართველი სტუდენტების მეგობრობის განმტკიცებაში.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1916 წელს, ტარტუს უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ არსებობა შეწყვიტა, რის გამოც საქართველო-ესტონეთის კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობაც შეწყდა.

# ქორწინება

ხუთი წელი გაგრძელდა ნადეჟდასა და ყადირის მაღალზნეობრივი, ჭეშმარიტად გულწრფელი სიყვარული. არცერთს არ უცდია დაენქარებინა ქორწინება. პირობა დადეს, ექორწინათ მაშინ, როცა ექიმის დიპლომს აიღებდნენ. ნადეჟდა ექვსი თვით ადრე 1914 წელს ამთავრებდა უნივერსიტეტს (კბილის საექიმო მაშინაც ხუთწლიანი იყო), მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი, რამაც დაანქარა მათი ბედნიერება. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის ვაჟები დაჩქარებული სასწავლო პროგრამით მოამზადეს. ამიტომ ცუცასთან ერთად ყადირიც ამთავრებდა უნივერსიტეტს. ამგვარად ბედნიერება თავისით მოვიდა. გადაწყვიტეს შეუღლებულიყვნენ, მაგრამ ცუცა ამას მშობლების გარეშე ვერ გადაწყვეტდა.

ყადირის თხოვნით ცუცამ წერილი აფრინა ქუთაისში - მშობლებს ქორწინების ნებართვას თხოვდა. მალე ტარტუში ვარლამ ბახტაძის წერილი მოვიდა ყადირის სახელზე: საწინააღმდეგო არა მაქვს, მაგრამ ქრისტიანულად მოინათლეო.

ამაყი ბეგი ამ პასუხმა არათუ დააკმაყოფილა, არამედ ძალზე ატკინა გული. ახალგაზრდებს ხუთი წელი ერთმანეთი უყვარდათ, ეს ყველამ იცოდა. არასოდეს სარწმუნოებაზე საუბარიც არ ყოფილა. ისინი ერთნაირად სცემდნენ პატივს ყოველგვარ აღმსარებლობას და აი, გადამწყვეტ ჟამს ასეთი წინააღმდეგობა შეხვდათ.

ყადირმაც არ დააყოვნა. იმავ დღეს ცოტა არ იყოს მკვახე პასუხი გაუგზავნა სასიმამროს: "ვერ მოვინათლები, მაგრამ თქვენს ქალიშვილს ცოლად მაინც შევირთავო".

ამის შემდეგ აღარაფერი დარჩენოდათ. 1914 წლის ოქტომბერში ჯვარის დასაწერად წავიდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. ჩანს, უარი მიიღეს. ერთადერთი იმედი იყო კათოლიკური ეკლესია. მართლაც ჩავიდნენ ტალინში და რეველის კათოლიკურ ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი. ამ ეკლესიის ისტორიაში ალბათ ეს იყო უნიკალური შემთხვევა, როცა მართლმადიდებელმა ქალიშვილმა ჯვარი დაიწერა მუსლიმან ვაჟზე ე.ი. ისე, რომ არც ერთი და არც მეორე არ ეკუთვნოდა კათოლიკური ეკლესიის მრევლს.

ამ ქორწინებამ, როგორც მოსალოდნელი იყო როგორც იმერეთში, ისე აჭარაში დიდი ბითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს იყო სრუ-

ლიად გამონაკლისი შემთხვევა, რომლის მსგავსი ადრე არავის ახსოვდა (შემთხვევები იყო, მაგრამ რომელიმე მხარე აუცილებლად იცვლიდა სარწმუნოებას). ამას გამოხმაურება მოჰყვა მაშინდელ პრესაშიც. ცნობილი ქართველი პუბლიცისტი, ვარლამ ბახტაძის კარგი ნაცნობი ილია ფერაძე ("ნაქუნი") ჟურნალ "თეატრი და ცხოვრების" 1916 წლის დეკემბრის №50-ში წერდა: "ამას წინათ შევხვდი ერთ ქართველ ქალს, რომელიც ცოლად გაჰყვა ქართველ ინტელიგენტ-მუსლიმანს. მეტად დაღონებული იყო იმის გამო, რომ თურმე ნათესავები აყვედრიან: თათარს რად გაჰყევი ცოლადო? მაგრამ პატივცემულმა ქართველმა მანდილოსანმა უფრო ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოიჩინოს - რაც უნდა ის სოქვან უვიცებმა, - მათი ნათქვამიდან რა გამოვა? - თქვენ, პატივცემული ქართველი ქალი, რომელმაც მეუღლედ აღირჩიეთ ქართველი მუსლიმანი, დიდი სამსახური მიგიძღვით. რაც უნდა სოქვან თქვენმა ნათესავებმა ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შაბაშ ქალო!..."

მართალია ილია ფერაძე გვარებს არ ასახელებს, მაგრამ როცა ეს წერილი პირადად ქალბატონ ცუცას წავუკითხე (ეს იყო 1966 წელი), ამ ხანდაზმულმა მანდილოსანმა ქალიშვილსავით დაიმორცხვა და დაადასტურა, რომ ეს მართლაც მას ეხებოდა.

ყადირის ოჯახში შემოსვლის პირველი დღიდან ცუცა ყოველთვის ცდილობდა შინაური ქალებისათვის მიებაძა და მათგან გამორჩეული არ ყოფილიყო: "ოჯახში მისვლამდე რძალმა შლაპა მოიხადა და თავზე ქმრის ნაჩუქარი შალი შემოიხვია. რაც არ უნდა იყოს მაჰმადიანურ გარემოში შედიოდა და ტრადიციისათვის ანგარიში უნდა გაეწია. დამხვდურებმაც მაშინვე დაუფასეს ტაქტი - დედამოილი თურმე კიბეზე შეეგება თავისი შვილის რჩეულს, იქვე მოხსნა შალი და ისევ შლაპა დაახურა, შენ ამით ხარ გაზრდილიო. დამხვდურებისა და მრავალრიცხოვანი მაყრიონის თანდასწრებით იმ დროისათვის ასეთი იშვიათი ურთიერთგულისხმიერება დამოყვრებული გვარების - შერვაშიძეებისა და ბახტაძეების სიყვარულის საფუძველი გახდა" (აბელ სურგულაძე, ყადირ შერვაშიძე - თამარის ორდენის რაინდი, ქუთაისი, 1998, გვ. 23,24).

უფრო მეტიც, ქალბატონმა ცუცამ ამ დროს ისიც გვითხრა, რომ მის ოჯახში ყადირის სიცოცხლეში და მის შემდეგაც ერთნაირად ხვდებოდნენ აღდგომასაც, რამაზანსაც, შობასაც და ბაირამსაც.

ამას ყადირი, როგორც ნამოყალიბებული ქართველი ინტელიგენტი, თავად უწყობდა ხელს. სხვათაშორის, შემორჩენილია ომის დროს კაგიზმანიდან გამოგზავნილი ერთი დია ბარათი, რომლის ცალ გვერდზე სამხედროთა კოლექტიური ფოტოსურათი, ხოლო მეორეზე ყადირის წერილია წარმოდგენილი. აი მისი შინაარსიც: "ცუცა მივიღე შენი წერილი და სანქაროთ გაძლევ პასუხს. ესეც არის ვგზავნი კაცს კაგიზმანში, რომ საშობაოთ ფული მოგისწროს. გიგზავნი ხუთ თუმანს. გულის ვაკოცებ. მოგილოცავთ ყველას. მოლოცვა-ტელეგრამას არ ღებულობენ". წერილს თარიღი არა აქვს, მაგრამ იგი დაწერილი უნდა იყოს 1915 წლის შობის დღესასწაულზე რამდენიმე დღით ადრე. ამ წერილს ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც ეს ჯერჯერობით არის ნვენამდე მოღწეული ყადირ შერვაშიძის ერთად-ერთი ფაქსიმილე, რომელიც ნათლად გამოხატავს ყ.შერვაშიძის ტოლერანტობას. ეს თვისება შერვაშიძეთა დიდ სახლში ისეთ წესად იქცა, რომ შემდეგ მოყვარე-ნათესავებსაც გადაედო და ადრე "თათრების მტერმა" ვარლამ ბახტაძემაც კი დაამკვიდრა თავის ოჯახში. ამიტომ ნემი აზრით როცა ქართველი ხალხის შემწყნარებლობაზე ზოგადად ვილაპარაკებთ, აუცილებელია ასეთი ოჯახების მაგალითებიც დავასახელოთ, რადგანაც ქვეყანა, ერი, მისი ყოფა და ადათ-წესები სწორედ ამითაა მტკიცე.

ქორწინებიდან ზუსტად ერთი წლისთავზე 1915 წლის 6 სექტმბერს ცუცას და ყადირს შეეძინათ პირმშო, რომელსაც გული დაარქვეს; 1918 წლის 31 იანვარს კი მეორე გოგონა ნელი დაიბადა.

## სამხედრო სამსახური

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. რუსეთის არმიას დიდი რაოდენობით სამხედრო ექიმები სჭირდებოდა. იმპერიის ყველა უნივერსიტეტს დაუგზავნეს სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების ახალი დანქარებული სწავლების პროგრამები. მეხუთე კურსზე, ერთი წლით ადრე, ვაჟი სტუდენტები ფორსირებული წესით გადიოდნენ მეხუთე დ მეექვსე კურსების მასალას, აქცენტი აღებული იყო სამხედრო საველე

*ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანიდივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი ყადირ შერვაშიძე 1918 წ.*

ქირურგიასა და ეპიდემიოლოგიაზე, რომლის შემდეგ ე.წ. "ზაურიადერშ"-ის სახელით ამთავრებდნენ უნივერსიტეტს და პირდაპირ არმიაში მიდიოდნენ. ყადირი ფრონტის სამხრეთ ხაზზე მოხვდა. მას საშუალება მიეცა ცოლ-შვილი ბათუმში ნამოეყვანა, თავად კი რუსეთ-თურქეთის საომარ მოქმედებებში ნაბმულიყო. სამწუხაროდ ჩვენ ვერ შევძელით მოგვეკვლია ყადირის არმიაში მოღვაწეობის დეტალები; ვიცით მხოლოდ, რომ მისი ნაწილები მოქმედებდა ართვინ-ერზრუმ-ყარს-კაგიზმანის ხაზზე და ახალგაზრდა ექიმს ძალიან მალე რუსულმა მხედრობამ მიანიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

საოჯახო არქივში შემონახულია ფოტოსურათები, რომლებზეც ყადირის სამხედრო სამსახურია აღბეჭდილი. ერთ მათგანზე ზემოთ მოგახსენეთ (ღია ფოტობარათზე). იგი საველე მოძრავი სამხედრო ლაზარეთის წინ არის გადაღებული, ხოლო მეორე სურათზე როგორც სჩანს მთლიანად სამხედრო ნაწილის

შემადგენლობაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ ფოტოები ძალზე ძველი, გახუნებული და დაზიანებულია და ძნელდება ყადირის სახის ამოცნობა.

როგორც ირკვევა ორივე ფოტო გადაღებულია ყარსის ოლქის პატარა ქალაქ ყარაქლისში, სადაც განლაგებული იყო ლაზარეთი.

## ბათუმში

1916 წლის ბოლოს ყადირ შერვაშიძე ჩამოვიდა ბათუმში და მუშაობა დაიწყო "ავადმყოფ და დაჭრილ მებრძოლთა დახმარების სრულიად რუსეთის ერობის კავშირის" რწმუნებულად, რომელსაც ცნობილი ქართველი ექიმები ალექსანდრე შატილოვი (1868-1949), გრიგოლ ელიავა (1857-1925) და პლატონ გიგინეიშვილი (1879-1949) განაგებდნენ. აქ ყადირი დარჩა 1917 წლის აპრილამდე, რადგანაც თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ერობის კავშირი დაიშალა.

ბათუმში ხანმოკლე დროის მანძილზე ყადირმა მრავალი სასიკეთო საქმის გაკეთება მოასწრო. ერობის კავშირში მისი ძირითადი პაციენტები აჭარის მოსახლეობა იყო. ადგილებზე სამედიცინო კადრებს და კვალიფიციურ დახმარებას მოკლებული მოსახლეობა ახლადჩამოყალიბებულ საექიმო უწყებას მიმართავდა, სადაც ყადირის ჩარევით სათანადო დახმარებას ღებულობდა. აქ მუშაობის დროს ყადირ შერვაშიძეს მონაწილეობა მიუღია წითელი ჯვრის ორგანიზაციების საქმიანობაში, ამ ორგანიზაციის კუთვნილი საავადმყოფოსა და აფთიაქის გახსნაში (ეს აფთიაქი მოთავსებული იყო ახლანდელი მემედ აბაშიძის და გენერალ მაზნიაშვილის ქუჩის კუთხეში მდებარე შენობაში, რომელიც ახლაც შემონახულია).

ყადირ შერვაშიძე გულმოწყალებისა და ქველმოქმედების შესანიშნავ მაგალითსაც იძლეოდა. 1915 წელს ინფექციური დაავადებების ეპიდემიასთან დაკავშირებით მან ქედაში არსებული ორსართულიანი სახლის ოთახების მისი წილი უსასყიდლოდ ინფექციური საავადმყოფოს ქსენონს დაუთმო.

რუსეთის ქალაქთა კავშირმა 1915 წლის ოქტომბერში ამ შენობაში გახსნა ეპიდემიური საავადმყოფო, რომელსაც ჰქონდა

12 საწოლი; აქ მუშაობდა ერთი ექიმი, ერთი ფერშალი, სანიტრები, მომვლელები. კავშირის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმში ჩაწერილია, რომ ამ დროისათვის აქ ინფექციური ავადმყოფები არ იყვნენ. როგორც სჩანს, შემდომში ეპიდემიური აფეთქება გამწვავებულა, ავადმყოფებიც მოუთავსებიათ, მაგრამ საწოლები აღარ ეყოთ. 1916 წლის 19 იანვრის ჩანაწერებით ირკვევა, რომ საწოლთა რიცხვი 25-მდე გაზარდეს, შესაბამისად მოიმატა პერსონალის რაოდენობამაც. (აჭარის სახ.არქივი, ფ.8, და ფ. ი-66. журнал БКВС2, 25 октября 1915 г.)

შემდგომ წლებში საწოლებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ ყადირმა თავის ძმებს თხოვა საავადმყოფოსათვის დაეთმოთ მათი წილი ოთახებიც.

ამ კავშირის საქმიანობის შესწავლა სცადა ბატონმა აბელ სურგულაძემ, მაგრამ საარქივო საბუთებში ყადირ შერვაშიძის გვარს ვერ მიაკვლია, ამიტომ ბუნებრივია ამ ორგანიზაციაში მის მუშაობაზე ეჭვი დაებადა. ამასთან სამართლიანი სინანულით აღნიშნა, რომ "ბათუმში 1917-1918 წლებში მოღვაწე არც ერთმა ექიმმა, რომელთაგან ზოგმა მოგონებებიც დაწერა, ცალი სიტყვითაც არ მოიხსენია თავისი კოლეგა, სხვათაშორის, ერთ-ერთი პირველი აჭარელი ექიმი ყადირ შერვაშიძე" (დასახ. ნაშრომი, გვ.27). მოლიანად ვეთანხმები ავტორს, თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთ ამ ექიმს პირადად ვესაუბრე და ჩემი ყოველგვარი ცდის მიუხედავად ყადირზე სიტყვა ვერ დავაცდევინე. ამის მიზეზი ჩვენთვის ცნობილია - კვლავ მძვინვარებდა საბჭოთა ცენზურა. რომელიც მენშევიკებთან ურთიერთობაში მყოფ პიროვნებებზე ყოველგვარ მსჯელობას კატეგორიულად კრძალავდა.

რაც შეეხება რუსეთის ქალაქთა კავშირში ყადირ შერვაშიძის მოღვაწეობას, აქ საეჭვო არაფერია. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ყადირ შერვაშიძის პირადი საქმე) ინახება სავიზიტო ბარათი რუსულ-ქართულ ენებზე, რომელზეც გარკვევით სწერია, რომ "კადირ ტუფანის ძე შერვაშიძე" არის სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებული ბათუმში" (იხ. დანართი "დოკუმენტები"). უფრო მეტიც, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ კავშირში ყ.შერვაშიძე შევიდა არა 1916 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამედ უფრო ადრე, 1915 წლის ოქტომბრამდე, როცა ქედაში საკუთარ სახლში გახსნა რუსეთის ერობის კავშირის საავადმყოფო.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება ერთი საბუთი-მინდობილობა, რომლის ავტორია ყადირის უფროსი ძმა ზექერია-ბეგი. ჯერ კიდევ ყადირის სიცოცხლეში, 1919 წლის 25 თებერვალს ზექერია თავის რძალს ცუცას სწერს, რომ მისი წილი შენობის ქირა არ აუღია და ამ საქმეს მოლიანად ანდობს მას. როგორც ირკვევა უმცროს ძმას უფროსებმაც მიბაძეს და საბოლოოდ მთელი შენობა სტაციონარს გადასცეს, სადაც აგერ ჩვენს დრომდე რაიონული ცენტრალური საავადმყოფო იყო მოთავსებული. იგი 1972 წელს დაანგრიეს და ამ ადგილას ახალი საცხოვრებელი სახლი ააგეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ქართველი სოციალ-დემოკრატები და სხვა პარტიები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხელისუფლების ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის წინასწარი საფუძვლების მომზადებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ერობის ინსტიტუტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბათუმის ოლქში ერობის რწმუნებულის მოვალეობა ყადირ შერვაშიძეს დაეკისრა, მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ ეს შეუპოვარი მებრძოლი, ევროპულ განათლებამიღებული, უცხო ენების მცოდნე კაცი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დიდ პატივს სცემდა და აუფასებდა, უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეში გამოდგებოდა.

## ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა განაპირა პროვინციებზე რუსეთის გავლენა შესუსტდა, თავი წამოყვეს ოსმალეთის ემისრებმა და ადგილობრივმა ოურქოლოგებმა, რომელთაც მიზნად დაისახეს სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიების წაგლეჯა და კვლავ ოსმალეთისათვის მიერთება. ამ მზაკვრულ გეგმებში მათ დასაყრდენი ჰქონდათ აზერბაიჯანში მოკალათებულ "საქველმოქმედო საზოგადოებასთან". საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათუმში ე.წ. "ისლამის კომიტეტის" დაარსებაც გადაწყვიტეს (ე.მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი. 1997. გვ. 8).

დაყოვნება არ შეიძლებოდა. სულეიმან დიასამიძე სათავეში ჩაუდგა ანტიქართული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას და კიდეც ჩაშალა იგი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. "ისლამის კომიტეტის" აპოლოგეტებს და პანისლამისტებს უნდა დაპირისპირებოდა მძლავრი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც ხელში აიღებდა მხარის პატრიოტული მოძრაობის სადავეებს და იქნებოდა საქართველოს ერთიანობის გარანტი სამხრეთ პროვინციებში.

1917 წლის თებერვალში ბათუმში მცხოვრებმა პატრიოტებმა მეჩეთ "აზიზიეში" მოიწვიეს მოსახლეობის წარმომადგენელთა კრება, რომელსაც ქართველ მუსლიმანთა გარდა ესწრებოდნენ ქართველი ქრისტიანები: სიმონ მდივანი, კაპიტონ გოგოლაძე, აპოლონ წულაძე, სერგი გერსამია და სხვ. კრებამ აირჩია "ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი", რომელშიც შევიდნენ: მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ზექერია შერვაშიძე, ყადირ შერვაშიძე, სულეიმან დიასამიძე, ჯემალ ქიქავა, ხასან ვარშანიძე და სხვ. კომიტეტის თავმჯდომარედ მემედ აბაშიძე დააკანონეს (იქვე გვ.9).

კომიტეტმა დიდი მუშაობა გააჩაღა ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნული გათვითცნობიერების, თვითშეგნების შეტანისა და იმ გაბატონებული რწმენის უარსაყოფად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთთან აიგივებდა და უპირისპირებდა. ამავე მიზნით 1917 წლის შემოდგომაზე მემედ აბაშიძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელმაც დიდი მუშაობა გააჩაღა პანისლამისტური საზოგადოების წინააღმდეგ. საზოგადოების თავმჯდომარე და ყველა მისი საქმიანობის ორგანიზატორი იყო მემედ აბაშიძე, ხოლო მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი ზექერია შერვაშიძე. ეს აქტიურობა მას ძვირად დაუჯდა. 1917 წელს კერენსკის მთავრობის დროს ზექერია, მემედ აბაშიძესთან და ჯემალ ქიქავასთან ერთად, სევასტოპოლის საზღვაო კონტრდაზვერვამ დააპატიმრა და ბათუმის ციხეში ჩასვა.

ქართული ეროვნული მოძრაობის დასათრგუნავად ოსმალებმა ძალას მიმართეს. 1918 წლის 1 აპრილს ისინი აჭარაში შემოიჭრნენ. ბათუმი დაიკავეს, შექმნეს ოლქის ახალი ადმინისტრაცია და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვას და დარბევა-აწიოკებას მიჰყვეს ხელი. საოკუპაციო ხელისუფლების მიზანი იყო ბათუმის ოლქი ავტონომიის სტატუსით ოსმალეთის შემადგენლ-

ობაში შეეყვანათ. ოკუპაციიდან ხუთი დღის შემდეგ ახალმა ადმინისტრაციამ ოსმალეთიდან საგანგებოდ ნამოსულ სამხედრო მინისტრს და ჯარების სარდალს ქალაქის თვითმმართველობის შენობაში დიდი შეხვედრა მოუწყო. ბათუმის საზოგადოებას სახელით სტუმრებს მემედ აბაშიძემ მიმართა სიტყვით, რომელიც შემდეგ ისტორიულ ლოზუნგად იქცა: "აჭარა საქართველოა, ბათუმი, როგორც აჭარის ნაწილი, საქართველოში შედის, თქვენ აქ სტუმრები ხართ, ჩვენ კი მასპინძლები. ამიტომ მოგესალმებით, როგორც სტუმრებს და იმედი გვაქვს მოკლე დროში ბათუმსა და მის ოლქს დატოვებთ" (სერგი გერსამია, მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960, გვ. 66,67).

ასეთი გაბედული და პრინციპული გამოსვლა, ბუნებრივია უყურადღებოდ არ დარჩენილა. დელეგაციის წევრები მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, დაუდ-ეფენდი სირბილაძე (სირაბიძე?), სულეიმან ბეჟანიძე და ხასან ლოროქიფანიძე დააპატიმრეს და ტრაპიზონის ციხეში ჩასვეს, კომიტეტის დანარჩენი წევრები ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერვაშიძე, ქემალ ნოღაიდელი, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი თბილისში გადაიხვეწნენ. 1918 წლის 15 მაისს მათ შექმნეს სამუსლიმანო საქართველოს განმაიავისუფლებელი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე, დროებითი თავმჯდომარეობა კი ზია აბაშიძეს დაევალა. ეს კომიტეტი შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, რაც სერიოზული, ძალზე მნიშვნელოვანი და სასარგებლო განაცხადი იყო.

ქართველი საზოგადოებრიობა, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მომავალი შემადგენლობა უდიდესი ყურადრებით ადევნებდნენ თვალს მოწინავე თანამოძმე მუსლიმან ქართველებს, მათს გმირულ ბრძოლას ეროვნული თვითმყოფადობისა და ქვეყნის ერთიანობისათვის.

ჯერ კიდევ 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს ყრილობაზე დელეგატებად აირჩიეს აჭარის წარმომადგენლები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ასამდე სხვა ქართველ მამულიშვილს შორის ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე ხელს აწერენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც დამფუძნებელთა კრებამ შეიმუშავა და მიიღო 1918 წლის 26 მაისს, ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე. ამდენად ისინი ამ აქტის თანააავტორებიც არიან: "ქართველი ერის დღევ-

ანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს" - ნათქვამია აქტში.

ყადირ შერვაშიძე მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ამ იდეის ერთგული იყო და სწორედ მის განხორციელებას შესწირა თავი.

## განმათავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებული ახალციხეში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ და ამ დიდ ისტორიულ მოვლენაში მუსლიმან ქართველთა აქტიურმა მონაწილეობამ დააფრთხო ოსმალო მოხელეები და პანისლამისტები, მათთან ერთად რენეგატებიც. მათ შორის იყო ჯერ კიდევ ცარიზმისაგან ნაფერებ-ნალოლიავები, ახლა ოსმალთა მარიონეტადქცეული სერვერ-ბეგ ათაბეგოვი (ქობლიანსკი).

### ვინ იყო სერვერ-ბეგი?

სამცხე-საათაბაგოს ფაშა, ჯაყელების უკანასკნელი შთამომავალი, ფეიზულა-ბეგ ათაბაგის შვილი, რომელსაც "ქობლიანის პრინცს" ქობლიანსკი-ათაბეგოვს უწოდებდნენ. მამამისი ფეიზულა-ბეგი დიდი უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელი და ფრიად გავლენიანი პირი იყო.

ახალციხის საფაშოს იურიდიულად გაუქმების მიუხედავად იგი სამცხე-საათაბაგოს ფაქტობრივი მმართველი-ფაშა იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთის ადმინისტრაციაშიც. იგი ცარიზმის ერთგული დარჩა სიცოცხლის ბოლო წუთამდე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

1899 წლის 28 ივნისს აბასთუმანში მყოფი მეფის ძე გიორგი ალექსანდრეს ძე რომანოვი ველოსიპედით სეირნობისას გადმოვარდა და დაიღუპა. პეტერბურგში გასვენებისას კუბოს ქვეშ

მყოვი ფეიზულ-ბეგ ათაბეგოვი ცუდად გახდა. იგი იქვე, სოფელ ვარხანის კანცელარიაში მიიყვანეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

ფეიზულ-ბეგს ცოლად ჰყავდა ყაზანელი თათრის ქალი, ხოლო მოურავად სომეხი. ფეიზულა-ბეგის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ამ სომეხმა მისი ქერივი საყვარლად გაიხადა და თავის ჭკუაზე აამოქმედა. ისინი ახალგაზრდა სერვერ-ბეგს აწვეთებდნენ ჭორებს და ქართველებს აძულებდნენ. მიუხედავად ამისა პრინცი ქართველად იზრდებოდა და თავის ეროვნებას სათანადო პატივით ეპყრობოდა.

როგორც ისტორიკოსები თვლიან, დასაწყისში სერვერ-ბეგი ჩვეულებრივი მუსლიმანი ფეოდალი იყო და არავითარი მტრობა საქართველოსთან არ ჰქონდა. არც ოსმალეთს ეტრფოდა მაინცდამაინც, მაგრამ საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულმა აგრარულმა რეფორმამ (მიწების, შენობების ჩამორთმევა და სხვ.) სხვა თავადური წოდების წარმომადგენლებთან ერთად, ისიც დაფრთხო. ამის საბაბი გახდა მამულის დაკარგვის შიში, რამაც ათაბაგთა უკანასკნელი მოჰიკანი ქვეყნის წინაღმდეგ განაწყო. სამწუხაროდ, ამ წარჩინებული და საკმაოდ განათლებული პიროვნების ეს განწყობილება აშკარა მტრობაში გადაიზარდა.

როგორც შალვა მაღლაკელიძე თვლის, "ეს გამოწვეული იყო არა ოსმალეთისადმი სიყვარულით, ან ოსმალური ორიენტაციით, არამედ იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზით, რომლის ძალით სერვერ ათაბაგი, დიდი მიწათმფლობელი უნდა გაღატაკებულიყო. ამ ნიადაგზე მას შეუერთდნენ ბევრი დანარჩენი ბეგებიც" (ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. თბ., 1994. გვ. 249. გამოსცა ვიქტორ რცხილაძემ); ჩვენი აზრით დანარჩენ ბეგებში ბახში-ბეგ მანაბელი და ომარ ყიფიანი (ფაიკი) იგულისხმება.

სერვერ-ბეგი აწყურში ეახლა ახალციხე-ახალქალაქის მხარეთა ჯარების უფროსს, გენერალ კ.მაყაშვილს, რომელიც გენერალ-გუბერნატორის უფლებებით იყო აღჭურვილი და განუცხადა, რომ შექმნა "სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა". არის მისი მეთაური და მოითხოვა ბრძანებების შესრულება. ცხადია, ქართველმა გენერალმა ამაზე კატეგორიული უარი განუცხადა და უთხრა, რომ ის სცნობს მხოლოდ საქართველოს მთავრობას და ასრულებს მის მითითებებს. ამ დროისათვის კ.მაყაშვილთან მუსლიმან ქართველთა ცხენოსან დივიზიას

პოლკოვნიკი ყადირ შერვაშიძე მეთაურობდა და სერვერ-ბეგის რაზმებთან უშუალო შეტაკებებიც მას უხდებოდა. გაბოროტებულმა ათაბაგმა თავისივე მშობლიურ მხარეს, ისტორიულ სამცხე-საათაბაგოს შეუსია მოთარეშე რაზმები. მოსახლეობას აშინებდნენ და აიძულებდნენ რათა ოსმალეთისათვის ერთგულება გამოეცხადებინათ და ამ ქვეყნის ხელქვეით დარჩენილიყვნენ.

სერვერ-ბეგის "მთავრობა", როგორც აღვნიშნეთ, ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილის ყარსის, არტაანის, ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის მუსლიმანთა (მათ შორის ქართველთა) გაერთიანების პრეტენზიებს აცხადებდა, რითაც ლამობდა განეხორციელებინა მუსავატელთა მზაკვრული იდეა, ზღვაზე ნავთობის გსატანი გზების გამაგრებას რომ გულისხმობდა. აღვირახსნილმა ათაბეგოვმა კავშირი დაამყარა დაშნაკებთანაც. ახალციხელი ზ.დიდიმამიშვილის დღიურებით ირკვევა, რომ დაშნაკებთან ერთად სერვერ ბეგს დაურბევია ოლთისისა და ახალციხის სოფლები. მარტო სოფელ აბში მოთარეშე რაზმებს ორმოცი სახლი დაუწვავთ, ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ძირითადად მესხები, 1400 კაცამდე დაუხოციათ. დანარჩენი მოსახლეობა ქართულ რეგულარულ ჯარს გადაურჩენია (ზ.დიდიმამიშვილი. ახალციხის დღეები (1918წ.) აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწ. ფონდი. საბ. №107).

***

მესხეთისა და ჯავახეთის მოსახლეობის ასე მიტოვება აღარ შეიძლებოდა. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმაც ოზურგეთის მსგავსად თავისი განყოფილება შექმნა სამცხე-ჯავახეთშიც, რომლის რწმუნებულად ყადირ შერვაშიძე დაინიშნა. როგორც უკანასკნელ ხანებში გამოვლენილი დოკუმენტებით დასტურდება "კომიტეტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და მამაცი წევრი"-ს ყადირი მარტო რწმუნებულის მოვალეობის შესრულებით არ იფარგლებოდა. მან აქ შექმნა საკმაოდ დიდი სამხედრო ქვედანაყოფი, ცხენოსანთა დივიზია - ქართული რეგულარული ჯარის ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში. დადასტურებულია, რომ მას ამ დროს საქართველოს სარდლობამ პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიანიჭა. საქართველოს დემოკრატიული მთავრობის განკარგულე-

ბით ყადირ შერვაშიძე დაინიშნა მთავრობის საგანგებო რწმუნებულად ახალციხეში, ზემო აჭარასა და ფოცხოვის უბანში (ა.სილაგაძე, ვ.გურული. საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან, ნაკ.I, თბ. 1966, გვ. 55), ე.ი. იმ მხარეებში, სადაც მეტად იგრძნობოდა თურქოფილთა ზეგავლენა.

მოსახლეობაში მუშაობის გაშლის, მათ შორის ეროვნული თვითშეგნების ამაღლების და მკვიდრი მოსახლეობიდან თავდადებული თანამებრძოლების შეგროვების მიზნით ყ.შერვაშიძე ხშირად მოგზაურობდა აჭარის სოფლებში, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მოწინააღმდეგენი დიდ ფაფერაკებს უწყობდნენ. არაერთხელ სცადეს თავს დასხმოდნენ, მაგრამ გულადი და ჭკვიანი ყ.შერვაშიძე ვერ მოიხელთეს და ყველა მზაკვრული გეგმა ნაეშალათ. სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ყადირ შერვაშიძის პირადი აქტიობით თავისი პირველადი უჯრედები და ორგანიზაციები გახსნა ქედაში (ზ.შერვაშიძე), ჭვანაში (დ.სურმანიძე), დიდაჭარაში (ი.სირაძე), ხიხაძირში (ქ.გაბაიძე), ხულოში (გ.ბოლქვაძე). სულ მაშინდელ ბათუმის ოლქში 11 განყოფილება გაიხსნა (ე.მესხია. დასახ. ნაშრომი, გვ. 51,52).

დაეუბრუნდეთ ქართველ მუსლიმანთა სამხედრო ქვედანაყოფებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მათი შექმნის მიზანი იყო ყველა ოკუპანტის და აგრესორის ალაგმვა და საქართველოს ტერიტორიიდან გაძევება. ამ სამხედრო ფორმირებების შექმნის თარიღებს და მეთაურების ვინაობას შეეხნენ ე.მესხია და ა.სურგულაძე.

ე.მესხიას აზრით ოზურგეთის ქართველ მუსლიმანთა ბატალიონი შეიქმნა არაუადრეს 1918 წლის აგვისტო-სექტემბრისა. ჩვენი აზრით, დაახლოებით იმავე დროს ჩამოყალიბდა ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანი დივიზია ახალციხეში. ამგვარად პირველ რიგში ამ სამხედრო ქვედანაყოფების სახელწოდებები უნდა განვასხვაოთ, რათა დავადგინოთ მათი მეთაურები. ოზურგეთის ბატალიონს გენერალი ასლან აბაშიძე მეთაურობდა. ახალციხის დივიზია უშუალოდ პოლკოვნიკმა ყადირ შერვაშიძემ ჩამოაყალიბა, სათავეშიც თავად ნაუდგა და სიკვდილამდე მისი მეთაური იყო. ე.მესხია ზია აბაშიძის ანგარიშზე დაყრდნობით თვლის, რომ 1919 წლის 15 აგვისტოს შექმნილი ახალი საჯარისო ფორმირების-ესკადრონის მეთაურად მოიწვიეს მაიორი ბახჩი-ბეგ მაჩაბე-

ლი. ამ დროს ყადირი ცოცხალი აღარ იყო, ამიტომ ის ესკადრონის უფროსი ვეღარ იქნებოდა. ქართული ჯარის ქვედანაყოფის უფროსად ბახში ბეგ მაჩაბელის მოწვევა აბელ სურგულაძეს საეჭვოდ მიაჩნია, რადგანაც "ბახში მაჩაბელი, როგორც ვერმახტის ყოფილი გენერლის, შალვა მაღლაკელიძის მოგონებიდან და სხვა მასალებიდან სჩანს, ძალზე ორჭოფულად მოქმედებდა და მესხეთ-ჯავახეთის სომხებისადმი მტრული დამოკიდებულებით რეგიონში კიდევ უფრო ძაბავდა პოლიტიკურ სიტუაციას".

ჩვენ ვეთანხმებით აბ.სურგულაძეს, რადგანაც ყველა ჩვენი ინფორმატორი (ა.ჯიჯავაძე, ჯ.ფაღავა, ნ.ბახტაძე და სხვ.) ბახშიბეგ მაჩაბელს თვლიან რენეგატ ქართველად, ოსმალური ორიენტაციის პიროვნებად, რომელიც სერეკერ-ბეგ ჯაყელი ქობლიანსკის მსგავსად იქეთ იხრებოდა, ვინც მას ფეოდალურ პრივილეგიებს შეუნარჩუნებდა. იმ დროს ასეთად, ოსმალეთის ხელისუფლება ითვლებოდა. უფრო მეტიც, ყველა ჩვენი ინფორმატორი უეჭველად თვლის, რომ ყადირის ნაადრევ დაღუპვაში სწორედ ბახში მაჩაბლის ხელი ურევია. მასთან ჰქონდა ყადირს პირისპირ შეტაკება, რაც კინაღამ სისხლის ღვრით დამთავრდა და სწორედ მან მიუგზავნა დაყოვნებითი საწამლავით ვიღაც მსახური ქალი.

სათქმელია ისიც, რომ ყადირის გარდაცვალებიდან (8 მაისი 1919) ესკადრონის შექმნამდე (15 აგვისტო 1919) ძალზე მოკლე დროა, ამიტომ კომიტეტის ხელმძღვანელობამ შესაძლოა კარგად არ იცოდა ბახში-ბეგ მაჩაბლის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი, ამიტომ კატეგორიულად ესკადრონის მეთაურად მისი მიწვევის გამორიცხვა არ შეიძლება.

## ვინ იყო ბახში ბეგ მაჩაბელი?

ეს იყო ადიგენელი ბეგი, რომელსაც ცოლად ჰყავდა იქაური სულეიმან ერისთავის (თორნიკე ერისთავის პირდაპირი შთამომავლის) დაი. ფლობდა სარწყავ წყალს და უნაწილებდა მოსახლეობას. იყო დიდი ტანის წარმოსადეგი კაცი. ქართველობდა კიდეც. ამიტომ შ.მაღლაკელიძემ კომისრად დანიშნა. ტანსაცმელი და იარაღიც მისცა და პოლკოვნიკობაზე წარადგინა. მას ასევე პატივისცემით ეპყრობოდა გ.კვინიტაძეც.

1917 წელს იგი გამოცხადდა შ.მაღლაკელიძესთან წინადადებით, რომ უფლება მოგვეცი ახალციხის მხრიდან სომხები გავაძევოთ და ამოვჟლიტოთო. იმ დროს ახალციხეში მართლაც ბატონობდნენ სომხები. როგორც ზემოთაც ვთქვით, თავად სერვერ ბეგის დედის, ყაზანელი თათრის ქალის უკანონო ქმარი სომეხი იყო და ახალგაზრდა სერვერ-ბეგს განაწყობდა ქართველების წინაარმდეგ.

ბახში-ბეგმა აწყურის, აბასთუმნის, ადიგენის და სხვა რაიონებიდან შეკრიბა წარმომადგენლები (სერვერ-ბეგ ათაბაგი, ომარ-ბეგ ყიფიანი (ფაიკი) ახმედ- აღა ფეფინაშვილი) და ამ დელეგაციით წარუდგა შ.მაღლაკელიძეს, სომხების ამოჟლეტის მოთხოვნით. მათ რა თქმა უნდა უარი მიიღეს და საქმე კინაღამ სისხლისღვრით დამთავრდა, შემდეგ გაირკვა, რომ ამ საქმის ინიციატორი ყოფილა სპარსული წარმოშობის პოლკოვნიკი კაჯარი, რომელიც რუსებს გადაებირებინათ და ახალციხის ფაშობას შეპირებოდნენ. სწორედ მან მოაწყო მაზრის უფროსების შეთქმულება სომხების წინააღმდეგ. შ.მაღლაკელიძემ წარმომადგენლები დააპატიმრა და მღელვარებაც ჩაცხრა.

საყურადღებოა, რომ ამ დელეგაციაში მონაწილეობდა ზია-ბეგ აბაშიძეც, ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მისი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიცია სამუსლიმანო საქართველოს მომავალი ბედის გადაწყვეტისას. შ.მაღლაკელიძის ჩანაწერებით, რომლებიც აუცილებელ გადამოწმებას საჭიროებს, ზია-ბეგ აბაშიძე ქართული ცხენოსანი რაზმის უფროსის თანაშემწე ყოფილა. 1917 წლის ნოემბერში შალვა მაღლაკელიძესთან, როგორც სამუსლიმანო საქართველოს რწმუნებულთან გამოცხადებულა მაჰმადიან ქართველთა დელეგაცია ზია-ბეგ აბაშიძის მეთურობით, რომელსაც შემდეგი ულტიმატიური მოთხოვნები წაუყენებია: "1. ქალაქი ახალციხე გამომეცხადებინა მთავარ ქალაქად სამცხე-ჯავახეთის და არტაანის ოლქისათვის. 2. მიმეღო ახალციხის მაგიერ სახელი "ახისხა", 3. გადამეცა თავისუფალი ყაზარმები მაჰმადიან მოხალისეთა განკარგულებაში, 4. დამეთმო ოფიცერთა საკრებულოს შენობა მერვე მაჰმადიანოა პოლკის შტაბისათვის. 5. გარნიზონის უფროსად ქართველის მაგივრად დამენიშნა პოლკოვნიკი კაჯარი, რომელიც ამ მერვე პოლკის უფროსად იყო დანიშნული თბილისიდან და რომელსაც მე დღემდე ახალციხეში არ ვუშვებდი, 6. 24 საათით მე და ჩემი

სამხედრო ძალები გადავსულიყავით ქალაქის ძველ ნაწილში, რა-ბათში, 7. თუ ამ წინადადებას არ მივიღებდი, მაჰმადიანების შეი-არაღებული ძალები დაუყოვნებლივ ქალაქში შემოიჭრებოდნენ და სომხობასთან ერთად ქართველი ქრისტიანებიც იქნებოდნენ ამოხოცილნ... დელეგაცია იმ წუთშივე დავაპატიმრე" (გვ. 242,243).

ამგვარად სამცხე-საათაბაგოს ფეოდალებმა სერვერ-ბეგ ჯაყელმა, ბახში-ბეგ მაჩაბელმა, ომარ-ბეგ ყიფიანმა (ფაიკი), მის-მა დისშვილმა ახმედ-აღა ფეფინაშვილმა, რომელთაც შიგადაშიგ მხარს უჭერდნენ და ცოცხალი ძალითაც ეხმარებოდნენ აჭარელი ბეგები ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი და ზია-ბეგ აბაშიძე, ოსმალებს გაუადვილეს ამ უძველესი მხარის დაკავება. ზაქარია დიდიმამი-შვილის თქმით 1918 წელს "ახალციხე-ახალქალაქის მაზრები ოსმალებმა ადგილობრივი ბეგების ნაგონებით დაიპყრეს".

აქვე ვიტყვით, რომ ამ ბეგებს შორისაც არ იყო ერთგვაროვ-ანი აზრი. მათი რაქციული ნაწილი (სერვერ-ბეგ ჯაყელი (ქობლი-ანსკი), ომარ ყიფიანი (ფაიკი) და სხვ.) მოითხოვდნენ ძველი მესხეთის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს შექმნას, ხოლო მეორე ნაწილი (ბახში-ბეგ მაჩაბელი, ხალით-ბეგი და სხვ.) თვ-ლიდნენ, რომ ქართული მიწები კვლავ დამოუკიდებელ საქარ-თველოს უნდა დაუბრუნდეს, იყო მესამე ნაწილიც, (ყ.შერვაშიძე) რომელსაც მიაჩნდა, რომ მესხეთ-ჯავახეთი საქართველოში ავტ-ონომიური უფლებებით უნდა შესულიყო (შ.ლომსაძე, მესხები. თბ. 1997. გვ. 287,288,294).

ალბათ მართლაც სწორი იქნებოდა, ამ მხარეს ავტონომიური უფლებები მინიჭებოდა. მაშინ აჭარის მსგავსად, მრავალი უბე-დურებაც ასცდებოდა, არ დაცარიელდებოდა და კულტურულ-ეკონომიურადაც დაწინაურდებოდა.

გენერალ შალვა მაღლაკელიძის თქმით, ბახში-ბეგ მაჩაბელი იყო "ოსმალეთის სასარგებლოდ მომუშავე", რომელიც "საქარ-თველოს დამოუკიდებლობის დროს, ოავისი ქვეყნის სამსახურს შეუდგა და გულწრფელადაც" (გვ. 230.).

სხვათაშორის ადიგენელი სულეიმან ერისთავის შვილს 24 წლის ბეხრი-ბეგს ცოლად შეურთავს ხულოელი თემურ-ბეგ ხიმ-შიაშვილისა და ყუდრეთ-ხანუმ სურმანიძის ქალი სურიე, რომელიც ამ დროს 20 წლისა იყო. ეს მოხდა დაახლოებით 1916 წელს. ამ ქორწილში საპატიო სტუმრად ყოფილა რუსეთის სრუ-

ლიად ახალგაზრდა ოფიცერი შალვა მაღლაკელიძე. იგი ბეხრიბეგის "ძმადედ" დაუნიშნავთ და ხულოში ზოგიერთ საქორწილო რიტუალში (მზითვის აღწერა და სხვ.) მონაწილეობაც მიუღია. ამგვარად იგი ერისთავთა ნათესავი გამხდარა. ქალებთან გამოსამშვიდობებლად, როცა ბახში-ბეგ მაჩაბელი მათს ოთახში შემოიღვა, "ქალბატონმა მაჩაბლისამ პირველმა აიხადა რიდე და მეჩვენა ღია სახით, შემდეგ სწვდა რძალს, აუწია საფარი და ტკბილის ღიმილით ორივეს ყავით გაგვიმასპინძლდა" (იქვე, გვ.234).

წესის მიხედვით სტუმარს გამომშვიდობებისას პატარძლისათვის ფული უნდა ეჩუქებინა, მაგრამ შალვას მოერიდა და საჩუქარი თავად ბახში-ბეგს გაატანა, რომელმაც სამაგიეროდ გამოუტანა პატარძლის საჩუქარი. "თვით რძალის მიერ დაგვირშტებული და მოქარგული ორი პერანგი, ორი პირსახოცი. თურმე ამ საჩუქარს თვით რძლისაგან მივიღებდი, რომ გამებედნა და ფული დროზე თავის ადგილას დამედოო" (იქვე) - სწერს შ.მაღლაკელიძე.

ამასობაში რუსეთის იმპერატორი დაამხეს და დროებითი მმართველობა (მთავრობა) დაამყარეს. ახალციხის ქალაქის თავმა მოსესიანცმა და მაზრის უფროსმა გუდიევმა (ინგუშმა), რომლებიც კარგად იცნობდნენ შალვა მაღლაელიძეს, თავიანთი უფლებამოსილება მოიხსნეს და მაზრის მოსახლეობის ბედი მას მიანდვეს. ერთი თვის შემდეგ კი იგი ცენტრალურმა ხელისუფლებამ დანიშნა სამხედრო და სამოქალაქო საქმეების საგანგებო რწმუნებულად ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში და არტაანის ოლქის ფოცხოვის მხარეში. ახალციხეში შალვა მაღლაკელიძემ შექმნა სამაზრო კომისარიატი, რომელშიც სანდო და გავლენიანი ადგილობრივი მოხელეები შეიყვანა.

აუცილებელი იყო ქართული სამხედრო ნაწილის, ე.წ. "არტაანის რაზმის" შედგენა, რომლის მიზანი იყო წესრიგის დაცვა და გაბოლშევიკებული რუსეთის ჯარისკაცების განიარაღება. ეს გადაწყვეტილება მალე გავრცელდა, რის შემდეგ ახალციხეში თავისით გამოცხადდნენ რუსეთის არმიის ყოფილი ქართველი ოფიცრები: კობეშავიძე, კაჭახიძე, ვაჩნაძე, აბაშიძე და სხვები. მათ შორის იყო ყადირ შერვაშიძე. რომელსაც მაშინ პოდპოლკოვნიკის წოდება ჰქონდა. სწორედ მას დაევალა ცხენოსანი დივიზიის შედგენა. აქვე მოგვიანებით ჩამოვიდა ზია-ბეგ აბაშიძე, რომელიც ცხენოსან დივიზიაში უფროსის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა.

სამაზრო კომისარიატის შემადგენლობა არაერთგვაროვანი იყო. უმრავლესობა (არა ქართველები) თურქულ ორიენტაციას ადგნენ, ერთხანს მათვე მიემხრო კომისარი ბახში-ბეგ მაჩაბელიც.

1918 წლის მარტის დასაწყისში თბილისის მოავრობამ შალვა მაღლაკელიძე გაიწვია და მისი მოვალეობა გენერალ ბალო მაყაშვილს დააკისრა (იგი შემდეგ ბოლშევიკებმა წყალში ჩაახრჩვეს).

ქართველი სარდლები სომეხთა ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგნი იყვნენ და ყოველმხრივ იცავდნენ მოსახლეობას, მაგრამ მათი წარმომადგენლები ნიადაგ ცდილობდნენ რუსებთან კავშირით მესხეთ-ჯავახეთში გაბატონებულიყვნენ. ასეთი მოძრაობა სწორედ ბახში-ბეგ მაჩაბელმა ჩააქრო და ქართველ სამხედრო მოხელეთა შორის ავტორიტეტიც მოიპოვა (შ.ლომსაძე, მესხები, 303,304). სხვათაშორის ბახში-ბეგ მაჩაბელი შეებრძოლა ჟლობას ცხენოსან ნაწილს, რომელსაც ერთხანს ბორჯომისაკენ დაახევინა.

ასეთი ცვალებადი იყო ბახში-ბეგ მაჩაბლის მოქმედება. ეს ძველი ქართველი ფეოდალი თავის აზრებს იცვლიდა იმის მიხედვით თუ საით დაუბერავდა მისთვის სასარგებლო ქარი. ბუნებრივია ასეთ პიროვნებასთან საერთო ენას ვერ გამონახავდა ისეთი პირდაპირი, მტკიცე და ერთჯერ არჩეული სწორი გზით მავალი კაცი, როგორიც იყო ყადირ შერვაშიძე. ბახში ბეგ მაჩაბლის ასეთმა ორმაგმა თამაშმა განაპირობა მისი საბოლოო დაპირისპირება ყადირ ბეგ შერვაშიძესთან.

***

როგორც სამხედრო მოღვაწეს შეეფერება, ამ დროისათვის ყადირი ფორმალურად სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრად ითვლებოდა, ფაქტობრივად ყველა პოლიტიკურ პარტიას ჩამოშორდა და დივიზიაში თავისებური წესი შემოიღო. იგი არ იკარებდა პოლიტიკურ მოღვაწეებს და საერთოდ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობას ჯარში კრძალავდა. მისი მიზანი მხოლოდ სამშობლოს დაცვა-გათავისუფლება იყო.

ცხენოსანმა დივიზიამ ელვისებური დარტყმებით შეავიწროვა სერვერ-ბეგის მოთარეშე რაზმები და ისინი რამდენიმე ათეული კილომეტრით გადარეკა. საბრძოლო ზონაში უმწეოდ დარჩენილი მოსახლეობა, მოხუცები, ბავშვები და ქალები აქედან გაიყვანა, ბორჯომის მახლობლად შედარებით უშიშარ ზონაში გახიზნა და

ამით დაახლოებით 2000 სული მშვიდობიანი მოსახლეობისა უეჭველ დაღუპვას გადაარჩინა.

ახალციხეში ყოფნისას ყადირ შერვაშიძემ გამოაქვეყნა განმათავისუფლებელი კომიტეტის მიმართვა მუსლიმანი ქართველებისადმი. (გაზ. "ერთობა" №71. 28 მარტი. 1918 წ.), რომელიც ცალკე ფურცლებადაც დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე. ეს არის ოსმალ ხელისუფალთა და ადგილობრივ რენეგატთა წინააღმდეგ აშკარა მოწოდება. მისი ავტორი მხურვალედ უჭერს მხარს დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა-განმტკიცების იდეას. ქართველი ხალხის გაერთიანებას და საქართველოს ტერიტორიიდან უცხოელთა განდევნას. ამ ფურცლის ერთად-ერთი ეგზემპლიარი ჰენახულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. მისი ტექსტი ჩვენ მთლიანად პირველად გამოვაქვეყნეთ 1989 წელს (იხ. "ლიტერატურული საქართველო", №27, 7 ივლისი, გვ. 11) აი ისიც:

## მოწოდება მუსლიმან ქართველებისადმი

ძმებო მუსლიმანო ქართველებო! თურქების უღელი ექვსი თვის მონობაში ყოფნის შემდეგ მოგხსნათ კისრიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა. ოსმალთაგან დატანჯულმა ხალხმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლათ, ხალხის მტრები, ოსმალეთის მოსყიდული აგენტები, თქვენ გაქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, გაგონებდნენ თითქოს საქართველოს ჯარები მოდიოდნენ თქვენს გასანადგურებლად და ასაოხრებლად. მაგრამ დღეს თქვენ თვითონ დაინახეთ, რომ მთელი საქრისტიანო საქართველო ჩვენ გვეპყრობა, როგორც თანასწორუფლებიან ძმებს, ამყარებს ნესრიგს და, მომავალში ჩვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვაწყობთ ჩვენ ცხოვრებას. ექვსი თვის ბატონობის დროს თურქებმა ნათლად დაგვანახვეს, თუ რა სურდათ მათ ჩვენგან, ძმებად მოვიდნენ ჩვენთან, თუ მტრებად.

ძმებო მუსლიმანებო, ქართველებო! ვერც ერთი მტერი ვერ გვიზამდა მას, რაც ჩვენ თურქებმა და მისმა მოსყიდულმა პირებმა გვიყვეს: შებილნეს ჩვენი წმინდა სჯული და პატიოსნება , სოფლის მეჩეთები აავსეს ნაპარავი და ნაძარცვი საქონელით, მთელი თვეები ხალხს მოუსპეს საშუალება აესრულებინათ თა-

ვისი ლოცვის საქმე. განა ამის მსგავსს რასმეს სჩადის საქართველოს მთავრობა? არა, ძმებო მუსლიმანებო, საქართველოს მთავრობა არ ერევა ჩვენი სინდისის, სჯულის საქმეებში. მან საქვეყნოდ მიანიჭა სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია. ახალციხის ჯამე... საქართველოს მთავრობამ ხელუხლებელი დაუტოვა მუსლიმან ქართველებს. დღეს ახალციხის მუსლიმან ქართველების სიხარული და ზეიმია, მაგრამ, ძმებო ახალციხელებო, იქ თქვენი ძმები აჭარლები ისევ მონობაში არიან. თურქების აფიცრები და ასკერები დევნიან ჩვენს მეზობლებს აჭარლებს. გზააბნეული ოსმალეთი, რომელიც დამარცხდა ბრძოლაში, ჩვენში ცდილობს ეხლა მომხრეების შოვნას და აბრიყვებს ხალხს, მარა განა თქვენ არ დაგიხოცეს როზგებით ძმები? განა თურქები არ გართმევდნენ პურს, კართოფილს და უფასოდ არ მიყავდით ბეგარაზე? განა ცოტა დაგეკარგათ შინაური ოთხფეხი? ოსმალებს მიყავდა თქვენი შვილები ჯარში, არ აცმევდა მათ ტანზე და ფეხზე, სტანჯავდა ახალგაზრდებს და ხარჯს უფასოთ ისევ თქვენგან კრებდა.

საქართველოს მთავრობას კი ჯარში არ მიყავს მუსლიმანი ქართველობა. დღეს თქვენ ახალციხის მუსლიმანები თავისუფალი ხართ, მარა თქვენი ვალია დაეხმაროთ უბედურ აჭარა-ქობულეთს მონობის უღელის მოხსნის საქმეში. მთელი სამუსლიმანო საქართველო თავის ძმა ქართველ ქრისტიანებთან ერთად უნდა იყრიდნენ ერთ ოჯახში თავს.

გაუმარჯოს თავისუფალ სამუსლიმანო საქართველოს დამოუკიდებელ საქართველოში!

გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის განთავისუფლებას!

გაუმარჯოს ახალციხის მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმობას.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს!

*სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებული ახალციხეში*

*ქალბერ შერვაშიძე.*

# ცხენოსანთა დივიზიის მეთაური

ცხენოსანთა დივიზიაში ყადირს შემოკრებილი ყაენდა პატრიოტი ქართველები. აქ მისი ადიუტანტი იყო გიგუშა დგებუაძე (იგი 1937 წელს დახვრიტეს). იყვნენ სხვა სანდო ახალგაზრდებიც, უპირატესად აჭარიდან. ერთ-ერთი მათგანია ბათუმელი ახმედ ჯიჯავაძე, რომელთანაც ჩვენ პირადად ვისაუბრეთ ჯერ კიდევ 1967 წელს. მან თქვა, რომ იგი ყადირ შერკაშიძემ თავის თანაშემწედ დანიშნა და მართავდა ახალციხის განყოფილების საქმეებს. მნიშვნელოვანი მოვლენებიდან ხანდაზმულმა ახმედმა გაიხსენა ქართველი ჯარისკაცების შეხვედრა გრიგოლ ვეშაპელთან, რომელიც პოლიტიკური აგიტაციის და ჯარის რეორგანიზაციის მიზნით საგანგებოდ ახალციხეში ჩასულა. იგი ნოე ჟორდანიას მოადგილე და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი იყო. საყურადღებოა, რომ საქართველოს მაშინდელი მთავრობის ზოგიერთი მოხელე მიუღებლად თვლიდა რეგულარული ჯარის შენახვას და მთელს იმედებს სახალხო მილიციაზე ამყარებდა. ამის შესახებ 1918 წლის თებერვალში ნოე ჟორდანიას სეიმის ერთ-ერთ სხდომაზე უოქვამს: "ყველა შეიარაღებული ძალები, ყველა ეროვნული ნაწილები უნდა დაემორჩილონ სეიმს და იმ ორგანოს, რომელთაც სეიმი შექმნის. ჩვენი ცენტრალური საერთო მთავრობა ეს სეიმია და არა ის შტაბები, რომელიც დღეს ჯარს უდგანან სათავეში. არსად ქვეყანაზე არ არსებობენ ეროვნული ნაწილები. ეს ჩვენ მოგვიხდა, როცა ჯარი სტიქიურად სახლში გაეშურა, ეროვნული ნაწილების შედგენას ჩავეჭიდეთ. დღეს კი საუბედუროდ, ამ ნაწილებისათვის იარაღის აყრა და ზოგჯერ გარეკვაც გვიხდება. ეროვნული ჯარები უნდა გაუქმდეს. უნდა მოეწყოს ტერიტორიული ჯარები, რომლებშიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერები შევლენ. აქ შეიძლება მუსლიმანებისათვის გამონაკლისი მათი ზნე-ჩვეულებების მიხედვით, მათ მიეცემა ცალკე სამზარეულო და ცალკე სადგომი... დემოკრატია და მუდმივი ჯარი წარმოუდგენელია... ერთადერთი გზა მისი თანდათანობითი დაშლა და სახალხო მილიციის შედგენაა". ("ერთობა", №40, 18 თებერვალი, 1918).

ქვეყნის მეთაურის ამ ნაბიჯებს არ იზიარებდნენ ქართველი პოლიტიკოსები. რევაზ გაბაშვილის აზრით, "ნოე ჟორდანიას თა-

ვისი საკუთარი ჯარისა ყოველთვის უვრო ეშინოდა, ვიდრე მტრისა", ამის დასასაბუთებლად მას მოჰყავს მაგალითები, როცა 1918 წელს გავიმარჯვეთ სომხებზე, მთავრობამ ჯარი დაშალა, გავიმარჯვეთ ოსებზე, ახალციხელ რენეგატებზე, მთავრობამ ჯარი დაშალა და გადააყენა მთავარსარდალი; 1920 წელს გავიმარჯვეთ რუსებზე აზერბაიჯანში, მთავრობამ ჯარი დაშალა და გადააყენა გამარჯვებული მთავარსარდალი, გენერალი გ.კვინიტაძე (რ.გაბაშვილი. კ. გოგუაძე. "დაბრუნება". გ.შარაძის გამოცემა. ტ.3. თბ. 1992, გვ. 232,315).

ამგვარად ნოე ჟორდანია, რომელიც სამი თვის შემდეგ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე გახდება, კვლავ მოითხოვს ეროვნული საჯარისო ფორმირებების და მათი შტატების დაშლას და "ტერიტორიული ჯარების" შექმნას. გამოდის, რომ იმერეთს, შიდა ქართლს, ხევსურეთს, სვანეთს, აჭარას თავისი ჯარი უნდა ჰყოლოდა. როგორც სჩანს გრ.ვეშაპელიც სწორედ ამ მიზნით იყო ჩასული ახალციხეში.

აჭარის სახელმწიფო არქივში (ფ.10, არქ. (23) 10) წავაწყდით ცნობას იმის შესახებ, რომ ახმედ ჯიჯავაძე ყადირთან ერთად ბათუმის გიმნაზიაში სწავლობდა. იგი 1907 წლის 13 მაისს მოსამზადებელი კლასიდან გადაიყვანეს პირველ კლასში. იმავე წლის 18 დეკემბერს ყოფაქცევაში დაშვებული დარღვევის გამო გიმნაზიიდან დაითხოვეს. მამის შახბაზ ჯიჯავაძის თხოვნით 1908 წლის 16 იანვარს კვლავ აღადგინეს გიმნაზიის პირველ კლასში.

სწორედ ამ ახმედ ჯიჯავაძის თქმით ყადირმა იცოდა საქართველოს მთავრობის ზოგიერთი ხელმძღვანელის აზრი. ამიტომ სანამ სტუმარი ( გრ. ვეშაპელი, რ.ს.) იტყოდა რასმე, მან განაცხადა: "ჩვენი ჯარის მიზანია საქართველოს ტერიტორიიდან უცხოელ დამპყრობთა განდევნა და არა რაიმე პოლიტიკური საქმიანობაო". ამით მან ხაზი გაუსვა, რომ სანამ არსებობს გარედან შემოჭრის საშიშროება, ქვეყნისათვის რეგულარული ჯარიც აუცილებელიაო. შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა და ჩვენი ცხოვრების ლოგიკამ მთლიანად დაადასტურა დივიზიის ახალგაზრდა მეთაურის ეს გამონათქვამი. სხვათაშორის, ყადირის დივიზიის მიზნებსა და ამოცანებზე ზუსტად იგივე გამიმეორა მეორე ჩემმა ინფორმატორმა, ბათუმელმა ჯემალ ფალაკამ: "ყადირის დივიზიონი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ირევდა

საქმეში. იგი მხოლოდ ძალისმიერ ბრძოლებს აწარმოებდა თურქთა წინააღმდეგ. ამით ყადირის ხელქვეითნი ძირფესვიანად განსხვავდებოდნენ სხვა ნაწილებისაგან" (მოგონება ჩვენთან ინახება).

სიტყვამ მოიტანა და ვფიქრობ უინტერესო არ იქნება ჯემალ ფაღავას სხვა მოგონებებიც ყადირზე. ეს შესანიშნავი მთხრობელი და დიდებული ინტელიგენტი 1967 წლის 4 სექტემბერს თავად მოვიდა ჩემთან ბათუმის საქალაქო საბჭოში. მე შევეცადე მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით ჩამეწერა: "ყადირ შერვაშიძეს ვიცნობდი 1917-18 წლებში ერთად ყოფნით. თურქების და ინგლისელების შემოსვლისას ბათუმში მცხოვრები ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იძულებული გახდა გასცლოდა მშობლიურ კუთხეს. მე წილად მხვდა ახალციხეში ჩასვლა, სადაც ყ.შერვაშიძის მიერ შექმნილ ცხენოსანთა დივიზიაში ვასრულებდი სამეურნეო დარგის საქმეს. ყადირი ახალციხეში ყოფნისას ასრულებდა აგრეთვე "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" რწმუნებულის მოვალეობას. ამ კომიტეტის სხდომები ძირითადად ბათუმში იმართებოდა მოსკოვის ქ. №19-ში. ჯაფარიძის ბინაზე. ერთერთ სხდომას მეც ვესწრებოდი. ზია აბაშიძე (წევრი) წინააღმდეგი იყო ჩემი და კარაღა ხალვაშის (არა წევრების) დასწრებისა, მაგრამ ყადირის აქტიური ჩარევით დაგვტოვეს სხდომაზე.

ყადირი იყო ძალზე ენერგიული, ამტანი, მომთმენი, მაგრამ არაჩვეულებრივად პრინციპული და ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდა. ამ საქმეში მას ფიზიკური აგებულებაც ხელს უწყობდა. საშუალო ტანის ჩაფსკვნილი, კუნთოვანი, ლამაზი სახის, ულვაშა ბიჭი ძალზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე.

როგორც ვიცი 2-ჯერ იურიევში ყოფნისას ყადირს დუელი ქონდა და ორივეჯერ გამარჯვებული გამოვიდა. მოგვიანებით ერთ-ერთი მათგანის ძმა, შტაბს-კაპიტანი ყადირს შეხვდა მატარებელში და უბრძანა: ამ მატარებელს მე ვაცილებ (მაშინ სამხედრო პირები აცილებდნენ შემადგენლობას) და დატოვე ვაგონიო. უშიშარ ყადირს ისიც გამოუწვევია დუელში, რის გამო მამლაყინწა კაპიტანი იძულებული გახდა გასცლოდა მას.

ახალციხეში პურმარილზე ყადირის მხლებელს მემედ დაუთის ძე ნაკაშიძეს მოეჩვენა; რომ იქვე მჯდომ შტაბის უფროსს პოდპოლკოვნიკ გველესიანს ყადირის მისამართით უცენზურო სიტყვა წამოსცდა. გაშმაგებული ნაკაშიძე ბებუთით წაწეულა

ბგელესიანისაკენ. სასიკვდილოდ გამზადებული დანაზე ყადირს ხელი შეუშველებია (?) (მეორე ვერსიით ახმედ ჯიჯავაძეს) და მსუბუქად დაჭრილა. ნაკაშიძე მცირედ დაუსჯიათ.

ტიფმა იმსხვერპლაო, ყადირ შერვაშიძე, ამბობენ, მაგრამ მე 90 პროცენტით მჯერა, რომ იგი მსხვერპლი გახდა რენეგატ ბახში ბეგ მაჩაბელისა, რომელმაც დაალევინა დაყოვნებითი მოქმედების საწამლავი. ავსუს! რა ბიჭი იყო!

4 სექტემბერი 1967 წ."

*ცნობისათვის:* ჯემალ მემიას ძე ფაღავა, ორთაბათუმის მკვიდრი 1897 წელს დაიბადა. ყადირ შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ სამხედრო მოღვაწეობას და ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქმიანობას მიჰყო ხელი. 1928-30 წლებში იყო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ კურორტვაჭრობის უფროსი. ჩაქვის ჩაის უაბრიკის დირექტორის მოადგილე. 1940 წლიდან მუშაობდა აჭარკოოპკავშირის სისტემაში, ხოლო 1958 წლიდან პენსიაზე გასვლამდე აჭარპურტრესტის სისტემაში. გარდაიცვალა 1973 წლის 15 მაისს.

## გერმანიაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წლის მარტში ბათუმისა და ყარსის ოლქები, გურია და სამცხე-ჯავახეთი ოსმალო ოკუპანტებმა დაიკავეს. ამიერკავკასიის ხალხები აღსდგნენ მომხდურთა წინაღმდეგ. მაგრამ სეიმში არსებული უთანხმოების გამო ძალების გაერთიანება არ მოხერხდა. აზერბაიჯანელი მუსავატელები სიხარულით ელოდნენ ამ ოკუპაციას, სისხლიც ბლომად იღვრებოდა, მაგრამ ოკუპანტების განდევნა საკუთარი ძალებით ძნელი იყო. ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო დახმარების გაწევა; ეს იყო გერმანია, რომელმაც ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომაზე ავსტრია-უნგრეთთან და ბულგარეთთან ერთად ივალდებულა ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით ისარგებლეს ქართველმა ლიდერებმა და დაიწყეს სასწრაფო

მზადება ამ ისტორიული აქტისათვის. აკაკი ჩხენკელმა წინადადება შეიტანა საქართველოს ეროვნულ საბჭოში დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, ხოლო ახალ მთავრობას დახმარება გერმანიისათვის ეთხოვა.

საჭირო იყო გერმანიაში დელეგაციის მივლინება. მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ სამუსლიმანო საქართველოს წარმომადგენლები. განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ეს მისია ყადირ შერვაშიძეს და ზია აბაშიძეს დააკისრა. როგორც სჩანს ამ გადაწყვეტილების საიდუმლო საიანადოდ ვერ იქნა დაცული და პროსმალური ორიენტაციის პირთა ყურამდე მივიდა. ქალბატონი ცუცა მიუვება: მათ გადაწყვიტეს როგორმე დაეყოლიებინათ ყადირი, რათა უარი ეთქვა ამ მისიაზე. ამ მიზნით თბილისში სასამართლოს ქუჩაზე თარხან-მოურავის №16 სახლში, სადაც ყადირი ცხოვრობდა და გამგზავრების სამზადისში იყო, ერთ გვიან ღამით უცნობი პირი მივიდა. იგი ოთახში შეიპატიჟეს. სავარძელში მჯდომმა უცნობმა დიდი ჩემოდანი გახსნა, იქედან მძიმე ტომარა ამოიღო და მაგიდაზე დადო.

- კადირ ბეგ, ეს ტომარა ოქროთია სავსე. დარჩი, ნუ წახვალ გერმანიაში და ეს ნვეგან სასუქრად მიიღე - თქვა და თავის მოხსნას შეუდგა.

ყადირი თოფნაკრავივით სკამიდან წამოვარდა. უცნობს ხელი სტაცა, წამოაყენა და ტომარა ჩემოდანში ჩააგდო. -

- ახლავე მიბრძანდით აქედან და აღარ გაიმეოროთ, რაც თქვით, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთ.

ელდანაცემმა კაცმა ჩემოდანი დაკეტა, ხელი დააკლო და უსიტყვოდ გაიძურწა.

ყადირი იმავე ღამით ფარულად ფოთისაკენ გაემართა.

როგორც სჩანს, როცა მოსყიდვა არ მოხერხდა, შემდეგ ტერორზე გადავიდნენ. ყადირს რამდენიმე ადგილას დაუგეს მახე, რათა გამგზავრებამდე ფიზიკურად გასწორებოდნენ, მაგრამ განმათავისუფლებელ კომიტეტსაც არ ეძინა. მან თბილისში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში, სადაც მოსალოდნელი იყო გერმანიაში მიმავალი ყადირის გადაადგილება, თავისი ხალხი გაგზავნა. ისინი მდაბიოდ გადაცმულნი თვალყურს ადევნებდნენ ყველას, ვინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ. სხვათაშორის ასეთი თვალთვალი ყადირის წასვლის შემდეგაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ამის მიზანი იყო დაედგინათ ის, ვინც ქართულ ეროვნულ მოძრაობას კრიჭაში ედგა და გამყიდველის და მოღალატის მანტიით შეიმოსა.

ყადირის უფროსი ქალიშვილი, ქალბატონი გულიკო მიყვება უფროსი ბიძის, ზექერია ბეგის ნათქვამს: "როგორც კი გავიგე, რომ ყადირი საზღვარგარეთ წასვლას აპირებდა, მაშინვე გავიაზრე, რომ მას დიდი საშიშროება ემუქრებოდა, ძალზე ვღელავდი, ამიტომ ფარულად ჩავედი ქუთაისში და გუბერნატორის სასახლისაკენ გავემართე (იგი ახლადდანიშნული იყო საქართველოს მთავრობის მიერ). მინდოდა ჩემი შიში მისთვის გამეზიარებინა. თეთრ ხიდთან გავლისას მათხოვარს გადავეყარე, მას ქუდი მუხლებთან დაედო და მოწყალებას თხოულობდა. როგორც კი მივუახლოვდი, წამოდგა და რაღაც უცნაურად მიიხედ-მოიხედა. შემდეგ სახით მომიახლოვდა და ჩურჩულით მითხრა:

- ზექე, ყადირი გასცდა სტამბულს.

შემდეგ ნაუქად დაჯდა, ქუდი მოისწორა და თვალი ამარიდა.

შორიახლოს გავჩერდი, ფარულად ვუცქერდი. ვიცოდი რომელიღაც ჩვენიანი იყო, მინდოდა ამომეცნო. თვალ-წარბი და ხმა ძალზე მეცნო, თუმცა ვერაფრით ვერ გავიხსენე. იქაურობას მოვშორდი, რათა ამ თავდადებული კაცისათვის რაიმე ზიანი არ მიმეყენებინა.

ფოთისაკენ მიმავალმა, როგორც კი სენაკს მივაღწიე, მაშინვე გამახსენდა ჩემი ნათესავი ფეიზულა-ბეგ სურმანიძე, რომელიც ფორმალურად თითქოს თურქეთის რეზიდენტი იყო, მაგრამ ფაქტობრივად საქართველოს მთავრობის დავალებებს ასრულებდა. იგი ერთხანს სენაკში მოღვაწეობდა და სწორედ იქ გავლისას გამახსენდა მისი ხმაც და გამომეტყველებაც.

ასეთ რთულ პირობებში ყადირი ჩავიდა ფოთში, სადაც შეხვდა ზია ბეგ აბაშიძეს, ისინი გემში ჩასხდნენ და ევროპისაკენ გაემგზავრნენ. მათი მიზანი იყო გერმანიისაგან დახმარების მოთხოვნა, რაც იქ ჩასვლის გარეშე არ მოგვარდა. როგორც იქნა მისიაც შედგა და საქართველოს დელეგაცია გერმანიაში ჩავიდა. 1969 წელს ყადირის საოჯახო არქივიდან ქალბატონმა ნელიმ გადმოგვცა სურათი, რომელიც უცნობი ფოტოგრაფის მიერ ბერლინშია გადაღებული. ეს სურათი იმდენად დიდ ისტორიულ ამპაებს ეხება და იმდენი დიდი პოლიტიკური მოღვაწეები არიან მასზე გამოსახული, რომ საჭიროდ ვცანით მისი კარგად შესწავლა და მკითხველისათვის მიწოდება (დაწვრილებით იხ. ჟ. "დროშა" , №12, 1990, გვ. 9)

თითქმის 20 წელიწადს ვეცადეთ, მაგრამ ვერ დავაზუსტეთ სად, როდის და რასთან დაკავშირებით იყო გადაღებული ეს

ფოტოსურათი. ამის გარკვევაში დაგვეხმარა ახლახან გურამ მამულიას რედაქტორობით თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და კოოპერატივ "ნიამორის" მიერ გამოცემული ზურაბ ავალიშვილისა და ვიქტორ ნოზაძის ძალზე საინტერესო წიგნები: "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში" და "საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო".

1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს რესპუბლიკას ულტიმატუმი წარუდგინა და 12 დღის ვადაში პასუხი მოსთხოვა. მეზობელი ქვეყანა მთელი სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიებზე პრეტენზიებს აცხადებდა. ერთი კვირის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ოსმალეთს შეახსენა, რომ სახღვრები ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მიხედვით უნდა დადგინდეს, ხოლო ახალქალაქ-ახალციხის საკითხი საზავო მოლაპარაკებისას გადავწყვიტოთო.

ოსმალეთი ამას არ დასჯერდა. მისი ჯარი კიდევ უფრო ღრმად შემოვიდა საქართველოს ფარგლებში, საინგილოში, ბორჩალოსა და აფხაზეთში.

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მე-4 მუხლის თანახმად ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში მოსახლეობის თვითგამორკვევა უნდა მომხდარიყო კენჭისყრით (რეფერენდუმით).

1918 წლის 14 ივლისს ოსმალეთის მთავრობამ ბათუმში რეფერენდუმი მოაწყო. იგი ჩატარდა ცალმხრივად, მეზობელი სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს მონაწილეობის გარეშე, ადგილობრივი მოსახლეობის დევნისა და დაშინების პირობებში. ცხადია რეფერენდუმის შედეგები არაობიექტური იყო და არ გამოხატავდა ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებს, რის გამოც საქართველოს მთავრობამ იმავე წლის 1 აგვისტოს პროტესტი განუცხადა ოსმალეთის ხელისუფლებას.

როგორც ვთქვით, "სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტმა" თავისი წევრები ყადირ შერკაშიძე და ზია აბაშიძე ბერლინში გაგზავნა, რის შესახებაც ცნობას ვხვდებით ზურაბ ავალიშვილის წიგნში: "აღვნიშნავ აგრეთვე თურქების მიერ 1918 წლის ივლისში ბათუმის ოლქში ჩატარებულ რეფერენდუმს. ამ რეფერენდუმის და თურქების ზოგ მოქმედებების წინააღმდეგ მრავალგზის ხსენებულ სამ სანჯაყში (იგუ-

ლისხმება ყარსი, არტაანი და ბათუმი, რ.ს.) ჩვენ პროტესტი გავიცხადეთ ბერლინში და საქართველოს მთავრობამ თავის მხრივ- თბილისში. აგვისტოს ბოლოს ბერლინში ქართველ მუსლიმანთა საგანგებო დეპუტატებიც კი ჩამოვიდნენ - ზია-ბეგ აბაშიძე და ყადირ-ბეგ შერვაშიძე ისინი აპირებდნენ კონსტანტინოპოლის კონფერენციისათვის რეფერენდუმის გამო შეეჩივლათ". (გვ. 140).

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ზავით ოსმალებმა დატოვეს საქართველო. ამიტომ კონსტანტინოპოლის კონფერენცია აღარ ჩატარდა, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ყადირ შერვაშიძემ სპეციალური ფურცელი - მოწოდება დაბეჭდა და მთელს სამუსლიმანო საქართველოში გაავრცელა (სრული ტექსტი იხ. აქვე).

ერთი წლის შემდეგ ინგლისელთა ოკუპაციის მეტად მძიმე და რთულ პირობებში ბათუმში ჩატარდა ბათუმის ოლქის მაჰმადიანთა ყრილობა, რომლის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: "ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წარმომადგენელნი, რიცხვით ასი კაცი, ვაცხადებთ ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რომ ბათუმის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები ისტორიით სისხლით და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ვართ მუსლიმანი ქართველები და ტერიტორიულად და ეკონომიურად ყოველთვის ჩვენი მხარე დედა-სამშობლოს - საქართველოს განუყრელ ნაწილს შეადგენდა, (ყ. ნოზაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 54).

ასეთი განცხადება - ოსმალთაგან ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გაქარწყლება საქართველოს მტრების მიმართ ნამდვილი ლახვარის ჩაცემა იყო, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა აშკარად გამოხატავდა პროქართულ ორიენტაციას და ძირიდანვე ამსხვრევედა პანისლამისტთა მზაკვრულ გეგმებს.

ქართველ პატრიოტთა სიმტკიცემ და თავდადებულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო - სამუსლიმანო საქართველოს ერთი ნაწილი აჭარა და სმცხე-ჯავახეთი კვლავ დედასამშობლოს ფარგლებში დარჩა.

ზემოთქმულით დასტურდება, რომ ფოტოსურათი გადაღებულია ბერლინში ზია აბაშიძისა და ყადირ შერვაშიძის ჩასვლისას, როცა გერმანიის დედაქალაქში იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია (ა.ჩხენკელი, ნ.ნიკოლაძე, ზ.ავალიშვილი, მ.წერეთელი, გ.მაჩაბელი, ე.ბერნშტეინი, ა. ბეჟანიძე). დელეგაციას ახალ-

გათავისუფლებული რესპუბლიკის მრავალი რთული პოლიტიკური საკითხი უნდა გადაეწყვიტა. ფოტოსურათზე აშკარად ჩანან ნიკო ნიკოლაძე (მარცხნიდან მეოთხე), ყადირ შერვაშიძე (5), აკაკი ჩხენკელი (7), მისი მეუღლე (10), მიხაკო წერეთელი(15), ზიაბეგ აბაშიძე სურათის გადაღების დროს შემთხვევით იქ არ იყო.

სურათზე პირველი მერვე და მეცხრე პიროვნებებიც საქართველოს დელეგაციის წევრები არიან: გასარკვევია, მათგან რომელია ზურაბ ავალიშვილი, გ.მაჩაბელი, ერ.ბერნშტეინი - გერმანული წარმოშობის საქართველოს ქვეშევრდომი და ახმედბეგ ბეჟანიძე, ა. ჩხენკელის მხლებელი, ეს მეტად შთამბეჭდავი გარეგნობის ოფიცერი ქართველი მუსლიმანი.

სურათი გადაღებული უნდა იყოს 1918 წლის აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში ბერლინში სასტუმრო "ადლონის" მახლობლად.

საქართველოს დელეგაციის მისია გერმანიაში წარმატებით დასრულდა. გერმანიის მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა რამდენიმე ბატალიონი (სულ 17000 ჯარისკაცი), რომლებიც განლაგდა თურქეთის მხრიდან შემოტევის ზონებში. მართალია ამ აქტმა ნაწილობრივ შეზღუდა ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, მაგრამ შეაჩერა მეზობელი ქვეყნის აგრესიული მოქმედება, ამიტომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა. 1918 წლის 4 ივლისს საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თურქეთთან ზავი გააფორმა.

## ჯილდო

ყადირ შერ ნვაშიძისათვის ეს მისია მეორე მხრივაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული საბუთებით დასტურდება რომ ყადირი ბერლინში ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით დაუჯილდოვებიათ. სამწუხაროდ ყადირის კუთვნილი სამახსოვრო ნიშანი დაკარგულია, სამაგიეროდ შემორჩენილია ამ ნიშნით მისი დაჯილდოების დამადასტურებელი ფერადად მოჩარჩოებული სიგელი, რომლის ტექსტია: "კადირ ბეგ შერვაშიძეს! მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვის ჩვენს საქმეში. გვაქვს პა-

ტივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთ ლეგიონისა. ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარეზე ქვემოდან". სიგელს ხელს აწერენ: გიორგი კერესელიძე, მიხაკო წერეთელი, ალექსანდრე ყოზალიშვილი, ზია აბაშიძე. იგი გაფორმებულია ქალაქ ბერლინში 1918 წლის 10 სექტემბერს. სიგელზე დასმულია მრგვალი ბეჭედი, რომელზეც იკითხება: საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია. უცხოეთში მოქმედი კომიტეტი".

ამ პარტიის დაარსების ისტორიის გასაცნობად მოვიხმობთ გურამ შარაძის წიგნს "მემედ აბაშიძე", (თბილისი-ბათუმი, 1995 წ. გვ. 84-108), სადაც ნათქვამია:

1907 წელს გ.ნერქეზიშვილმა, გ.გვაზავამ, მ.წერეთელმა და სხვებმა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას წარუდგინეს შედგენილი და მრავალი ქართველის ხელმოწერილი მემორანდუმი, რომელშიც მხილებული იყო ქართველი ერის მიმართ რუსეთის მთავრობის მიერ ჩადენილი ბოროტებანი: გიორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის დარღვევა, საქართველოს სამეფოს გაუქმება, ქვეყნის გუბერნიებად დაყოფა, ფაქტობრივი დაპყრობა და ა.შ.

ჰააგის კონფერენციაზე ამ საკითხმა მრავალი ქვეყნის დელეგაციის ყურადღება მიიპყრო, და ბევრ მათგანში თანაგრძნობაც გამოიწვია. ამით ძალმოცემული და გათამამებული ქართველი მოღვაწეები შეუდგნენ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის პროპაგანდას, მათ 1908 წელს ფარულად შექმნეს საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფი (პარტია), რომელშიც შეეიდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), ფილიპე გოგიჩაიშვილი, პეტრე სურგულაძე, სვიმონ ყიფიანი, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია, მიხეილ ადამაშვილი (ჯავახიშვილი), ნიკო ლორთქიფანიძე, კიტა აბაშიძე და სხვ. ჯგუფს მხარს უჭერდნენ დიდი პოეტები აკაკი და ვაჟა.

ამ ჯგუფში შედიოდა მემედ აბაშიძეც. რომელმაც სწორედ მაშინ დატოვა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის რიგები, ამ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ორგანო იყო ყოველკვირეული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალი "ერი" (რედაქტორ-გამომცემელი პეტრე სურგულაძე). ჟურნალი აშკარად მოითხოვდა იმპერიისაგან საქართველოს გამოყოფას და დამოუკიდებლობას. ბუნებრივია ასეთ რადიკალურ მოთხოვნებს

მოპყვა რუსეთის ხელისუფლების მწვავე რეაქცია. დაიწყო ჯგუფის წევრების დევნა. ზოგი მათგანი რუსეთის შორეულ გუბერნიებში გადაასახლეს კიდეც, მაგრამ ზოგიერთებმა მოასწრეს უცხოეთში გაქცევა. (პ.სურგულაძე - შვეიცარიაში, მ.წერეთელი - ინგლისში და ა.შ.).

ჟენევაში მყოფი პეტრე სურგულაძე დაუკავშირდა ჯერ კიდევ 1906 წელს გახიზნულ ძმებს ლეო და გიორგი კერესელიძეებს, მათს ბიძაშვილს ნესტორ მაღალაშვილს, აგრეთვე ვასილ ციცქიშვილს და მიხეილ იშხნელს. მათთან ლონდონიდან კავშირს ამყარებს მიხაკო წერეთელი, ხოლო ბერლინიდან გიორგი მაჩაბელი. ამგვარად ჟენევაში შეიქმნა მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაცია "თავისუფალი ჯგუფი", რომელმაც 1913 წელს დააარსა საკუთარი გაზეთი "თავისუფალი საქართველო".

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დამოუკიდებლობის ჯგუფი გადაკეთდა "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად", რომელსაც კვლავ პეტრე სურგულაძე ჩაუდგა სათავეში. კომიტეტი მიზნად ისახავდა უმალვე დაეყენებინა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა. ეს ამბავი ლეო კერესელიძის თქმით "ყუმბარასავით მოევლინა ქართულ საზოგადოებას: გადაგვარებულნი აღაშფოთა, ხოლო მამულიშვილთ კი გული იმედებითა და სიხარულით აუვსო". კომიტეტის წევრებმა მიაღწიეს, რომ გერმანიის მთავრობას თავის მხრივ აეღო ვალდებულება: რუსეთზე გამარჯვების შემთხვევაში სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ყოველმხრივ დაეხმარებოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში. ამის შემდეგ კომიტეტის წევრები სტამბულს ჩავიდნენ და ასეთივე ხელშეკრულება გააფორმეს ოსმალეთის მთავრობასთან. აქ მ.წერეთლისა და გ.მაჩაბლის თაოსნობით შექმნილა გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც ფაქტობრივად "საქართველოს რევოლუციურ მთავრობად ითვლებოდა". აქვე კომიტეტს შეემატნენ ოსმალეთში მოღვაწე პატრიოტები: ზია აბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და შალვა ვარდიძე.

1914 წლის ოქტომბრიდან კომიტეტმა ლეო კერესელიძეს დაავალა შეექმნა ქართული ლეგიონი, რომელიც მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაში. ლეგიონის ადგილსამყოფელად შეარჩიეს ლაზეთის სოფელი ვიწე (ახლანდელი ფინდიკლი). ომის დროს გერმანიის მხარეზე

აღმოჩნდა მრავალი ქართველი ტყვე. მათი მოელა-პატრონობაც კომიტეტმა იკისრა. ტყვეთა შორის აღმოჩნდა მრავალი ქართველი, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ჩარიცხულიყვნენ ქართულ ლეგიონში. 1916 წლისათვის ქართული ლეგიონი 2000-მდე კაცს ითვლიდა. მათ ხელმძღვანელობდნენ ქართველი და გერმანელი ოფიცრები. ეს უკვე საკმაოდ დიდი ძალა იყო. ლეგიონს შემუშავებული ჰქონდა თავისი წესდება, რომლის შესრულება ყველასათვის კანონი იყო. ლეგიონის შემადგენლობაში უმეტესად მუსლიმანი ქართველები ყოფილან. შემონახულია ერთი კოლექტიური ფოტოსურათი და ცნობილია ზოგიერთი მათგანის გვარი: ახმედ ბეჟანიძე, თავდგირიძე, ისაკ ნაკაშიძე, ფეიზულა ბეგ სურმანიძე, სეფერ აღა ზადე, ჩახრუხაძე, ხასან ჩეკიოღლი (ჩალოღლი?), ხალვაში და სხვები.

ლეგიონი იმდენად გაძლიერებულა, რომ თვით ოსმალეთის მეხედრობაც კი შეუშფოთებია, რის გამო მას გერმანიის მთავრობის წინაშე დაუსვამს საკითხი ლეგიონის დაშლისა. ეროვნული საჯარისო შენაერთი მართლაც დაშლილა, მაგრამ ძირითადი ბირთვი მაინც შეუნარჩუნებიათ, რომელიც შემდეგ განთავისუფლებულ საქართველოში შემოსულა (აბ.სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994).

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის ხანმოკლე, მაგრამ დიდი ეროვნული დატვირთვის მქონე ისტორია.

დავუბრუნდეთ ლეგიონის სამახსოვრო ნიშანს.

როგორც ცნობილია ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით (თამარ მეფის ორდენით) დაჯილდოებული იყო დიდი მოღვაწე და პატრიოტი მემედ აბაშიძე. მის ოჯახშიც მხოლოდ სიგელის აღმოჩენა მოხერხდა. თავად ორდენი კი დაკარგულია.

ლეგიონის სამახსოვრო ნიშნის ერთად-ერთი ეგზემპლარი აღმოჩნდა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში, რომელიც აქ 1969 წლის 15 მარტს შემოუტანია არქეოლოგ თინათინ შალვას ასულ ქარუმიძეს. ესაა რვაქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავი, რომლის შუაგულში ჩასმულია მედალიონი. მუქი ლურჯი ემალის ფონზე დაკრულია თამარ მეფის მოოქროვილი ვერცხლის რელიეფური გამოსახულება, ირგვლივ წარწერა "ქართული ლეგიონი, 1915". (გ.შარაძის დასახ.ნაშრომი, გვ. 107).

როგორც სჩანს, ეს ჯილდო მომდევნო წლებშიც დიდად პოპულარული იყო. ბატონი აბელ სურგულაძე იმოწმებს ბათუმელ მურად ნიჟარაძეს, რომელსაც გაუხსენებია გერმანელთა ტყვეობაში ცნობილ ლეო კერესელიძესთან შეხვედრა და შემდეგი უთქვამს: "მკერდზე რაღაც ორდენი ეკეთა. მას დავუნახე პირველად და შემდეგ მისგანვე გავიგე, თურმე, თამარ მეფის ორდენი ყოფილა... სიამაყით გაიხსენა დაჯილდოების ისტორია. ისიც თქვა. ჩვენი დიდი დედის ეს ორდენი ბევრს მავალებს და სანამ ვსუნოქავ, ვიბრძოლებ საქართველოს თავისუფლებისათვისო". (აბ.სურგულაძე, სად წაიყვან სადაურსა. ბათუმი, 1966, გვ. 18-19).

## კვლავ ახალციხეში

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ ყადირ შერვაშიძე კვლავ ახალციხეშია. აქ დიდი იდეოლოგიური საქმიანობის, პოლიტიკური მოღვაწეობის და ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის გარდა იგი აქტიურად ჩაება მასობრივი ეპიდემიების წინაარმდეგ ბრძოლაშიც. მოსახლეობას მუსრს ავლებდა განსაკუთრებით საშიში ინფექციები, კერძოდ პარტახტიანი ტიფი. სამწუხაროდ ახალგაზრდა საქართველოს რესპუბლიკას არ გააჩნდა სათანადო ფინანსები, მედიკამენტები. არ ჰყავდა საკმაო კადრები, რის გამო ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლა ძალზე ძნელდებოდა. მიუხედავად ამისა ყადირ შერვაშიძემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა სამხედრო და სამოქალაქო სამედიცინო პერსონალი, რომლებმაც ხელში აიღეს პროფილაქტიკური და საკარანტინო ფუნქციები, შესაძლებლობის ფარგლებში მოაწყვეს სახელდახელო ლაზარეთები, სადეზინფექციო კამერები; ამ ღონისძიების შედეგად მრავალი ადგილობრივი მცხოვრები და სამხედრო ნაწილების პირადი შემადგენლობა გადაურჩა უეჭველ სიკვდილს.

1919 წლის ოებერვალში სერვერ-ბეგ ქობლიანსკიმ შეავიწროვა ქართული საჯარისო ნაწილები და თავისი "სამთავრობო" ჯარები საზეიმოდ ახალციხეში შეიყვანა. აღლუმს თურქი ოფიცერი, აწყურის ყოფილი კომენდანტი ლატიფ-ბეი ხელმძღვანელობდა. ჯარმა დაატყვევა ყველა ქართველი მოხელე

და ოფიცერი. აგრეთვე მილიციელები, რომლებმაც ქალაქიდან გასვლა ვერ მოასწრეს. გაცოფებული ოკუპანტები განსაკუთრებულად ეძებდნენ ყადირ შერვაშიძეს, ჰაიდარ აბაშიძეს და ლეო ბურკაძეს. (გაზ. "ერთობა", 20 მარტი 1919 წელი. ახალციხის აჯანყების გარშემო). მიუხედავად ამისა ყადირი ახალციხეში მაინც დარჩა და თავის ნაწილებთან ერთად მოსვენებას არ აძლევდა სერვერ-ბეგის აღვირახსნილ ასკერებს.

## გარდაცვალება

1919 წლის აპრილში ყადირ შერვაშიძე თბილისში მიიწვიეს ერთ-ერთ სხდომაზე მონაწილეობისათვის. იგი ჯერ ქუთაისში ჩავიდა, სადაც თავი ძალზე ცუდად იგრძნო. ვერავინ გაიგო მისი ავადმყოფობის მიზეზი. მიუხედავად ამისა თბილისში მაინც ჩააღწია. აქ მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ექიმები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს და 1919 წლის 8 მაისს გარდაიცვალა.

32 წლის სამხედრო მოღვაწის, პატრიოტისა და აჭარის მკვიდრთაგან პირველი ექიმის გარდაცვალების მიზეზი იმთავითვე ბურუსში მოიცვა. გავრცელდა ხმა, რომ ყადირი პარტახტიანი ტიფით დაავადდა და სიკვდილის მიზეზიც ეს იყოო. ამას იმითაც ადასტურებდნენ, რომ მისი მძღოლი ისაკ ჯღარკავა, რომელიც ყადირს განუშორებლად თან ახლდა, დაავადდა პარტახტიანი ტიფით, მაგრამ შინაურები, ყადირის მეგობრები და უახლოესი თანამებრძოლები დაბეჯითებით თვლიდნენ, რომ ყადირი მოწამლეს. ამ აზრს ისიც აძლიერებდა, რომ თუთიის კუბოში ჩასვენებული ცხედარის ნახვა არ მოხერხდა თითქოსდა იმის გამო, რომ მოსალოდნელი იყო დაავადების გადადება. საფუძვლიანი სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯემალ ფაღავამ დაბეჯითებით თქვა, რომ ყადირი ემსხვერპლა ბახში-ბეგ მაჩაბლის მუხანათობას.

იგივე დაადასტურა ყადირის გიმნაზიის დროინდელმა ამხანაგმა და შემდგომში მისმა ადიუტანტმა ახმედ ჯიჯავაძემ. ბახში-ბეგ მაჩაბლისა და ყადირის მწვავე შეტაკებას ერთხელ თა-

ვადაც შეესწრო. მოქიშპეებმა იარაღი გამოიყენეს, მაგრამ ორივე უვნებლად გადარჩა. მათი მტრული ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. ბახში-ბეგი ოსმალეთის ორიენტაციის იყო და რენეგატის პოზიცია ეკავა, რაც ქართული ორიენტაციის მქონე და სისხლითა და ხორცით ქართველი ყადირისათვის სრულიად მიუღებელი იყო.

ახმედ ჯიჯავაძის თქმით, სწორედ ამ მანაბელმა შეუგზავნა ყადირს ვიღაც მსახური ქალი, რომელმაც მას დაყოვნებითი მოქმედების საწამლავი შეაპარა.

ასეა თუ ისე ყადირის გარდაცვალების მიზეზი ჩვენს დროშიც საიდუმლოდ დარჩა, ამიტომ არაერთხელ დავაყენე საკითხი გვამის ეგზგუმაციისა და საფუძვლიანი ქიმიურ-ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, რაც დღემდე არ მოხერხდა. არა და ამის გაკეთება აუცილებელია, რათა დადგინდეს, თუ რა მძიმე ვითარებაში განვლო სამშობლოს ერთგულმა მამულიშვილმა ცხოვრების ბოლო დღეები და როგორ ემსხვერპლა კიდეც ამას.

ყადირ შერვაშიძის გარდაცვალებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს საქართველოში თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მის მშობლიურ ქედაში.

დამფუძნებელი კრების 9 მაისის სხდომაზე სიმონ მდივანმა "დაახასიათა დამფუძნებელი კრების წევრი ყადირ შერვაშიძე", დეპუტატებმა "ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას. მისივე განცხადებით ყადირ შერვაშიძის და კიდევ ორი სხვა გარდაცვლილი სოციალ-დემოკრატი დეპუტატის ადგილს დამფუძნებელ კრებაში ამიერიდან დაიკავებდნენ: იოსებ ირემაშვილი, ს.ვადაჭკორია და გრ.სირბილაძე (ციტ. აბ.სურგულაძე. ყადირ შერვაშიძე თამარის ორდენის რაინდი, გვ. 43).

გაზეთმა "ერთობამ" რამდენიმე ნომრის პირველი გვერდი დაუთმო ყადირ შერვაშიძის ხსოვნის მასალებს. მთავრობის ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: "საქართველოს დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ფრაქციის წევრის კადირ ტუფანის ძე შერვაშიძის გარდაცვალებას". იქვეა ოჯახის განცხადებაც: "ფატმა-ხანუმ, ნადეჟდა, გულიკო და ნელი, ესმე-ხანუმ, ბექირი, რეშიტ, მაშიკო, ვარლამი და გრიგოლი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ: პირველის შვილის, მეორის მეუღლის, მესამეთა მამის,

მეოთხე, მეხუთე და მეექვსეთა ძმის და უკანასკნელთა სიძის, დამფუძნებელი კრების წევრის, ქართველ მუსლიმანთა დივიზიის უფროსის, პოლკოვნიკ კადირ ტუფანის ძე შერვაშიძის უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს 10 მაისს, საღამოს 5 საათზე სუდებნის (ახლანდელი ზუბალაშვილის, რ.ს.) ქუჩიდან №16. აქედან ცხედარს წაასვენებენ სადგურზე სამშობლო აჭარაში დასაკრძალავად".

ანალოგიური განცხადებები გაზეთ "ერთობაში" გამოქვეყნდა ქართველ მუსლიმანთა ცხენოსანი დივიზიის მხედრობის, ოფიცრობის, დივიზიის შტაბის და სამუსლიმანო საქართველოს განმაოავისუფლებელი კომიტეტის სახელით. (გაზეთი "ერთობა" №101, 102, 1919 წ.) განცხადებები გამოაქვეყნა "სახალხო გაზეთმა" (№522, 523, 1919 წ) და სხვა გაზეთებმა.

"თბილისის სადგურზე ყადირის ცხედარი ზღვა ხალხმა გამოაცილა. ოჯახის წევრთა გადმოცემით იქ გამოსამშვიდობებელი მიტინგიც გაიმართა". ცხედარს მოყვებოდნენ ოჯახის წევრები-გაუბედურებული დედა, უდროოდ დაქვრივებული მეუღლე, პაწაწინა ქალიშვილები, დამწუხრებული და-ძმები და სხვა ახლობლები. "პროცესიას რიონის სადგურზე ქუთათურთა საკმაოდ დიდი წრე დახვდა. ბახტაძეებმა ძვირფასი სიძის ნეშტი თავისთან წაასვენეს და რამდენიმე დღის განმავლობაში მათი სახლიდან სამგლოვიარო საგალობლების ხმა მოისმოდა..." (იხ. აბ. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23,24).

დასაწყისში ყადირის დაკრძალვა სურდათ ბათუმში აზიზიეს მოედანზე, მაგრამ მას ხელი შეუშალეს ბათუმში იმ დროს მყოფმა ინგლისელმა ოკუპანტებმა და ჯამეს მესვეურებმა. ვითარებაც ძალზე დაძაბული იყო, წყდებოდა აჭარის ბედი. აქ ჯერ კიდევ არ ჩამოეღწია დამოუკიდებლობის ტალღას. ამიტომ ნათესავებმა გადაწყვიტეს ყადირის ნეშტი ქედაში დაესაფლავებინათ.

ყადირ შერვაშიძის გარდაცვალებას დაემთხვა პერიოდი, როცა ბათუმიდან წავიდა გერმანელთა სამხედრო ნაწილები, რომლებიც მეტნაკლებად ზომიერად იქცეოდნენ ხოლო მათ მაგივრად შემოვიდნენ ინგლისელები, რომლებმაც 1919 წლის 10 იანვარს მოახდინეს ბათუმის ოლქის ფაქტობრივი ოკუპაცია და თავს მხარის ბატონ-პატრონად თვლიდნენ. ისინი ყველგან იდგნენ სოფლებში, გზებში, ტყეებში და მეტად გამომწვევად იქცეოდნენ. ილია ჩიქოვანის (პონტელის) თქმით, "ინგლისელები ინდოელი

ჯარისკაცებით და ჯიშიანი ჯორებით საქართველოს ყველა კუთხეში გამოჩნდნენ. ყველგან უხეშად ეჭირათ თავი, ბატონობდნენ და ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში ერეოდნენ" (ი.პონტელი, მოგონებები, თბილისი, 1958. გვ. 22)

ყადირ შერვაშიძის ქედაში გადასვენების პროცესიას სწორედ ინგლისელთა ეს თავაშვებული ჯარისკაცები გადაუდგნენ წინ. საქმეში დროულად ჩაერევნენ სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის თავმჯდომარე მემედ ბეგ აბაშიძე, კომიტეტის წევრები სულეიმან დიასამიძე, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები და ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა. ყადირი ქედაში წაასვენეს და მისივე სახლის გვერდით, ბაზრის მახლობლად დაკრძალეს.

## ყადირის შემდეგ

მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, როგორ დიდი იყო მწუხარება და გლოვა, რომელმაც მოიცვა თითქმის მთელი საქართველო უდროოდ და ბურუსით მოცულ ვითარებაში ახალგაზრდა სარდლისა და მოღვაწის დაკარგვის გამო. მცირე წლოვან ბავშვებს და ნაადრევად დაქვრივებულ ცუცას ოჯახის წევრები ზრუნვას არ აკლებდნენ, განსაკუთრებით ყადირის და-ძმები: ზექერია, რეშიტი, ბექირი, ულუეთი, ზერე, სალიე, ესმა.

1919 წლის ივლისში თბილისის მესამე სასამართლომ ნადექდა ვარლამის ასული ბახტაძე-შერვაშიძე გააფორმა მცირეწლოვანი შვილების გულის და ნელის მეურვედ. სპეციალურ საბუთში ნათქვამია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მას უფლება ეძლევა განაგოს გარდაცვლილის მთელი ქონება, რომელიც ამიერიდან მას და მის შვილებს ეკუთვნის და ყოველწლიურად სასამართლოს წარუდგინოს სამეურვეო ანგარიშგება.

ქონება კი საკმაოდ დიდი იყო. ჩვენ მთლიანი ქონების აღწერილობა არ გაგვაჩნია. მაგრამ საოჯახო არქივში არის საბუთები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან ყადირ შერვაშიძის ქონებრივ ცენზე. 1918 წლის 29 ნოემბრის ერთი საბუთით, რომელიც გაუცია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა

მინისტრის კანცელარიას, დასტურდება: ყადირი ფლობდა ფორდის ტიპის მსუბუქ ავტომობილს (№133602) და უფლება ეძლეოდა იგი ქუთაისიდან თბილისში ჩაეყვანა. იმ დროისათვის ეს დიდი კაპიტალი იყო. ოჯახში ასევე შენახულია ამიერკავკასიის ბანკის ანგარიშსწორების წიგნაკი №654, ირკვევა, დაწყებული 1918 წლიდან ყადირ თუფანის ძე შერვაშიძეს ბანკში ჰქონდა გარკვეული რაოდენობის თანხა, რომლის ნაშთი 1918 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 85000 რუსულ მანეთს უდრიდა.

ჩვენ არ ვიცით იმ არეულ დროში რამდენად შეძლო ქალბატონმა ცუცამ კუთვნილი ქონებისა და ფულის გამოყენება, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაიწყო საშინელი ინფლაცია და ბონებს მილიარდობით ითვლიდნენ.

ყადირის ოჯახისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ზექერია, რომელსაც საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია და მთელ თავის სიყვარულს ობლად დარჩენილ ძმისშვილებს უნაწილებდა. ქალბატონები გული და ნელი დიდი მადლიერებით იხსენებდნენ უფროსი ბიძის მამობრივ ზრუნვას. აქვე ვიტყვით, რომ ზექერია შერვაშიძეს დიდი წვლილი მიუძღვის იმდროინდელ სამუსლიმანო საქართველოს ზოგიერთი პროცესის მოწესრიგებაში. იგი 1917 წლის თებერვალში აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობის წარმომადგენელთა კრების მოწყობაში, რომელმაც აირჩია "ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი". ზექერია ამ კომიტეტის წევრად დაამტკიცეს. მემედ აბაშიძის თქმით, ამ კომიტეტის მიზანი იყო მოსახლეობაში თვითშეგნების შეტანა, საქართველოს ისტორიული წარსულის გაშუქება და ხალხში საქართველოს ერთიანობის იდეის განმტკიცება (ერმილე მესხია. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1997. გვ. 9). იმავე წლის შემოდგომაზე ზექერია შერვაშიძე მონაწილეობდა ბათუმის ოლქის მუსლიმანთა საქველმოქმედო საზოგადოების დაფუძნებაში. რომელიც დაუპირისპირდა თურქოფილთა ანალოგიურ ორგანიზაციას (იქვე, გვ. 10). ზ.შერვაშიძე ამ საზოგადოების გამგეობის წევრი იყო.

ზექერია შედიოდა სამუსლიმანო საქართველოს 20 კაციან დელეგაციაში, რომელიც 1916 წლის მარტში ეწვია კავკასიის მეფისნაცვალს და მოითხოვა სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დაპატიმრებული აჯარლების გათავისუფლება. 4 მარტს ეს დელეგაცია შეხვდა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს, ბანკეტზე,

რომელსაც 200 კაცი ესწრებოდა, გიორგი ყაზბეგი თამადობდა. აქ შოამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვეს ისკანდერ ცივაძემ და მეამედ-ბეგ აბაშიძემ (თეატრი და ცხოვრება, №11, 1916).

1921 წლის მარტში ნოე ჟორდანია პირადად ეახლა ნადეჟდა ბახტაძე-შერვაშიძეს და შესთავაზა ბავშვებთან ერთად ემიგრაციაში წასვლა. ეს ერთის მხრივ გამართლებულიც იყო, რადგანაც "მენშევიკის" ოჯახს დიდი რეპრესიები ელოდა. ეს თავად ცუცამაც კარგად იცოდა, მაგრამ დარჩენა ამჯობინა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს მორიდებით ამცნო:

- ბავშვები სამშობლოში, მამისეულ ოჯახში უნდა გავზარდოო.

პირველ ხანებში ოჯახი არც შეუწუხებიათ. საშიშროება მოსალოდნელი იყო 1924 წლის აჯანყების მზადების დროს, მაგრამ მაზლების, ზექერიას და რეშიტის გონივრული მოქმედებით ყადირის ოჯახი ამ ტალღასაც გადაურჩა. შერვაშიძეებმა გაიფრთხილეს აჯანყების ყველა მონაწილე საჭიროების შემთხვევაში კავშირი ჰქონოდათ ამ გვარის სხვა ოჯახებთან, ხოლო ცუცას ოჯახს არ მიკარებოდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყადირთან ერთად სწავლობდა თავადი გიორგი (გოგლიკა) შერვაშიძე. მას ცოლად ჰყავდა მოსკოვის გუბერნატორის ქალი ზოია (სამწუხაროდ ქალბატონმა გულიკომ მისი გვარი ვერ გაიხსენა). ზოიაც ექიმი იყო, მუშაობდა ფტიზიატრიაში. 1927 წელს ბათუმში ჩატარებულა ფტიზიატრთა კონფერენცია, რომელსაც მოსკოვიდან და თბილისიდან 30 სტუმარი ესწრებოდა. ცუცა ზოიასაც იცნობდა, ამიტომ ყველა სტუმარი სახლში დაპატიჟა და საკადრისადაც გაუმასპინძლდა.

ცუცა მართლაც გადაეგო შვილების აღზრდას. მან თავისი პროფესიით სტომატოლოგად მუშაობაზეც კი უარი განაცხადა, ოღონდაც გოგონები ღირსეულ მანდილოსნებად გაეზარდა. ეს მართლაც ასე მოხდა. ორივემ შესანიშნავი ოჯახები შექმნა. გულიკო ცოლად გაყვა საქართველოში ცნობილ მეცნიერს და მჭევრმეტყველს, პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკს (1907-1965). მისი თანამედროვე და ოჯახის მეგობარი ელიზბარ ციხარიშვილი მოგვიანებით იტყვის: "ნიკოლოზ კანდელაკს ერთი ადამიანური სისუსტე ჰქონდა - ეს იყო რაღაც განსაკუთრებული სიყვარული ქალაქ ბათუმისა და ბათუმელებისა. მე შევხვდი მას ბათუმში. 1960 წელს, შესანიშნავი ექიმის ალექსანდრე ლორიას ოჯახში, სადილზე. ასე გახარებული, გაბრწყინებული სახით კოლია არ მენახა. მისი

*ცუცა ბახტაძე შერვაშიძე და...*

ქცევა, მისი ყოველი სიტყვა მოწმობდა, რომ იგი ბედნიერი იყო. შემდეგ ბათუმში სეირნობისას ყოველ ქუჩასა და კუთხე-კუნჭულს თავისებურად ეფერებოდა“ (გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, №163, 15 ივლისი, 1997 წ. გვ. 4). ავტორი არ ასახელებს მთავარ მიზეზს. ჩვენი აზრით, ბათუმისადმი ბატონი ნიკოლოზის განსაკუთრებული სიყვარული იმითაც იყო გამოწვეული, რომ აქ დაიბადა და აღიზარდა მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი, ერთგული მეგობარი და მეუღლე, ქალბატონი გული შერვაშიძე.

გულიკოს და ნიკოლოზის ერთად-ერთი ვაჟი რამაზი ასევე საქართველოში ცნობილი ინტელიგენტია. იგი ახლა ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტში თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს და დიდი წვლილი შეაქვს დამოუკიდებელი საქართველოს მშენებელთა სულიერ აღზრდაში. რამაზის და მაო გოგოლაძის შვილი ბაკურ

*ყადირ შერვაშიძის მემორიალური დაფის გახსნა პუშკინის ქ. №78 სახლთან, დაბადებიდან 80 წლთან დაკავშირებით; პირველ რიგში მარცხნიდან: აკაკი ბერიძე, კახტანგ დასაშიძე, გიორგი ხეჩინაშვილი, გულიკო შერვაშიძე, რამაზ სურმანიძე, ნელი შერვაშიძე, ოთარ ბზიკაძე, თამარ დობორჯგინიძე, ელენე ნიკოლაევა, ნათესავები. დეკემბერი, 1977 წ.*

კანდელაკი თავისი დიდი წინაპრების ყადირ შერვაშიძისა და ნიკოლოზ კანდელაკის ღირსეული მემკვიდრეა. მან და მისმა მეუღლემ თამარ ქავთარაძემ ნამდვილად აჯობეს მშობლებს და ოჯახს ორი კაკაცი მიხეილი და ნიკოლოზი შესძინეს.

ასევე შესანიშნავი ოჯახი დატოვა ნელიმაც. იგი სიცოცხლის ბოლო წლებამდე მუშაობდა აჭარის ჯანდაცვის სისტემაში და სულ ახლახან 1997 წლის მაისში გარდაიცვალა. ნელის შვილი თამაზ ძიძიშვილი, მოსკოვში ცნობილი ბიზნესმენი, ფირმა "ძველი არბატის ზღაპრების" დირექტორი, მეცენატი და ქველმოქმედია. იგი დიდ დახმარებას უწევს სამშობლოში მცხოვრებ

ხელმოკლე თანამემამულეებს, სტუდენტებსა და ავადმყოფებს. მოსკოვის ქართულ სათვისტომოში თამაზ ძიძიშვილს ერთ-ერთი ღირსეული ადგილი უკავია. მეუღლე გალინა სურავლიოვა ქართულ ყაიდაზე მოქცეული მშვენიერი რუსი მანდილოსანია. თამაზის ორი შვილი, ქალ-ვაჟი გიორგი და ნატალია ჰყავს, ისინიც მამის კვალს მისდევენ და დარწმუნებული ვართ ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ სამშობლოსა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. ასეთია საქართველოში გამოჩენილი გვარის ერთი შტოს შერვაშიძეთა დიდებული ოჯახის ისტორია.

## ბოლოთქმა

ყადირ შერვაშიძის დამსახურება დიდხანს საერთოდ მივიწყებული იყო. მის შესახებ მასალების შეგროვება ჩვენ დავიწყეთ 1963 წელს, როცა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პატრიოტთა ბიოგრაფიების გამოქვეყნებაზე ჯერ კიდევ ტაბუ იყო დადებული. ჩემს მიერ შეგროვებული მასალები ოთხი წელი უძრავად იყო, ვერც ერთმა რედაქციამ ვერ გაბედა მაოი გამომზეურება, მაგრამ გამოჩნდა ჭეშმარიტი ქართველი, გამბედავი და შეუპოვარი რედაქტორი რუბენ სირაძე. მან გადალახა ყველა ბარიერი და ყადირის დაბადებიდან 80 წლისთავზე, გარდაცვალებიდან 48 წლის შემდეგ, პირველად გამოაქვეყნა ჩვენი წერილი "პირველი ექიმი, პატრიოტი" ("საბჭოთა აჭარა", №98, 21 მაისი, 1967, წ., გვ. 4), მის ფოტოსურათთან ერთად. რამდენიმე ფრაზა რედაქციამ იმ დროის მოთხოვნების კვალობაზე გადააკეთა, მაგრამ ამას უნდა შევრიგებოდით, რადგანაც ამის გარეშე წერილის დაბეჭდვა გამორიცხული იყო. თუმცა ამ "გადაკეთებამ" სულაც ვერ შეუშალა ხელი იმ დიდ გამოხმაურებას, რომელსაც ვღებულობთ წერილობითაც და ზეპირი მონათხრობის სახითაც. ყოველივე ეს ორი წლის შემდეგ შევიტანე წიგნში "დაუვიწყარი სახეები" (ბათუმი, 1969).

1970 წელს სპეციალურად ვიმოგზაურე ესტონეთში. მოვინახულე ტარტუს სახელგანთქმული და ერთ-ერთი უძველესი უნი-

ვერსიტეტი. ნემი იქაური მეგობრების ვიქტორ კალნინის და სერგეი ისაკოვის დახმარებით ვნახე სახლი, სადაც ცხოვრობდნენ ყადირ შერვაშიძე და მისი მეუღლე ნადეჟდა ბახტაძე. ასევე მივაკვლიე ორ სახლს (კინგისეპის და იულიკოოლის ქუჩებზე), სადაც 1910-1914 წლებში, ტარტუში ყადირ შერვაშიძის ყოფნის პერიოდში, მოთავსებული იყო ქართველთა სათვისტომო. რაც მთავარია შევძელი არქივიდან ამომეღო ყადირ შერვაშიძის პირადი საქმე და მრავალი ფოტოსურათი.

1982 წელს, დაბადებიდან 95 წლისთავზე ნეკნი ინიციატივით მემორიალური დაფა გაუკეთდა ბაოუმში პუშკინის ქუჩაზე მდებარე №78 სახლს, სადაც 1897 - 1905 წლებში ცხოვრობდა ყადირ შერვაშიძე. იმავე დღეს ბაოუმის საქალაქო საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის ყადირ შერვაშიძის სახელის მიკუთვნებაზე. ამის შესახებ იყო მრავალი მსჯელობა, თითქოს ყველაფერი კიდეც გადაწყდა, მაგრამ ფაქტობრივად ჯერჯერობით იგი სისრულეში არ არის მოყვანილი.

სახელოვანი მამულიშვილის დამსახურების დასაფასებლად სამწუხაროდ არც ნეკნს დროში გაისარჯნენ. 1987 წელს არაკის გახსენებია ყადირ შერვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ სტრიქონების ავტორი მაშინ პატიაშვილის პროვინციული მთავრობა - ხროვის მიერ სრულიად უდანაშაულოდ იყო პატიჟაცრილი, მისი ნაწერების გამოქვეყნება არაოფიციალურად აკრძალული. ამიტომ ცნობილი პიროვნების ღვაწლის წარმოჩენაზე მას ხელი აღარ მიუწვდებოდა.

მიშანრია, რომ ყადირის სახელი, მისი დიდი ღვაწლი და დამსახურება დღესაც არ არის სათანადოდ დაფასებული. ეს საეჭვეღური განსაკუთრებით ეხება ნეკნს დედაქალაქს, თბილისს, სადაც თუ მხედველობაში არ მიეიღებთ "ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ ნეკნს ზემოთქმულ წერილს, ყადირ შერვაშიძეზე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრზე და თვდადებულ მამულიშვილზე დღემდე მნიშვნელოვანი არაფერი გამოქვეყნებულა (ერთად-ერთი გამონაკლისია ა.ბ.სურგულაძის წიგნი) და მისი ბიოგრაფია ფაქტობრივად აჭარის ფარგლებს არ გასცილებია.

არ შემიძლია არ დავეთანხმო ჩემს მეგობარსა და თანამოკალმეს, ბატონ აბელ სურგულაძეს და მთლიანად არ გავიზიარო მისი გულისტკივილი, რომელიც თავის წიგნში გამოთქვა: "რაოდენ დასანანია, რომ ყადირ შერვაშიძის განსასვენებელი დღესაც არაა სათანადოდ მოვლილ-მოწყობილი. თუ გავითვალისწინებთ იმ საგალალო ფაქტს, რომ წმიდა თამარის ორდენის ერთი კავალერის მემედ აბაშიძის საკანე საერთოდ უცნობია ჩვენი ხალხისათვის, მაშინ შეუწყნარებელია ქედელების უყურადღებობა თავიანთი დიდი შვილისადმი. სახელოვანი წინაპრისადმი გულგრილობას ვერც შერვაშიძეებს მოვუწონებთ". "მსოფლიო ინტერნაციონალისტები" 70 წლის განმავლობაში კი ცდილობდნენ დაგვეიწყებინა პატივისცემა ეროვნული გმირებისადმი, მაგრამ დღეს მაინც ნუ ვიქნებით უმადური იმ ადამიანისადმი, ვინც საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისათვის ბრძოლის ცეცხლში დაიფერფლა. ეროვნულ მოღვაწეთა პანთეონს (ჩვენს ისტორიასაც) ჭეშმარიტად უნდა ამშვენებდეს თამარ მეფის ორდენის რაინდის, სახელოვანი ყადირ შერვაშიძის სახელი" (გვ. 46, 47). როგორც იტყვიან, კომენტარები და თავის მართლება ზედმეტია.

A.CHAFFANJON. Petit Gotha illustré. 1968, p. 442.

თუფან-ბეგ შერვაშიძე (ლეგალი). 1987 წ.

თუფან-ბეგ შერვაშიძე შვილებთან და ნათესავებთან
სხედან: ყადირი, თუფან-ბეგი, მისი ცოლისძმისშვილი ხუსეინ ავალიანი
დგანან: ზექერია, რეშიტი, თუფან-ბეგის მსახური მუსტაფა (თურქი), ქამილი, თუფან-ბეგის ძმის მაჰმუდის შვილი თემური.
1897 წელი



ბათუმის ვაჟთა გიმნაზია. 1900 წ.

31 августа 1905г.
за № 1051

# СРОЧНАЯ ВЕДОМОСТЬ

об успехах, внимании, прилежании и поведении ученика пятого класса Батумской его императорского высочества великого князя Михаила Николаевича гимназии Шервашидзе Кадыр-Оглы за 1904/5 у/г.

| Сроки | Закон божий / Логика | Русский язык | Латинский язык | Греческий язык | Арифметика | Алгебра | Геометрия | Тригонометрия | Физика | Космография | История | География | Французский язык | Немецкий язык | Чистописание | Рисование | Внимание | Прилежание | Поведение | Пропущено уроков по причине уваж. | Пропущено уроков по причине неуваж. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Успехи | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| I-я | - - | 3 | 3 | - | - | 4 | 4 | - | - | - | 3 | 3 | 2 | 3 | - | - | 3 | 3 | 5 | | |
| 2-я | - - | 3 | 4 | - | - | 4 | 4 | - | - | - | 3 | 3 | 2 | 3 | - | - | 3 | 3 | 5 | | |
| 3-я и 4-я | - - | 3 | 3 | - | 2 | 2 | - | - | - | - | 3 | 3 | 2 | 3 | - | - | - | - | 5 | | |
| Годовая отметка | - - | 3 | 3 | - | 3 | 2 | 2 | - | - | - | 3 | 3 | 2 | 3 | - | - | | | | | |
| На испытании: Письм. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| На испытании: Устном | - - | - | - | - | - | 3 | 3 | - | - | - | - | - | 3 | - | - | - | | | | | |
| На испытании: Дополн. | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| Общая отметка | - - | - | - | - | - | 3 | 3 | - | - | - | - | - | 3 | - | - | - | | | | | |

Замечания:

I. Обучался 2 года в классах:

В приготовительном два года в первом два года и два года четвертом кл.

Постановление Педагогического Совета: Переводится в пятый класс

М.П. Директор подпись

Примечание: Заполняются цифрами графы лишь тех четвертей учебного года, в течении коих ученик находился в заведении.

ЦГА ГССР в г.Тбилиси, Ф.44I, оп.I, д.I785, л.83.

Верно: Лебанидзе



თბილისის გიმნაზია



ყაღირ შერვაშიძის 1909 წელს გადაღებული ფოტოს მეორე გვერდზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული საარქივო საწარმოველი
საქართველოს სსრ
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
ᲐᲠᲥᲘᲕᲘ
Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ლენინის ქ. № 36. ტელ. 3-18-80, 9-04-65

Архивное управление при Совете Министров
Грузинской ССР
ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ
А Р Х И В
Грузинской ССР в г. Тбилиси
ул. Ленина № 36, тел. 3-18-80, 9-04-65

№ 462 . 8 . დეკემბერი 1967 წ.

# ᲡᲐᲐᲠᲥᲘᲕᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ
## Архивная справка

ამხ. რამაზ სურმანიძეს
ბაღუმი, ჯაფარიძის 25, ოთახი 15

საქ. სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი ძაცნობებდა, რომ ყადირ მერეაძის ძესთან 1909 წ. დბილისის პირველი ეაფთა გიმნაზია დაამთავრეს შემდეგმა პირებმა: გიორგიმერული ნიკოლოზ, ქარუმიძე პეტრე, ჩიქოვანი მიხეილ, მერეაშვილი ყადირ და ბაიბოევი ალი-ბეკი.

აღსანიშნავია ძაცნობებზე-დამოწმებული მასალები ყადირ მერეაშვილის შესახებ არქივში არ ინახება.

საძიებელი: ფ. 441, საქ. 1334, ფურ. 92.

საქ. სსრ ცენტრ. სახ. არქივის
დირექტორი: /ა. ციციძე/
მეთოდისტი: /ნ. ლებანიძე/



ტარტუს უნივერსიტეტი
1912 წ.



სახლი ივანოვის ქ. № 30-ში, სადაც 1914 წელს მოთავსებული იყო ბარგუს ქართველთა სათვისტომო




სრულიად რუსეთის ერთობის კავშირის რწმუნებულის ყადირ თუფანის ძე შერვაშიძის
სავიზიტო ბარათი



ცუცა ბახტაძის სახელზე გამოგზავნილი ჟადირის წერილი , შესრულებული საველე ჰოსპიტლის ეზოში გადაღებული კოლექტიური ფოტოსურათის მეორე გვერდზე

სავარაუდო თარიღი 1915 წ. 20 დეკემბერი



საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს 1918 წლის 26 მაისს ხელი მოაწერა ყაღირ შერვაშიძემ (მესამე სვეტში მეექვსე)

# ЗАКАВКАЗСКІЙ БАНКЪ

## РАСЧЕТНАЯ КНИЖКА

ТЕКУЩІЙ СЧЕТЪ

Г. Шервашидзе К.Ш.

№ 6574

№ 32—3000

ყადირ შერვაშიძის სახელზე 1918 წლის 1 ივლისს გაცემული
სალაროს წიგნაკის გარეკანი



*ქართველთა ლეგიონის სამახსოვრო ნიშნით (თამარ მეფის ორდენით) ყადირ შერვაშიძის დაჯილდოების სიგელი*

მემედ-ბეგ აბაშიძე

Милостивая Государыня,
Надежда Варламовна!

Прилагаю Вам при сем удостоверение выданное мне Батумским областным врачем 30 марта 1918 года за №565 изъ коего усматривается, что я занимаюсь изъ эпидемическую больницу съ 1-го марта 1916 года въ м. Кеды квартиру деньги мне не уплочены, настоящей доверенностью прошу и уполномочиваю Васъ получить откуда и откуда съ 1 марта 1916 года по 1-е апрѣля 1918 года деньги и въ полученіи таковыхъ расписаться. Въ случае надобности подавать прошенія, заявленія и другія бумаги, получать справки, копіи удостоверенія и иные документы, расписываться гдѣ потребуется и выполнять всѣ сопряженныя съ порученнымъ Вамъ дѣломъ формальности. Всему, что Вы по сей довѣренности законно учините, я Вамъ вѣрю спорить и противиться не буду. Доверенность эта дана Надеждѣ Варламовнѣ Шервашидзе Зекерья бекъ Шервашидзе 1918 года февраля 25 дня

Батумскій нотаріусъ Прусский К.К.

ბექერია შერვაშიძის მინდობილობა ნადეჟდა ბახტაძისადმი, რათა მან მართოს ქედაში კუთვნილი სახლის გაქირავების საქმეები

ყადირ შერვაშიძის შვილიშვილი რამაზ კანდელაკი,
თამაზ ძიძიშვილი
1982 წ.
მემორიალის გახსნის დღე
ბათუმი, პუშკინის ქ. № 78

Дебетъ. 191 г.

| Мѣсяцъ. | Число | ВЫДАНО. | Рубли. | Коп. |
|---|---|---|---|---|
| 1918 | | Переносъ . . | | |
| Іюля | 4 | Чекъ № 21201 | 500 | - |
| | 11 | 21202 | 500 | - |
| | 22 | 21203 | 500 | - |
| | | Переносъ . . . | | |

1918 г. Кредитъ.

| Мѣсяцъ. | Число | ПРИНЯТО. | Рубли. | Коп. |
|---|---|---|---|---|
| | | Переносъ . . | | |
| Іюля | 1 | Восемьдесять пять тысячъ | 85000 | = |
| | | [illegible] Банкъ. | | |
| | | [illegible] Мерк. | | |
| | | Переносъ . . | | |

66 ყადირ შერვაშიძის სალაროს წიგნაკის ჩანაწერები 1918 წლის 1 ივლისიდან 22 ივლისამდე



აჭარელ შერვაშიძეთა გენეალოგიური ხე
(ყადირ შერვაშიძის შტო)

# შინაარსი


ავტორისაგან . . . . . 2
გვარის ისტორია . . . . . 3
თუფან-ბეგი . . . . . 15
ყადირ-ბეგ შერვაშიძე. ბავშვობა . . . . . 22
ბათუმის გიმნაზიაში . . . . . 23
თბილისის გიმნაზიაში . . . . . 26
უნივერსიტეტში . . . . . 27
სტუდენტთა სათვისტომო . . . . . 31
ქორწინება . . . . . 37
სამხედრო სამსახური . . . . . 39
ბათუმში . . . . . 41
ბრძოლა საქართველოს ერთიანობისათვის . . . . . 43
განმათავისუფლებელი კომიტეტის რწმუნებული
ახალციხეში . . . . . 46
ვინ იყო სერვერ-ბეგ ათაბაგი? . . . . . 46
ვინ იყო ბახში-ბეგ მაჩაბელი? . . . . . 50
მონოდება მუსლიმან ქართველებისადმი . . . . . 55
ცხენოსანთა დივიზიის მეთაური . . . . . 57
გერმანიაში . . . . . 60
ჯილდო . . . . . 65
კვლავ ახალციხეში . . . . . 69
გარდაცვალება . . . . . 70
ყადირის შემდეგ . . . . . 73
ბოლოთქმა . . . . . 78
დოკუმენტები, ფოტოები . . . . . 81
აჭარელ შერვაშიძეთა გენეალოგიური ხე
(ყადირ შერვაშიძის შტო) . . . . . 100

სააქციო საზოგადოება "პირველი სტამბა"
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50

## რაჰან სურმანიძის წიგნში, „ყადირ შერვაშიძე" მეორე ნაწილი შეცდომების გასწორება

| გვ. | სტრიქონი | დაბეჭდილია | უნდა იყოს |
|---|---|---|---|
| 3 | 11-12 ზემოდან | ნელი ანბით შერვაშიძე მხოლოდ შარვაშიძის ოჯახტერია | – |
| 4 | 2 ზემოდან | – კოლექტია | S-კოლექტია |
| 11 | 16 ზემოდან | გაეხსენეთ | გაეხსენეთ |
| 16 | 17 ქვემოდან | ხოლვარელია | მოდელია |
| 26 | 2 ზემოდან | ალექსეოსი | ალექსეოსი |
| | 9 ზემოდან | ამ როს | ამ [illegible] |
| 28 | 15 ზემოდან | ძალნული | ძალ[illegible] |
| | 13 ქვემოდან | გაეიეს | გაეიეს |
| 29 | 18 ქვემოდან | საკედერობდა | საკედერობდა |
| 33 | 9 ზემოდან | საინტერესო | საინტერესო |
| 37 | 5 ზემოდან | ამიერებდა | ამთავრებდა |
| | 10 ზემოდან | ამიერებდა | ამთავრებდა |
| 38 | 13 ზემოდან | პატიოსანი ქართველი ქალი | პატიოსანი ქართველი ქალი |
| 42 | 4 ზემოდან | შეხდომში | შეხვედრაში |
| 43 | 2 ქვემოდან | საქართველოს | საქართველოს |
| | 8 ქვემოდან | თურქოლოგებმა | თურქოლოგებმა |
| 45 | 12 ქვემოდან | ეურალრებით | ეურალრებით |
| 52 | 8 ზემოდან | ბახმიობეშ | ბახმიობა |
| 63 | 5-7 ქვემოდან | რიეგორე ეთქვით, „საპუნალიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტერეს" თავისი წევრები ყადირ შერვაშიძე და ზია აბაშიძე ბერლინში გაგზავნა, რის შესახებაც ცნობას | „საპუნალიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის" წევრების, ყადირ შერვაშიძისა და ზია აბაშიძის ბერლინში გაგზავნის ამ ცნობ[illegible] |
| 65 | 9 ქვემოდან | შერ ხვაშიძისათვის | შერვაშიძისათვის |
| 66 | 10 ქვემოდან | ადამაშაელი | ადამაშვილი |
| 77 | 2 ზემოდან | 80 წელთან | 95 წელთან |
| | 6 ზემოდან | 1977 წ. | 1982 წ. |
| 82 | | 1987 წ. | 1997 წ. |
| 91 | | ერეობის | ერეობის |